



ციბეხანი

№ 35 / 14 - 20 ივნისი / 2010

- გაქვირებული წამლები **გვ. 10**
- ინტერვიუ ლევ ვალენსასთან **გვ. 21**
- რატომ უნდა გავიაზროთ საბჭოთა კავშირი **გვ. 23**
- საკონსტიტუციო ალტერნატივა **გვ. 26**
- შევიწუკი ვუტინის წინააღმდეგ **გვ. 28**
- ოსური პასპორტი ახალგორში **გვ. 31**
- პაციენტი კლინიკის წინააღმდეგ **გვ. 34**
- განათლების რეფორმის კურსის ცვლილების შესახებ **გვ. 39**
- გიომავლიანი: მარადონას სიზმარი **გვ. 46**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008

სათამაშო

გვ. 16





პოლისივესრი

ნინო უიუილაშვილს

მავსტრო 

შაბათი
21:00



ენგურის ხიდი

ფოტო: თეიმურაზ ბერიძე

ნომარში:

- 02 ფოსტა
- 04 მსოფლიო
- 06 მოკლედ
- 08 ფოტორეპორტაჟი
- 09 ვრცლად
- 14 **ორი აზრი**
ჯილდოვებებიან თუ არა ადამიანები ხელისუფლებისადმი პოლიტიკური ლოიალურობის გამო? *ლელა გაფრინდაშვილი VS ირაკლი გორდუღლაძე*
- 16 **მთავარი თემა**
სათამაშო
- 20 **თვალსაზრისი**
საკვები სხვა საქმეა *მარკ მალენი*
- 21 **ინტერვიუ**
„დღეს ევროპა არ არის მზად, ყველა მსურველი მიიღოს“
ლეს ვალენსა

საუბრები ლიბერალიზმზე

- 23 რატომ უნდა გავიაზროთ საბჭოთა კავშირი
პოლიტიკა
- 26 საკონსტიტუციო ალტერნატივა
მეზობლები
- 28 შეეჩუქი პუტინის წინააღმდეგ
- 30 **აზერბაიჯანი-აშშ-ს ურთიერთობები**
ეპისტოლარული დიპლომატია
კონფლიქტები
- 31 ოსური პასპორტი ახალგორში
- 33 **გალი**
რა ხდება გალში?
ჟურნალისტური გამოძიება
- 34 პაციენტი კლინიკის წინააღმდეგ
- 36 **სახელმწიფოს ფავორიტი ფირმები**
აბაზანა სახურავის ნაცვლად

საზოგადოება

- 39 სასწრაფოდ იყიდება „მერსედესი“ „ჟიგულის“ ნაწილებით!
- 42 **განათლება**
სამოქალაქო თავდაცვა შესავლის გარეშე
კულტურა
- 44 რობერტ სტურუა მოსკოვს „ქარიშხალს“ უმზადებს
სპორტი
- 45 ისევ დაინყო *სანდრო ნავერიანი*
- 46 მარადონას სიზმარი *გიო ახვლედიანი*
- ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 48 ძია ზიგმუნდ, შენ მიშველე!

ბარეკანა:

სათამაშო
ფოტო: მარია კოჩიაშვილი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

რატომ არის ოპოზიციის სუსტი

საქმეს და ოპოზიციის წარმატებას (რაც მნიშვნელოვნად მიმანჩნია) ძალიან წინ წასწევდა კონკრეტულად, როცა ავტორი ამბობს: „შიში ბიზნესებს ახლა ჯერ კიდევ აქვთ. იგივე შეიძლება ითქვას ცალკეულ დამფინანსებლებზეც. ბოლო წლებში იმ ადამიანებს, რომლებიც ოპოზიციას უჭერდნენ მხარს, ან ნარკოტიკებს აღმოუჩენდნენ ჯიბეში, ან სამუშაოს აკარგვინებდნენ. სიტუაცია გამოსწორების გზაზეა, მაგრამ შიში ჯერ არ გამქრალა“. თუ არ დაკონკრეტდება ვინ, რამდენი, სად, როდის, სამწუხაროდ, ეს დარჩება საკმაოდ ზედაპირულ წინადადებად, რომელსაც ფასი ეკარგება; ხელალებით ყველას შეუძლია ყველაფერი ითქვას. მე პირადად მჯერა, რომ ავტორს, განსხვავებით ბიზნესებისა, რომლებსაც „შიში ახლა ჯერ კიდევ აქვთ“, არ ეშინია. ამიტომ, კონკრეტულად მტკიცებას გააძლიერებდა. თუ ავტორს სთხოვეს, რომ ზოგადად ესაუბრა და, ვთქვათ, გვარები არ დაესახელებინა შესაძლო შურისძიების შიშით, მაშინ ზემოთ მოყვანილი ალბათ არც უნდა ეთქვა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია და მისი კონკრეტული განმტკიცება ბიზნესს, მოსახლეობას და მთავრობას ძალიან დაეხმარებოდა.

**სტუმარი, 7 ივნისი, 2010
www.liberali.ge**

მშვიდობის ხილი რიყაზე

ის, რომ თბილისში არქიტექტურული თუ ინფრასტრუქტურული ინიციატივები ხორციელდება, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. თუმცა, თბილისში არქიტექტორებს, როგორც ჩანს, ბევრს არ ეკითხებიან. პოლიტიკოსი არქიტექტორაში

არ უნდა ეროვდეს უხეშად. ისტორიულად, პოლიტიკოსები ყოველთვის იყვნენ დამკვეთები, ყოველთვის უნდოდათ, არქიტექტურა მათი ძალაუფლების და გრანდიოზულობის დასტური ყოფილიყო. მედიჩების დინასტია ამის ყველაზე კარგი მაგალითია. თუმცა, ისინი არქიტექტურას არქიტექტორებს, საქმის სპეციალისტებს უტოვებდნენ და არა – დაბალი რანგის პოლიტიკოსებს. რაც შეეხება ხიდს (ახსოვლურად პრაქტიკული თვალსაზრისით), ძალიან დიდი მასშტაბის ხიდია, ამოვარდნილია სანაპიროდან. უფრო მცირე ზომის ხიდი გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

**გრიგოლ განძილი-გვეგელი, 6 ივნისი, 2010
www.liberali.ge**



მშვიდობის ხილი რიყაზე

ხიდის მხატვრულ-კულტურულ-ტურისტულ დანიშნულებასა და ღირებულებაზე კამათი დაუსრულებლად შეიძლება. სხვა საკითხია ღია კონკურსის გამოცხადება და ჩატარება. თუ ქალაქის არქიტექტორი

თავის სახლში აუზს იშენებს, მას სრული უფლება აქვს, ტენდერი არ ჩაატაროს და კონკურსი არ გამოაცხადოს, მაგრამ როცა საქმე ბიუჯეტის თანხებს ეხება, საქართველოს კანონმდებლობა ითხოვს ალტერნატიული წინადადებების არსებობას. ეს მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია იმისა, რომ ქვეყნის მთავრობა სახელმწიფო ინსტიტუტებს, მათ შორის – საკუთარ მიღებულ კანონებს, პატივს არ სცემს. უცნაურია, რომ მსგავსი კაზუსების შემდეგ მთავრობის „სახეებს“ უკვირთ და აღშფოთებას ვერ მალავენ, როცა ხალხი პესიმისტურად ხვდება ახალ ინიციატივებს და მიღწევებს კანონის უზენაესობის, კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ. ქალაქის მთავარ არქიტექტორს ვერ გავამტყუნებ. ძნელია, დამსაქმებლის საქვეყნო კრიტიკა – „ლომს, თუნდაც ცალთვალას ვინ შეჰკადროს, ელამი ხარო“...

**თემური, 9 ივნისი, 2010
www.liberali.ge**

„დიღების მოწმენდი“ და მოწმენდური სწორხაზოვნება

მშვენიერი წერილია. საერთოდ მეომრის კულტურის საკრალიზაცია დიდი დანაშაულია. ამით ძალადობის აღზრდას ეწყობა ხელი. სხვათა შორის, ისტორიის ახლებურად დაწერა ნამდვილად საჭიროა. პირველ რიგში, დამარცხებულთა თვალსაზრისის გათვალისწინება და მეორეც, ნაციონალური კორპორატიზმის გადაფასებისათვის.

**ირაკლი კაკაბაძე, 10 ივნისი, 2010
www.facebook.com**

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შვერდაშვილი** / აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯავახიშვილი** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ქაჯაია** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტიანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბექიშვილი** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი** **შპრნალისტები**: მათა ნიკოლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, ანიტა თვალური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, რუსუდან რუხაძე, ნინო რობაქიძე, იაგო ყურაშვილი, ნათია გულიაშვილი, დავით ბუზრიკიძე
მონტაჟი: მარე მალენი, გიორგი ცხადაია, კახა თოლორაძე, გიო ახვლედიანი, ლამა ბულაძე, სანდრო ნავერიანი
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე** **გამომცემლობა**: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი **შალვა ჩუბინიძე** / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია** **გამომცემელი**: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge **სხვა გამომცემები**: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ფურცელში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. **ბაჭყალი**: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, წუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge
გამოცემის კვირებში ერთხელ ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge



რადიო „ნაცრობი“ გეკავტიჟებათ კლუბში „ნაცრობი“

- ტრადიციული ქართული საზარაულო
- სოცხალი მუსიკა





თურქეთი

თურქეთის ახალი ხოლი

ბევრი წლის განმავლობაში, თურქეთი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სანდო მოკავშირე იყო. მაგრამ ცოტა ხნის წინათ თურქეთმა შეცვალა თავის პოზიციონირება რეგიონში, რაც, სავარაუდოდ, ვაშინგტონის პროვოცირებას და თავის ინტერესების განვრცობას ემსახურება.

ეს ცვლილება თვალსაჩინო მას შემდეგ გახდა, რაც ისრაელი თურქულ ფლოტილიას დაესხა თავს, რამაც თავის მხრივ სერიოზული ზიანი მიაყენა თურქეთ-ისრაელის პარტნიორულ ურთიერთობას. ერთი თვის წინაც განარისხა თურქეთმა ამერიკა, როცა ბრაზილიასთან ერთად ირანის ბირთვულ პროგრამას დაუჭირა მხარი. თუმცა, თურქეთის შეცვლილმა სტრატეგიამ პრემიერ-მინისტრი ერდოღანი არაბულ სამყაროში გმირად აქცია. ერდოღანი მოუწოდებს ამერიკას, გადახედოს რეგიონში 2 ყველაზე მწვავე საკითხს – ირანის ბირთვულ პროგრამას და ისრაელისა და პალესტინის ურთიერთობებს.

ისრაელი

ისრაელი ახან სხვახეობის ქაბს

3 წლის შემდეგ, რაც ისრაელმა და ეგვიპტემ ნატანჯე პალესტინას სანქციები დაუწესეს და მისი ეკონომიკა დაასამარეს, გაჩნდა კონსენსუსი, რომ „ჰამასის“ დასუსტების და ხელისუფლებიდან განდევნის მცდელობა კრახით დასრულდა. ამ კონსენსუსმა სასწრაფო სტატუსი მას შემდეგ შეიძინა, რაც ისრაელი ლაზას სექტორში ფლოტილიას დაესხა თავს. დიდი ქვეყნები, ანტიჰამასელი პალესტინელები და რამდენიმე მაღალჩინოსანი ისრაელის ხელისუფლებიდან პალესტინის პოლიტიკის შეცვლაზე ალაპარაკდნენ. ხელისუფლებაში ყოფნის 3 წლის განმავლობაში „ჰამასი“ სრულად აკონტროლებს არა მხოლოდ უსაფრთხოებას, განათლებას და სასჯელალსრულებით სისტემას, არამედ – კონტრაბანდულ კორიდორსაც ეგვიპტესთან.

მექსიკის ყურე

ხეხანასია

მაშინ, როცა მექსიკის ყურეში BP-ის მილიონობით ბარელი ნავთობი იღვრება, ყველაზე მყისიერი გამოწვევა ისაა, თუ როგორ შევარჩოთ დღითი დღე მზარდი ეკოლოგიური კატასტროფა. შეგვიძლია, მხოლოდ იმედი ვიქონიოთ, რომ ნავთობის ამოფრქვევას შეაჩერებენ და მოვლენები ყველაზე საშინელი სცენარით არ განვითარდება.

თუმცა, ეს შემთხვევა უფრო რთულ კითხვებსაც ბადებს – როგორ უმკლავდებიან თანამედროვე საზოგადოებები კომპლექსურ ტექნოლოგიებს? ინოვაციების დაჩქარებული ტემპი თითქოს ბევრად უსწრებს მთავრობების რეგულატორების უნარს, გაუმკლავდნენ ან სულაც იწინასწარმეტყველონ მსგავსი რისკები.



ევროზონა

ვინ დახაზა ევროპა?

ევროპა, ამ ეტაპისათვის ფინანსურ კატასტროფას გადაურჩა, მაგრამ ევროკავშირის და ევროზონის მომავალი ჯერ კიდევ ჰაერშია გამოკიდებული. თუ ევროპა ძალიან მალე ვერ მოახერხებს თავისი ეკონომიკის გამოცოცხლებას, ის ბევრი წლით ვერ აცდება მძიმე მომავალს და უსასრულო ურთიერთმხილებებსა და ბრალდებებს იმასთან დაკავშირებით,

შეერთებული შტატები

შეზღუდვა და ტექნოლოგია

მასაჩუსეტისის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (MIT) ასწავლიან, თუ რა გავლენას ახდენს მშობლების მიერ ტექნოლოგიების გამოყენება ბავშვებზე და მოზარდებზე. 5-წლიანი მუშაობისა და 300 ინტერვიუს შემდეგ მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ ბავშვებში ხშირია გაუცხოების, შურისა და კონკურენციის შეგრძნება.

„თითქმის ყოველ ბავშვს მოჰყავდა იდენტური მაგალითები, თუ როგორ იგრძნეს თავი, როცა მათი მშობლები თავიანთი ხელსაწყოებით იყვნენ დაკავებულები და მათ ყურადღებას არ აქცევდნენ სადილის, სკოლიდან გამოყვანის ან სპორტული შეჯიბრებების დროს“.





შეერთებული შტატები

Tea Party Movement

„ვაშინგტონ პოსტისა“ და ტელეკომპანია ABC-ის მიერ ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევა აჩვენებს, რომ ამერიკულ პოლიტიკაში ერთნაირი დისონანსის შეტანის შემდეგ Tea Party Movement-ის („ჩაის მსმელთა მოძრაობა“) პოპულარობა კლებულობს. გამოკითხვის თანახმად, ანტიესტაბლიშმენტური მემარჯვენე მოძრაობის მხარდაჭერა ეცემა. იმ ამერიკელთა რიცხვი, ვინც უარყოფითად აფასებს მოძრაობას, 11%-ით გაიზარდა და გამოკითხულთა 50% შეადგინა. მაგრამ, შესაძლოა, ეს შედეგები ცოტა ნაადრევი იყოს. Tea Party Movement გასულ წელს აგორდა და ბარაკ ობამას, გაზრდილი გადასახადების და გაზრდილი საჯარო სექტორის წინააღმდეგ არის მიმართული. გასული წ თვის განმავლობაში მოძრაობამ პრაიმერებში ცენტრისტი რესპუბლიკელები დაამარცხა, რითაც რესპუბლიკურ პარტიას ცენტრისტული პოზიციების დათმობისა და მარჯვენე გადახრისკენ უბიძგა. ეს მაშინ, როცა საარჩევნო კამპანიის სტრატეგები ლიდერებს ცენტრისკენ დაბრუნებას კარნახობენ.

იერუსალიმი

ჰაიესხინა ფეხზე დგება

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს პრესა ღაზას სექტორის ბლოკადის გაგრძელებაზე ლაპარაკობს, ახლო აღმოსავლეთში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა ვითარდება. პალესტინა დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებისათვის ემზადება და ამისათვის კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს.

დიდი ბრიტანეთი

BBC-ის ბამონჯევა



ბრიტანეთის კულტურის ყოფილი მინისტრი, ტერესა ჯოუელი BBC-ის სამეთვალყურეო საბჭოს იმისთვის აკრიტიკებს, რომ მან ვერ შეძლო საფრთხის განჭვრეტა. ჯოუელმა იწინასწარმეტყველა, რომ BBC-ის

მისი არსებობის მანძილზე ყველაზე რთული ბრძოლა მოუწევს იმისათვის, რომ ახალი კოალიციური მთავრობის პირობებში ფიქსირებული სალიცენზიო მოსაკრებელი შეინარჩუნოს. BBC დიდწილად სალიცენზიო გადასახადით ფინანსდება. ეს ტარიფი 10 წლით 2007 წელს განისაზღვრა, რასაც კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების 3-წლიანი პერიოდი უძღოდა წინ.

საბერძნეთი

ბუხდნადი ბაზეთილია ბსოფლიო ჯხოწოიხისათვის

140 მილიარდი დოლარის დახმარების პაკეტი, რაც საბერძნეთის ხელისუფლებამ, როგორც იქნა, ევროკავშირის პარტნიორებისგან და მსოფლიო ბანკისგან მიიღო, საბერძნეთს ცოტადენ სასუნთქ ჰაერს აძლევს, რომ ფინანსური უფსკრულიდან ამოვიდეს. თუმცა ეს პაკეტი შეძლებს ან ვერ შეძლებს დაიცვას ესპანეთი და პორტუგალია მსგავსი კოლაფსისაგან. შე-



დების მიუხედავად, ცხადია, რომ საბერძნეთის გამო, ევროკავშირის ახლა თვალის ჩალურჯებული აქვს. უფრო ღრმად რომ წავიდე, ეს კრიზისი „გლობალური ეკონომიკის პოლიტიკური ტრილემის“ განსახიერებაა: ეკონომიკური გლობალიზაცია, პოლიტიკური დემოკრატია და ერი-სახელმწიფოები ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავი ფენომენებია. ამ სამიდან, ერთდროულად, მხოლოდ 2-მა შეიძლება იარსებოს.



ახალი ბანასახელები და მომსახურები ჩახიძეები

უახლოეს მომავალში მძღოლებს გზით სარგებლობის საფასურის გადახდა მოუწევთ. ჯერ კიდევ გაურკვეველია, ამ საფასურს ყველა მძღოლი გადაიხდის, თუ – მხოლოდ სატვირთო ავტომობილების პატრონები. თუმცა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, ეს გადასახადი 150-160 ლარი იქნება და მისი

გადახდა საბაჟოზე გავლისას მხოლოდ სატვირთო ავტომობილების მძღოლებს მოუწევთ. ცვლილებები ჯარიმებსაც შეეხება. „ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შემდეგ, ლვედის გამოუყენებლობის შემთხვევაში (იმ გზაზე, სადაც 80 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარითაა მოძრაობა ნებადართული), მძღოლები გაორმაგებულად დაჯარიმდებიან და 40 ლარს გადაიხდიან. ჯარიმები იზრდება ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის შემთხვევაშიც.

ჩახიძეები ფეხბურთის - ჩახიძე ბონასს

ფეხბურთის ფედერაცია ახალი გზით ცდილობს ქართული ფეხბურთის განვითარებას. კლუბები სიმბოლურ ფასად – 1 ლარად შეფასდა და მათ სხვადასხვა ქართული კომპანია სწორედ ამ ფასად შეიძენს. მსურველები უკვე გამოჩნდნენ. ფოთის „კოლხეთის“ შეძენა ფოთის პორტს სურს, ზუგდიდის „ბაიას“ კი „ჯეოსელი“ შეიძენს. ამ ბიზნესით „ავერსი“, „პე-ეს-პე“, „მაგთი“, „სოკარი“ და „ლუკოილიც“ დაინტერესდნენ. საქართველოში სულ 56 საფეხბურთო კლუბია.

წინასწარი პასივიზაცია ბანაშვილებს

თბილისის საქალაქო სასამართლომ Georgian Times-ის რედაქტორ მალხაზ გულაშვილსა და მის შვილ დავით გულაშვილს, საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო, აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი ორთვიანი პატიმრობა პროცესზე დაუსწრებლად შეუფარდა. მოსამართლემ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის გამომძიებლების შუამდგომლობა დააკმაყოფილა და გულაშვილების ადვოკატის, შალვა ხაჭაპურიძის მოთხოვნა აღმკვეთი ღონისძიების არგამოყენებასთან დაკავშირებით არ გაიზიარა. პროკურატურა შუამდგომლობისას მიუთითებდა, რომ გულაშვილებმა საზღვარი უკანონოდ, ოკუპირებული ტერიტორიიდან გადაკვეთეს მათის დასაწყისში და ისე მოხვდნენ რუსეთში.



ბიჯახი 215 მილიონით იხიება

პარლამენტი მთავრობის მიერ მომზადებულ ცვლილებებს განიხილავს. ცვლილებები 2010 წლის ბიუჯეტის ხარჯების დაახლოებით 215 მილიონ ლარით გაზრდას ითვალისწინებს. აქედან 150 მილიონი ლარი საგადასახადო შემოსავლების, დანარჩენი კი ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი საბიუჯეტო გრანტების ხარჯზე გაიზრდება. ექსპერტები ბიუჯეტის ზრდას ლარის გაუფასურებას უკავშირებენ. ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათში კი ნათქვამია, რომ ცვლილებები მოსალოდნელმა ეკონომიკურმა ზრდამ განაპირობა, რომელიც, დაგეგმილი 2 პროცენტის ნაცვლად, 4.5 პროცენტს მიაღწევს. გაზრდილი ხარჯებიდან ყველაზე მეტი თანხა – 34,1 მილიონი ლარი დევენილებს მოხმარდება, დანარჩენი კი – პენიტენციურ სისტემას, რეგიონებში წყალმომარაგების გაუმჯობესებას, მინისტრის შედეგების ლიკვიდაციას, ტურისტული და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას და გერმანიაში საქართველოს საელჩოს შენობის შექმნას. ამავე თანხიდან დაფინანსდება ბაგრატიის ტაძრის სარეაბილიტაციო პროცესიც.

ჩინოვებები

თანხა, რომელიც საარჩევნო სუბიექტებმა 2010 წლის 30 მაისის საარჩევნო კამპანიისთვის შემოწირულობის სახით მიიღეს

176 408,5 ლარი

„ეროვნული საბჭო“

958 107 ლარი

„თოფაძე-მრეწველები“

უშეაბო მეთხითება ხანდი

გაერო-ს, ეუთო-სა და ევროკავშირის შუამავლობით ფენევაში მიმდინარე მოლაპარაკებების მე-11 და ყველაზე ხანგრძლივი რაუნდიც უშედეგოდ დასრულდა. ორ სამუშაო ჯგუფში უსაფრთხოებასთან, ჰუმანიტარულ და დევნილებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდნენ. თბილისი ამჯერადაც არ დათანხმდა ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებაზე ხელისმოწერას, რომელზეც მეორე მხრიდან არა რუსეთს, არამედ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებს უნდა მოეწერათ ხელი. იმ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც დევნილებისა და ჰუმანიტარული საკითხები უნდა განხილულიყო, სეპარატისტული რეჟიმების წარმომადგენლებმა, პროტესტის ნიშნად, დატოვეს. „ჩიხში შესული“ და „კრიზისული“, – ასე შეაფასეს მოლაპარაკებები სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლებმა. მომდევნო რაუნდი 27 ივლისს გაიმართება.



ხანდი ჰოსტაჟი საჩხითველოში

რუსეთი როკის გვირაბთან და მამისონის უღელტეხილზე სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გახსნას აპირებს. როგორც რუსული მედია ოუნცება, ცხინვალის ე.წ. ხელისუფლებასთან შესაბამისი შეთანხმების ხელმოწერის შესახებ ბრძანება რუსეთის პრემიერმა ვლადიმირ პუტინმა გასცა. შეთანხმების პროექტი კი პრემიერს რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონყობის ფედერალურმა სააგენტომ წარუდგინა. ქართული მხარე რუსეთის განცხადებებს პოლიტიკურ სპეკულაციასა და მორიგ პროვოკაციას უწოდებს. სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი ამბობს, რომ „მსგავს სულელურ განცხადებებს“ ქართული მხარე არ წამოეგება.

14 113 41,8 ლარი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

104 570, 20 ლარი

„ალიანსი საქართველოსთვის“

646 631 ლარი

„ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“

სიტატები



„იმედი მაქვს, უფლის ნებით, რუსეთსა და საქართველოს შორის საქმე აღარასოდეს მივა შეიარაღებულ კონფლიქტამდე. ჩვენ ადრეც ვაკეთებდით ყველაფერს იმისთვის, რომ ეს არ მომხდარიყო... თანამედროვე შეტევითი კომპლექსები იძლევა საშუალებას, საქართველოს ტერიტორიის მთელ სიღრმეში ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია რუსეთის ტერიტორიიდან ვანარმოოთ. ამისთვის „მისტრალი“ არ არის საჭირო“.

ვლადიმირ პუტინი
10 ივნისი, „ფრანს პრესი“

„კითხვაზე, მივალწიეთ თუ არა ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის გაძლიერებაში რეალურ პროგრესს, პასუხი ასეთია – არა“.

მაიკლ მაკფოლი – აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს რუსეთისა და ევრაზიული რეგიონის საქმეების დირექტორი
10 ივნისი, ვაშინგტონი

„ალიანსი განაგრძობს რეფორმების მხარდაჭერას [საქართველოში] და ახალი მიმართულებების მითითებას, კერძოდ – თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალებზე დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის დაწესებას“.

ანდერს ფოგ რასმუსენი
11 ივნისი, ბრიუსელი



ფოტო: მარიამ შიოშინაძე

მსოფლიო ჩემპიონატის პიკაჟი და

ფეხბურთის გამაყრუებელ ზუზუნში საფრანგეთის გულშემატკივრები დაძაბულები ადევნებდნენ თვალყურს საფრანგეთი-ურუგვაის საფეხბურთო მატჩს. როგორც კი თეთრებში გამოწყობილი ფრანგი ფეხბურთელები ბურთით ურუგვაის კარისკენ დაიძრებოდნენ, ქართველები ფეხზე დგებოდნენ, ზურგზე მოფარებულ დროშებს წამოშლიდნენ და სულგანაბულები ელოდნენ გოლის გატანას, თუმცა, იმედი ყოველ ჯერზე უცრუვდებოდათ. საფრანგეთის გუნდმა ფილარმონიის „ივენტ ჰოლში“ მისული გულშემატკივრები სახტად დატოვა.

ნანახი ვიზიტი

„გარღვევა“ – ასე უნოდებენ სააკაშვილის ვიზიტს საფრანგეთში, თუმცა მის კონკრეტულ შედეგებზე არავინ საუბრობს.

ნათია ახალაშვილი

ელისეს სასახლეში, რუსეთის პრემიერ-მინისტრის პუტინის ვიზიტამდე საფრანგეთის პირველმა პირმა ნიკოლა სარკოზიმ ცნობილ ვერანდაზე საქართველოს პრეზიდენტთან ისაუბრა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეს იყო მიხეილ სააკაშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი დასავლეთში (თუ არ ჩავთვლით რუმინეთს – 2010 წლის 2 ივნისს) და იგი სწორედ აგვისტოს ომის დროს მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელთან შედგა. სააკაშვილი ასევე პირველი ქართველი პრეზიდენტია, რომელიც ელისეს სასახლეში ოფიციალური სტუმრის სტატუსით ჩავიდა.

კიდევ ერთი დეტალი, რის გამოც თბილისმა ამ ვიზიტს ისტორიული უწოდა, ის იყო, რომ იგი რამდენიმე დღით წინ უსწრებდა პარიზში ვლადიმერ პუტინის სტუმრობას:

„მარტო ის ფაქტია მნიშვნელოვანი, რომ ჩემი ოფიციალური ვიზიტი პუტინის ვიზიტის წინა დღეებში მიმდინარეობს. ეს ასამარებს რუსეთის ძალისხმევას, იზოლაციაში მოაქციოს ჩემი ქვეყანა“, – განაცხადა სააკაშვილმა.

ბევრად უფრო თავშეკავებული განცხადებები გაკეთდა ფრანგულ პრესაში.

„უკვე ექვსი თვეა, რაც ის ნიკოლა სარკოზისთან შეხვედრას ითხოვს. ელისეს სასახლე, როგორც იქნა, დათანხმდა საქართველოს პრეზიდენტის თხოვნის დაკმაყოფილებას“, – წერდა *Le Figaro*.

ზოგიერთმა პოლიტიკურმა კომენტატორმა ეს ვიზიტი მართლაც შეაფასა ომის შემდეგ არსებული საერთაშორისო იზოლაციის გარღვევად, თუმცა ჯერჯერობით ამ ვიზიტის კონკრეტულ შედეგები ბევრად უფრო ნაკლებად ისტორიულია, ვიდრე მისი დეტალები.

„მისტრალი“ – ეს ის საკითხია, რომელზედაც სარკოზიმ ორივე სტუმარ-



სარკოზი და სააკაშვილი მუღლულებთან ერთად, პარიზი, ივნისი 2010

თან – სააკაშვილთან და პუტინთანაც ისაუბრა.

მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საფრანგეთს მყარად აქვს გადაწყვეტილი, ითანამშრომლოს რუსეთთან „მისტრალთან“ დაკავშირებით, რადგან „რუსეთი მნიშვნელოვანი პარტნიორია ევროუსაფრთხოების მშენებლობაში. პრეზიდენტმა სარკოზიმ განმარტა, რომ ასეთია საფრანგეთის პოლიტიკური არჩევანი“.

უცხოური პრესა ანიონიმურ წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ სარკოზი სააკაშვილს პუტინთან აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის თემების განხილვას შეჰპირდა.

შეხვედრის შემდეგ კომენტარები მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა: „ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით საფრანგეთის ერთმნიშვნელოვან და ურყევ მხარდაჭერაში. ევროპის

მთავარი ქვეყნის პრეზიდენტის მხარდაჭერა მოწმობს, რომ საქართველო უფრო ევროპული ქვეყანა ხდება“, – განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილისა და ნიკოლა სარკოზის შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდა. ამდენივე ხნის მანძილზე საუბრობდა სასახლეში ორი ქვეყნის პირველი ლედიც.

ფრანგული პრესა წერს, რომ სააკაშვილის საჯარო რეაბილიტაციის გარდა, ამ ვიზიტს სხვა დატვირთვაც ჰქონდა – ეს შეხვედრა იყო მკაფიო ნიშანი, რომელიც დასავლეთმა სააკაშვილს გაუგზავნა – საქართველომ რუსეთთან შემდგომი კონფრონტაციისგან თავი უნდა შეიკავოს. „მიხეილ სააკაშვილი თავის მოქალაქეებს პუტინის რუსეთის მიმართ შიშს უნერგავს... ეს არცთუ ძნელია, რადგან რუსეთის დამოკლეს მახვილი საქართველოს ტერიტორიაზე ჰკიდია ახალგორამდე, რომელიც თბილისიდან 45 კილომეტრშია“, – წერს *Le Figaro*.



ფოტო: ილიკო ბაქრაძე/საქართველო


დაძაბულობა ყიხბოჯათში

ნათია ახალაშვილი

ყირგიზეთის სამხრეთში დაწყებულმა დაძაბულობამ ქვეყნის დედაქალაქში გადაინაცვლა.

ყირგიზეთის სამხრეთში უზბეკებსა და ყირგიზებს შორის დაწყებული ჩხუბი მასობრივ შეტაკებებში გადაიზარდა. თუმცა, არეულობის ზუსტ მიზეზებზე ვერავინ საუბრობს. არსებობს მოსაზრება, რომ ამ დაპირისპირების უკან ბაკიევის ხალხი დგას. დაძაბულობამ ქალაქ ოშიდან ბიშკეკშიც გადაინაცვლა. სროლების შედეგად 45-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, დაჭრილი კი 700-ზე მეტია. სროლები მთავრობის სახლთანაც ისმოდა. არეულობის მონაწილეებმა მანქანები და შენობები დაწვეს, მალაზიებს კი ქვეები დაუშინეს.

ოშა და მის მიმდებარე რეგიონში საგანგებო სიტუაცია გამოცხადდა. მილიცია ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა ბიშკეკში. ქალაქში შინაგანი ჯარიც შეიყვანეს. მასობრივ არეულობაში მონაწილეობისათვის მილიციამ 5 ადამიანი დააკავა. ყველა მათგანი ოშში მცხოვრები 20-23 წლის ახალგაზრდაა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის გარშემო რამდენიმე ბლოკ-პოსტი დაიდგა, მეზობელი რეგიონებიდან 2 ათასამდე ადამიანმა ოშში შელენევა მაინც მოახერხა.

დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი როზა ოტუნბაევა ირწმუნება, რომ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, თუმცა, ადგილობრივები ამტკიცებენ, რომ სროლები კვლავ გრძელდება. 



ბაქჰიხაბუი ნამლები

ნინო გოგუა

ნამლების ფასმა მატება ნინა კვირას, მას შემდეგ დაიწყო, რაც ლარის კურსი დოლართან და ევროსთან მიმართებაში რამდენიმე ნიშნულით დაეცა. ბოლო 4 წლის განმავლობაში ეს ეროვნული ვალუტის რეკორდული გაუფასურებაა.

„რალაც პერიოდის განმავლობაში ნამლებს ისევე ძველ ფასში ვყიდდით, დოლარის კურსით 1,75. მაგრამ ორშაბათის კურსი – 1.92 – იმხელა მაჩვენებელი იყო, რომ რეალურად, კომპანია იზარალებდა და ფასებიც ამიტომ გავზარდეთ“, – განმარტავს „პე ეს პე“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნათია ხაბეიშვილი.

„არაფერი გაძვირებულა, პირიქით, გაიადფა“, – აცხადებს „ლიბერალთან“ საუბრისას კომპანია „ავერსის“ დირექტორი პაატა კურტანიძე.


ნამლის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ რეალურად მედიკამენტების ფასმა საშუალოდ 10-12%-ით მოიმატა. ამას აფთიაქების მომსახურე პერსონალიც ადასტურებს.

გაძვირებას ფარმაცევტული კომპანიები იმით ხსნიან, რომ მათ მედიკამენტები უცხოეთიდან შემოაქვთ და მათ შესაძენად დოლარსა და ევროს იხდიან. ლარის კურსის ვარდნის შედეგად ახლა იმპორტირებული ნამლის შემოტანისთვის იგივე რაოდენობის დოლარი, მაგრამ უფრო მეტი ლარი უნდა გადაიხადონ.

თუმცა, ბოლო კვირაში არა მხოლოდ იმპორტირებული, არამედ საქართველოში წარმოებული ნამლებიც გაძვირდა. მართალია, მწარმოებლებს მედიკამენტების დასამზადებელი ნედლეული უცხოეთიდან შემოაქვთ, მაგრამ საქართველოში წარმოებული მედიკამენტების ფასში იმპორტირებული მასალის წილი გაცილებით ნაკლებია.

„იმის გამო, რომ ფარმაცევტული ბაზარი აბსოლუტურად დახურულია, არ გვაქვს არანაირი ობიექტური ინფორმაცია; მით უმეტეს, როცა ჩვენს ბაზარზე აფთიაქები ძირითადად ერთმანეთთან შეთანხმებით ადგენენ ფასებს, რთულია, გაიგო, რამდენად ადეკვატურია ფასებს მომატების ტენდენცია“, – აცხადებს ჯანდაცვის ექსპერტი დევი ხეჩინაშვილი.

„როგორც კი ლარის კურსი აინეცს და დასტაბილურდება, მაშინვე დავაკლებთ ფასებს“, – აცხადებენ „პე ეს პე“-ში. თუმცა, ქართულ ბაზარზე კერძო კომპანიები ფასის სწრაფად ზრდის ტენდენციით უფრო ხასიათდებიან, ვიდრე – კლების.

თუ ლარის კურსი მოიმატებს და ამას ნამლის სწრაფი გაიადფება არ მოჰყვება, დევი ხეჩინაშვილის აზრით, კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე რეალური კონკურენცია არ არსებობს. 


ქახთუნი იღაა ოჯოზისიუხი მოძიხოზისთვის

მაია ნიკლაური

სოზარ სუბარი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ დატოვა „ალიანსი საქართველოსთვის“, ახალ პარტნიორებთან ერთად ერთიან მოძრაობაში ჩაბმას გეგმავს. მის გვერდით, სავარაუდოდ, იქნებიან – ლევან გაჩეჩილაძე, ზურაბ ნოლაიდელი და ირაკლი ოქრუაშვილი. ნოლაიდელმა და ოქრუაშვილმა უკვე განაცხადეს, რომ სამომავლოდ ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ ერთად გეგმავენ და გასაერთიანებლად სხვა ოპოზიციურ ძალებთანაც ითანამშრომლებენ.

„ახალმა გაერთიანებამ ქვეყანას და საზოგადოებას კრიზისიდან გამოსვლის გეგმა უნდა შესთავაზოს. ამ გაერთიანებას უნდა ჰქონდეს ერთიანი სტრუქტურა და იდეა“, – წერია პოლიტიკოსების ერთობლივ განცხადებაში. პოლიტიკური მოძრაობის ერთობას საფუძვლად დაედება „ქართული იდეა“, რომლის დამუშავებასაც სოზარ სუბარი დაინტერესებულ პირებთან ერთად გეგმავს. მის ინიციატივაზე სასაუბროდ 9 ივნისს ლევან გაჩეჩილაძის ორგანიზებით სოზარ სუბარი, კოკა გუნცაძე, გია გაჩეჩილაძე (უცნობი), ეროსი კინმარიშვილი, ჟურნალისტები და ექსპერტები შეიკრიბნენ.

„მოდით, მოვიფიქროთ ის იდეა, რის გარშემოც ხალხს მოუნდება გაერთიანება. აქ არ არის საუბარი მიტიგებზე, დროების ქნევაზე, ხელისუფლებასთან დაპირისპირებაზე. აქ საუბარია, რომ ვიპოვოთ ის სიმები, რომელიც ყველა ქართველის გულშია და რაც მოგვცემს ერის, ნაციის, ქვეყნის განვითარების, პროგრესის ელემენტებს“, – განაცხადა ფონდი „20/20“-ის ხელმძღვანელმა ეროსი კინმარიშვილმა.



ეროსი კინმარიშვილი



ლევან გაჩეჩილაძე და სოზარ სუბარი

კინმარიშვილი, რომლის ფონდიც, უკვე 2 წელია, ეროვნული განვითარების სტრატეგიაზე მუშაობს, ეროვნული იდეის აგებას ქაქუცა ჩოლოყაშვილის და გერონტი ქიქოძის პიროვნებების, პატრიოტიზმისა და პროგრესის სინთეზში ხედავს.

სოზარ სუბარი კი ეროვნულ იდეას სამ საკითხზე აგებს: ქვეყნის უსაფრთხოება, თანამედროვე ტექნიკური და კულტურული პროგრესი და თვითმყოფადობის, ქართველობის შენარჩუნება.

სუბარი, დასავლურ კულტურასთან „ველური კონკურენციის“ პირობებში, იმ განსაკუთრებულ ღირებულებებად, რასაც „ქართული იდეა“ უნდა დაეყრდნოს, მიიჩნევს ქართველობას, ქართულ ტრადიციებს, კულტურას, ტოლერანტობას და მრავალეთნიკურობას.

ახალმა „ქართულმა იდეამ“ უნდა შექმნას დღევანდელი საქართველოსგან განსხვავებული კონცეფცია. სახელმწიფომ „სამხედრო რიტორიკიდან“ განათლებაზე უნდა გადაიტანოს აქცენტი. სუბარი არ გამოირიცხავს, რომ შესაძლოა, ნატო-ში განწევრიანება აღარ იყოს ეროვნული პრიორიტეტი და მილიტარიზაციისთვის დასახარჯი ფული განათლებას მოხმარდეს. ქვეყანაში სამცენიერო დარგები და კულტურა გახდეს პრიორიტეტული.

სუბარი და მისი თანამოაზრეები ქართული საზოგადოების გამაერთიანებელ იდეას საკუთარი ერთობისთვის ქმნიან. სავარაუდოდ, ეს ახალი პოლიტიკური გაერთიანების ახალი შეფუთვაა, რაც, იდეის ავტორების აზრით, მას საზოგადოებისთვის მიმზიდველს გახდის. ■

■ სავარაუდოდ, ეს ახალი პოლიტიკური გაერთიანების ახალი შეფუთვაა, რაც, იდეის ავტორების აზრით, მას საზოგადოებისთვის მიმზიდველს გახდის.

აღიარების ტვიხთი

ICG მიიჩნევს, რომ თბილისმა მხარი უნდა დაუჭიროს ევროკავშირის, გაერო-ს, ეუთო-ს და სხვა ორგანიზაციების ინიციატივებს სამხრეთ ოსეთის რუსეთის გავლენისგან გასანთავისუფლებლად.

საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი



სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიღმა დარჩენილ მოსახლეობასთან ეკონომიკური და ადამიანური კავშირების აღდგენა, საზღვრის გახსნა, კოკოითის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა – კრიზისების შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (ICG) ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების რეაქცია იმ ფაქტზე, რომ რუსეთის მიერ სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებიდან ორი წლის შემდეგ ცხინვალის ბევრად უფრო დამოკიდებული გახდა მოსკოვზე, ვიდრე ოდესმე იყო.

დოკუმენტში, რომელიც 7 ივნისს გამოქვეყნდა, წერია, რომ სამხრეთ ოსეთს დღეს არ აქვს არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური და არც სამხედრო ავტონომია. რესპუბლიკის მთავრობის დიდ ნაწილს მოსკოვი

აკომპლექტებს, ბიუჯეტის 99 პროცენტს რუსული ფული შეადგენს და ტერიტორიასა და საზღვრებსაც რუსი სამხედროები აკონტროლებენ, რომელთა რიცხვი სულ უფრო იზრდება და ამ დროისათვის მოსახლეობის ერთ მეექვსედს შეადგენს.

ანგარიშის თანახმად, სამხრეთ ოსეთში, დაახლოებით, 3 000-4 500 რუსი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება; გარდა ამისა, იქ ასევე განთავსებულია რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის 900 მესახლვრე.

რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, ანგარიში იტყობინება, რომ სამხრეთ ოსეთში რუსეთის შეიარაღებულობა T-72 და T-90 ტიპის ტანკები, 150 BMP-2, 12-მმ BM-21 გრადის სისტემები, 152-მმ 2C3 ტიპის საარტილერიო დანადგარები და S-300 ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები.

„აღიარების შემდეგ სამხრეთი

ოსეთი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს დაემსგავსა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სამხრეთ ოსეთში პრეზიდენტს ირჩევენ და მას რუსეთის მეთაური პირდაპირი წესით არ ნიშნავს“, – აღნიშნავენ კრიზისული ჯგუფის ექსპერტები ანგარიშში.

კრიზისული ჯგუფის დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა სამხრეთ ოსეთს 840 მილიონი დოლარი გამოუყო რეაბილიტაციისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის, ომის შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებელი პირობები ამ დრომდე არ გაუმჯობესებულა.

ICG მიიჩნევს, რომ თბილისმა მხარი უნდა დაუჭიროს ევროკავშირის, გაერო-ს, ეუთო-ს და სხვა ორგანიზაციების ინიციატივებს სამხრეთ ოსეთის რუსეთის გავლენისგან გასანთავისუფლებლად.

„ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენას დიდი დრო სჭირდება, – ამბობს ICG-ის ევროპული პროგრამების დირექტორი საბინ ფრეიზერი. საქართველოსადმი ნდობა აღდგება, თუ იგი იქნება დემოკრატიული, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა, სადაც უყურადღებოდ არ ტოვებენ არაღიარებულ რეგიონებში ადამიანების უფლებების დაცვისა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებს“.

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი ამბობს, რომ „ქართული მხარის ყველა მცდელობა, ჰუმანიტარულ თემებზე ვესაუბროთ ოსებს, უშედეგოა. იქნებ ICG-იმ ისიც თავადვე გვასწავლოს, როგორ გამოვნახოთ საერთო ენა კოკოითისთან? მასთან რუსებიც კი ვერ ლაპარაკობენ“.

**ყოველ სამუშაო დღეს, 17 საათზე,
რადიოქალაქის პირდაპირ ეთერში
საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ
„დღის თემა“ ნათია ორველაშვილთან ერთად
7-11 ივნისის კვირის რეჟიუმე**



„რა აზრი აქვს მიხეილ სააკაშვილის გაგდებას, თუ მოგყავს სხვა პრორუსული ძალა? ნოლაიდელს ვერჩი იმის გამო, რომ ის რუსეთს არც უკამათება, ისე ბარდება და მე შეშინია, რომ რაც რუსეთმა წაგლიჯა სააკაშვილს, გაუფორმებს ნოლაიდელი. ამიტომ ვამბობ - ყველა მინუს ერთი. კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ოპოზიციის გაერთიანების. არ შეიძლება იმის გაერთიანება, რაც არ ერთიანდება“.

ორშაბათი, 7 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
პაატა ზაქარეიშვილი. „რესპუბლიკური პარტია“



„თუნდაც ფრთიანი ანგელოზი მოვიდეს ხელისუფლების სათავეში, თუ ერთი კაცის ხელში გადავიდა ძალაუფლება, მას წვეულები ამოუვა რქები, ჩლიქები და კუდი. ამიტომ აუცილებელია ხელისუფლების დაბალანსებულად გადანაწილება. ეს ერთადერთი გარანტია იმისა, რომ ქვეყანა განვითარდეს ყველა მიმართულებით“.

სამშაბათი, 8 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
ზვიად ძიძიგური. „კონსერვატიული პარტია“



„საქართველოს ხელისუფლება არ არის წინააღმდეგი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის, მაგრამ თავად რუსეთი არ გამოხატავს ამ საკითხით დაინტერესებას. რუსეთის ინტერესებში შედის მის დაქვემდებარებაში მყოფი საქართველო. რუსეთს არასდროს აქონია სურვილი, განზე გამდგარიყო და მიეცა საქართველოსთვის საკუთარი კონფლიქტების მოგვარების საშუალება“.

ოთხშაბათი, 9 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
ვახტანგ ბალაქაძე. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“



„2010 წლის არჩევნებზე პოლიტიკურმა ძალებმა იზრუნეს საარჩევნო პროგრამების შემუშავებაზე. განსხვავებით 2008 წლისგან, როდესაც ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი მხოლოდ იმით ამაყობდა, რომ შეგინება-დაგინებას შორის განსხვავება იცის. როდესაც პროგრამას არ წარადგენ, შენი „კაი ტიპობა“ ჩემთვის უმნიშვნელოა. ამ მიმართულებით ნელს უკეთესი მდგომარეობა იყო“.

ხუთშაბათი, 10 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
ნიკა ჩიტაძე. ექსპერტი



„ჩვენმა პოლიტიკურმა ძალამ აირჩია არჩევნების გზა. ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ საარჩევნო გარემო ქვეყანაში და მოვემზადოთ საპარლამენტო არჩევნებისთვის, რათა არჩევნების გზით შევცვალოთ ხელისუფლება. საზოგადოება მხარს სწორედ ამ გზას უჭერს“.

პარასკევი, 11 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
ირაკლი ალასანიძე. „ალიანსი საქართველოსთვის“



რადიოქალაქის სტუდიის ტელეფონი: 920 977

მომხრე

ლელა გაფრინდაშვილი
ფილოსოფოსი

სახელმწიფო ჯილდო გაიცემა დარგების ნახალისების ან პიროვნებების ღვაწლის დაფასების მიზნით. პრობლემა ის არის, რომ საზოგადოებისთვის უცნობია, თუ რა კრიტერიუმებით ხდება დასაჯილდოებელთა შერჩევა. 9 აპრილს პრეზიდენტმა 16 ადამიანს გადასცა ჯილდო. მათი სრული სიის მოპოვებაც კი გართულდა. ამ სიაში მოხვდა ერთ-ერთი პედაგოგი, რომლის მხოლოდ სახელი და გვარი იყო მოხსენიებული. დარწმუნებული ვარ, რომ ღირსეული პედაგოგია, მაგრამ საზოგადოებისთვის უცნობია, რითია ის უფრო გამორჩეული, ვიდრე თუნდაც ჩემი მასწავლებელი.

უცნობია, რა მექანიზმი მუშაობს სახელმწიფო ჯილდოების გადაცემისას. ბუნდოვანია დაჯილდოებულთა კონკურენტების ვინაობაც და მათი მიღწევებიც.

26 მაისს დაჯილდოებულთა სიაში ისიც იყო დასახელებული, თუ რისთვის აჯილდოებდნენ ამა თუ იმ ადამიანს (პატრიოტიზმი, ნოვატორობა, თავდადება და ა.შ.), თუმცა კონკრეტულად რა გააკეთეს მათ, არ ვიცით. ეს ბუნდოვანება ბადებს ეჭვს, რომ პრეზიდენტი გასცემს ჯილდოს ხელისუფლებისადმი ლოიალურად ან პოლიტიკურად ნეიტრალურად განწყობილ პირებზე. მართალია, ჯილდო პაატა ბურჭულაძესაც გადასცეს, მაგრამ ის პოლიტიკურად ნეიტრალურად განწყობილ პირებს მიეკუთვნება, მე მისგან ხელისუფლების მწვავე კრიტიკა არ მსმენია. შესაძლოა, ჯილდოს გადაცემა მისი გადმობირების მცდელობაც ყოფილიყო. როლანდ ახალაიას დაჯილდოება კი იმის ყველაზე ნათელი მაგალითია, რომ ხელისუფლება თავისი პირადი სიმპათიების მიხედვით გასცემს ჯილდოებს.

მიკერძოებულობა იქიდანაც ჩანს, თუ რა დარგის წარმომადგენლები დაჯილდოვდნენ – უფრო მეტად მწერლები და სამხედროები, ან ის პოლიტიკოსები, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არიან დაკავშირებული; ამ სიაში იშვიათად ხვდებიან ეკონომისტები, მშენებლები, ინჟინრები ან არქიტექტორები. ■



ჯილდოვებიან თუ საციოსუფლებიან ლოიალურად

■ უცნობია, რა მექანიზმი მუშაობს სახელმწიფო ჯილდოების გადაცემისას. ბუნდოვანია დაჯილდოებულთა კონკურენტების ვინაობაც და მათი მიღწევებიც.



მიხეილ სააკაშვილი ორდენით აჯილდოებს ილიკო სუსიშვილს და ნიაზ დიასამიძეს, თბილისი, 26 მაისი 2010

ფოტო: ირაკლი ბაღდოძე

მონინალმდეგე

ირაკლი გორდულაძე

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე

სახელმწიფო ჯილდოს გაცემის მთავარი მიზანია სახელმწიფოს მხრიდან ადამიანებისადმი პატივისცემის გამოვლენა.

მათი დამსახურების შესახებ სამთავრობო უწყებები ატყობინებენ პრეზიდენტის აპარატის სპეციალურ სამსახურს, რომელიც სახელმწიფო ჯილდოების გადაცემაზე მუშაობს. ეს სამსახური თითოეული წარდგენილი კანდიდატის მონაცემებს შეისწავლის და მათ სიას საქართველოს პრეზიდენტს გადასცემს. საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს.

ამ ადამიანების დაჯილდოების კრიტერიუმები ძალიან ნათლად არის ასახული პარლამენტის მიერ მიღებულ შესაბამის დადგენილებაში. სახელმწიფო ჯილდოები გადაეცემათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და აღორძინების, საზოგადოების კონსოლიდაციის, დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი წვლილისთვის. სამხედრო მოსამსახურეები ჯილდოვდებიან გმირული თავდადებისა და მამაცობისთვის, მოქალაქეები კი – ღირსეული სამსახურისთვის.

მართალია, ასეთი ადამიანი შეიძლება ძალიან ბევრი იყოს, მაგრამ მათ შორის საუკეთესოებიც არსებობენ და ამისთვის მუშაობს პრეზიდენტის აპარატის ჯილდოების გაცემის განყოფილება.

26 მაისს პრეზიდენტმა ძალიან ბევრ ადამიანს გადასცა „ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენი“. მათ შორის იყო პაატა ბურჭულაძეც, რომელსაც, მოარული ხმების მიხედვით, თითქოს „ხელისუფლება არ სწყალობდა“. მას ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინაშე. მისთვის პრეზიდენტის ღირსების ორდენის გადაცემა იმის დასტურია, რომ ეს ჯილდო დამსახურების მიხედვით გაიცემა და არა – პოლიტიკური შეხედულებებისთვის.

ასევე დაჯილდოვდა მუსიკოსი ნიაზ დიასამიძე. მისი შემოქმედება სამოქალაქო პატრიოტიზმის მაგალითია. ჯილდო შეიძლება მისცე იმ ადამიანსაც, რომელიც ქუჩაში ნაგავს ურნაში აგდებს, და ამას სამოქალაქო პატრიოტიზმი ჰქვია. **■**

უ ახა ადამიანები დმი ჰოციბიხუი ბის ბამო?

■ ჯილდო შეიძლება მისცე იმ ადამიანსაც, რომელიც ქუჩაში ნაგავს ურნაში აგდებს, და ამას სამოქალაქო პატრიოტიზმი ჰქვია.



ბავშვების კონკურსი „პრინცები და პრინცესები“, თბილისი, ლისის ტბა, 5 ივნისი 2010



სათამაშო

ბავშვთა სილამაზის კონკურსებით მშობლები საკუთარი სურვილების რეალიზებას ახდენენ. პატარების ფსიქიკაზე კი ეს კონკურსები უარყოფითად აისახება.

მარკა ქოჩიაშვილი

თეთრკაბიანი გოგო, კოპლებიანი თეთრი ელასტიკითა და თეთრი ბერეტით, მუხლებზე ხელებდანიობილი და თვალდახუჭული ზის. გრიმიორი თვალბეჭე, ტუჩებზე პომადას და „ბლესკს“ უსვამს, სახეზეც – ცოტა „რუმიანა“, „ბლიოსტკები“ და გოგონაც სცენაზე გასასვლელად მზად არის. მაკიაჟის დასრულების შემდეგ გამოპრანჭული გოგონების რიგს უერთდება და მისი სახელისა და გვარის გამოცხადების დროს სცენაზე ჩვეულებრივ გადის.

გოგონა სამი წლისაა, მაგრამ პოდიუმზე თავდაჯერებული მიაბიჯებს. მანამდე რეპეტიციასაც დაესწრო და დიდი მოდელივით სცენაზე სიარული და მიხვრა-მოხვრა ისწავლა.

„პატარა პრინცები და პრინცესები“ – ასე ერქვა 5 ივნისს ლისის ტბაზე გამართულ ბავშვთა სილამაზის კონკურსს, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი ამ თეთრკაბიანი 3 წლის გოგონას დედა, თეონა ჩიხლაძე იყო.

„გვინდა, ჩვენი შვილები მიეჩვიონ ქველმოქმედებას და დავეხმაროთ, ცხოვრება გავუღამაზოთ იმ პატარ-

რებს, რომლებიც ბავშვთა სახლებში ცხოვრობენ. ამიტომ მთელი შემოსული თანხა ჩვილ ბავშვთა სახლს გადაეცემა“, – თქვა თეონა ჩიხლაძემ, რომელმაც თანხის შესაგროვებლად სილამაზის კონკურსზე დიდი ყულაბა დადგა და ჩვილ ბავშვთა სახლისთვის თანხის გადასაცემად სადღესასწაულო ტორტების გამოფენა-გაყიდვა მოაწყო.

ლონისძიების კეთილშობილურმა მიზანმა ლისის ტბაზე 10 გოგონასა და 2 ბიჭის მშობელი მიიზიდა. თუმცა, თავიანთი გადანყვეტილების მიზეზად მშობლებმა სხვა არგუმენტები დაასახელეს:

„მინდა, რომ ჩემმა შვილმა საკუთარი თავის წარმოჩენა ისწავლოს საზოგადოებაში“...

„მინდა, გაპრანჭვა და სწორად სიარული ისწავლოს“...

„მინდა, რომ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას მიეჩვიოს“...

„მინდა, ისწავლოს წაგება... ნამდვილი კონკურსიც რომ იყოს, მაინც მოვიყვანდი“... – ამბობდნენ „პატარა პრინცების და პრინცესების“ დედები.

ბავშვთა სილამაზის კონკურსები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 1960-იანი წლებიდან იმართება. ყველა მშობელს, რომელსაც შვილი სილამაზის კონკურსზე გამოჰყავს, თითქმის ისეთივე მოტივი აქვს, როგორც – ქართველ დედებს.

„ბავშვი ეს არის ჩემი დანამატი – ასეთია მშობლების პოზიცია“, – ამბობს ფსიქოლოგი ქეთი მაყაშვილი და ასე ცდილობს, ახსნას დედების გადანყვეტილება, შვილები სილამაზის კონკურსში ჩართონ. ფსიქოლოგების აზრით, ბევრი მათგანისთვის ეს პირადი ამბიციების დაკმაყოფილება უფროა, ვიდრე ბავშვის სურვილი. მშობლებს მოსწონთ ის, რომ მათი შვილები საერთო აღფრთოვანებას იმსახურებენ, ყურადღების ცენტრში ექცევიან და მათი მთავარი „ჯილდოც“ სწორედ ეს „მეორადი“ კმაყოფილების შეგრძნებაა.

ამ პროცესში მშობლები თითქმის არ ფიქრობენ საკუთარი შვილების განცდებზე. ქველმოქმედების კეთილშობილური ეგიდით გამართულ სილამაზის ზეიმებზე, საერთო მხიარულების

დროს მეორეხარისხოვანი ხდება ისიც, თუ რა ფსიქოლოგიური ტრავმა შეიძლება მიადგეთ პატარებს, რომლებსაც ერთმანეთს სილამაზეში აჯიბრებენ.

ჩვენთან ეს პრობლემა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. ბავშვთა სილამაზის კონკურსები, მართალია, სულ, მაგრამ მაინც ქაოტურად იმართება და ჯერ შოუბიზნესისა და ინდუსტრიის ფორმა არ მიუღია. ალბათ ამიტომაც, საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა კვლევა, თუ რა კვალს ტოვებს მსგავსი კონკურსები პატარებზე. ამერიკელი ფსიქოლოგები კი ასკვნიან, რომ მშობლები, რომლებიც სილამაზის კონკურსში რთავენ 5 წლის გოგონებს, მათი სხეულის სექსუალიზებას უწყობენ ხელს. მკვეთრი მაკიაჟი, მაღალი ქუსლები, გამომწვევი საღამოს კაბები, ხელოვნური ნაწნამები, კბილები და პარიკი – ამ აქსესუარებით ამერი-

ერთმა პატარამ პოდიუმზე მშვენივრად გამოიყენა რეპეტიციებზე ნასწავლი მანერები, მეორემ გადაიფიქრა – ნითელ ხალიჩაზე გავლა აღარ მოუნდა და უკან დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ ბუშტების ბარიერს აქეთ მდგარმა დედამ ხელი მოჰკიდა და ხალიჩის ბოლომდე მიიყვანა.

„დაუქნიე ხელი“, – ეუბნებოდნენ 2 წლის ნიტას და პატარაც წარბშეკრული უხალისოდ ესალმებოდა მაყურებლებს. ნიტა მანამდე ისე გაჯიუტდა, რომ მინაზე ფეხის დადგმა საერთოდ არ უნდოდა, ამიტომ ხელში აიყვანეს და ისე წარუდგინეს პუბლიკას.

კაბების წარდგენის შემდეგ ბავშვები მშობლებმა საცურაო კოსტიუმებში გამოაწყვეს.

„მე მგონი, სიზმარია, ღმერთო ჩემო, კუპალნიკებში გამოდიან გოგონები“, – გადაუჩურჩულა ხის ჩრდილს

ბისთვის სექსუალიზებული იმიჯების შექმნა მათ ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს. ამასთანავე კავშირში ქალებში ყველაზე მეტად გავრცელებული სამი მენტალური პრობლემაც – არასწორი კვება, დაბალი თვითშეფასება და დეპრესია.

ეკა აღდგომელაშვილის აზრით, სილამაზის კონკურსების შემთხვევაში, არა მხოლოდ დამარცხება, არამედ მონაწილეობაც კი სტრესია. ბავშვს უწევს იმის მტკიცება, რომ ყველაზე ლამაზია. ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში მისთვის უმნიშვნელოვანესი ფასეულობა საკუთარი სხეული გახდეს, სურვილი კი – როგორმე მოერგოს წინასწარ დადგენილ სილამაზის სტანდარტს, შეიძლება მანიადაც ექცეს.

„პატარებს, რომლებსაც სილამაზის კონკურსში უწევთ ჩართვა, ამ

სპორტული შეჯიბრება წაგებულ პატარას თავის გამოჩენისა და საკუთარი უნარების უკეთ გამოვლენის შანსს მეორედაც აძლევს, სილამაზის კონკურსში კი მთავარი ბავშვის სხეულია.

კულ სილამაზის კონკურსებში მონაწილე პატარებს თოჯინებს ამსგავსებენ და საკუთარი გარეგნობის მიმართ გადამეტებულ მოთხოვნებს უჩენენ.

ლისის ტბაზე გამართულ ბავშვთა კონკურსში ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი და შვიდი წლის „პატარა პრინცესებიც“ მაკიაჟით არიან, თუმცა, ორგანიზატორის თქმით – მაქსიმალურად ბუნებრივი მაკიაჟით. ნითელ ხალიჩაზე გამოსასვლელად მათ მშობლები ამზადებენ.

„დედამ რომ მითხრა, მაგიტომ დავთანხმდი“, – ამბობს 6 წლის ელენე, რომელიც სილამაზის კონკურსში პირველად მონაწილეობს და თავს უხერხულად გრძნობს. ეტყობა, რომ ნერვიულობს. როცა ნითელ ხალიჩაზე გასვლის დრო დგება, დაძაბულობისგან რეპეტიციაზე ნასწავლი მანერები ავინყდება და პოდიუმზე გაშეშებული ხელებით, მუშტებშეკრული მიაბიჯებს.

შეფარებულმა 6 წლის ბიჭმა თავის ორ მეგობარ ბიჭს და ცნობისმოყვარე თვალებით დაელოდა პატარების სცენაზე გამოჩენას.

„სხვას ამას ვერაფერს დავარქმევ, თუ არა პედოფილიას. ამას დღეს ნახავთ სცენაზე, მედიაში, სილამაზის კონკურსებზე. დედას გამოჰყავს სცენაზე ნახევრად შიშველი ბავშვი იმისთვის, რომ თვითონ ვერ შეძლო ცხოვრებაში რალაცის რეალიზება და ბავშვს სათამაშო ობიექტად იყენებს. სილამაზის კონკურსი სხვა არაფერია, თუ არა სცენაზე გამოტანილი სხეული, და ეს ასეა პატარების შემთხვევაშიც“, – ამბობს ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის დირექტორი, ეკა აღდგომელაშვილი.

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის მიერ 2007 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, დადგინდა, რომ მცირეწლოვანი და მოზარდი გოგონე-

ასაკიდანვე აჩვენებენ, რომ მუდმივად აკონტროლონ საკუთარი გარეგნობა და საკუთარ სხეულს მუდმივად სხვისი თვალით უყურონ, იმიტომ რომ შეიძლება სხვისი კრიტიკის ობიექტი გახდნენ. ბავშვებს ცირკის ცხოველივით წვრთნიან, რომ შემდეგ საზოგადოებაში გამოიყვანონ“, – ამბობს ეკა აღდგომელაშვილი.

ვიდრე კონკურსანტები მესამე ტურისთვის ემზადებოდნენ, იქვე ჩვილი ბავშვების ხოხვაში შეჯიბრი გაიმართა. მინაზე გაშლილ დიდ ფარდაზე ყველა პატარას თავის ბილიკი ჰქონდა გამოყოფილი. ბავშვები სტარტთან დასვეს, ფინიშთან ჩაცუცქული მშობლები კი ყველანაირი გზით ცდილობდნენ მათ მიტყუებას. ზუსტად ორ წუთში ყველაფერი ასე გამოიყურებოდა: პაპანაქება სიცხეში ატირებული და მინაზე გაგორებული ბავშვები და მუხლებზე გართხმული დედები,



ბავშვების კონკურსი „პრინცი და პრინცესები“, თბილისი, ლისის ტბა, 5 ივნისი 2010

ფოტო: მარია ქორიათილი

რომლებსაც იმ წუთს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდათ – მათი შვილი ფინიშამდე მისულიყო.

მართალია, ხოხვაში შეჯიბრი ვერ შედგა, მაგრამ გულდანყვეტილი არც ერთი მშობელი არ დარჩენილა – საჩუქარი თითოეულმა კონკურსანტმა მიიღო.

პრინცესის და პრინცის ტიტულიც ყველა მონაწილეს ერგო. სწორედ ამით განსხვავდებოდა ეს კონკურსი სხვა, თუნდაც საზღვარგარეთ ან თუნდაც საქართველოში, სკოლებს შიგნით გამართული კონკურსებისგან – აქ დამარცხებული არავინ ყოფილა.

ამერიკაში ბავშვების სილამაზის კონკურსები კი ბევრად უფრო „დახვეწილი“, მრავალფეროვანი და მასშტაბურია. ერთი წლის განმავლობაში იქ 5000-ზე მეტ კონკურსში 250 000 ბავშვი მონაწილეობს. მათი უმეტესობა ფასიანია, ამიტომ იქ დღეს ბავშვთა სილამაზის კონკურსები ბიზნესმენებისთვის

მომგებიან ინდუსტრიად არის ქცეული. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ არანაკლებად სტრესული შეიძლება იყოს ბავშვისთვის სპორტულ შეჯიბრში დამარცხებაც. თუმცა, განსხვავება ისაა, რომ სპორტული შეჯიბრება წაგებულ პატარას თავის გამოჩენისა და საკუთარი უნარების უკეთ გამოვლენის შანსს მეორედაც აძლევს, სილამაზის კონკურსში კი მთავარი ბავშვის სხეულია.

24 წლის ნუცა ამბობს, რომ თავის ქალიშვილს სილამაზის კონკურსში მონაწილეობას არასდროს მიაღებინებს: „მეზიზღება ბავშვების სილამაზის კონკურსები. პატარებს ისე პრანჭავენ, რომ დიდებს ჰგვანან. შემდეგ ბავშვებს ჰგონიათ, რომ უფროსებს ზუსტად ასეთი ბავშვები მოსწონთ და იმის მაგივრად, რომ ქვიშაში ითამაშონ, სარკის წინ გამომწვევად სიარულში ვარჯიშობენ. და საერთოდ,

რას ეუბნებიან ამით ბავშვებს – რომ მთავარი გარეგნული სილამაზეა?!“

ბავშვების სილამაზის კონკურსებში გამოყვანა არ ითვლება ბავშვის შრომად. შესაბამისად, ამას ამერიკული კანონმდებლობაც კი არ არეგულირებს. ეს პირდაპირი მნიშვნელობით არც ბავშვთა უფლებების დარღვევაა, რადგან მშობელს აქვს უფლება, 10 წლამდე ბავშვის მაგივრად, გადაწყვეტილებები თვითონ მიიღოს.

„პატარა პრინცი და პრინცესები“ ერთჯერადი აქცია არ ყოფილა. მის ორგანიზატორს სურვილი აქვს, გაცილებით უფრო მასშტაბური ზეიმი საახალწლოდ მოაწყოს. პატარების სილამაზის კონკურსი სულ უფრო ხშირად ეწყობა საჯარო სკოლებშიც. ეს ერთი შეხედვით უწყინარი გართობა კი, ხშირად ქველმოქმედების კეთილშობილური საბაბით, პატარებზე უარყოფით კვალს ტოვებს. ■

სახვები სხვა საქმეა



განვითარებული ქვეყნები აპირებენ, რომ თავიანთი სოფლის მეურნეობები იმ ყაიდაზე მოაწყონ, როგორც საქართველოში 15 წლის წინ იყო, ამ დროს კი საქართველო სანინაალმდეგო მიმართულებით მიდის.

მარკ მალენი

ჩვენ თავისუფალი ვაჭრობის ხანაში ვცხოვრობთ და ეს საქართველოს მთავრობაზე უკეთ ცოტა მთავრობას თუ ესმის. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში გასაკეთებელი კიდევ ბევრია, საკვები პროდუქტების იმპორტირების სფეროში, შევარდნაძის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიმჩნევა. საქართველოს მთავრობის ლიბერტიარიანულ შეხედულებებს მივყავართ თავისუფალ ვაჭრობამდე, რაც ყველა სხვა პოლიტიკურ ქმედებაზე უფრო ჭკვიანურია, მაგრამ საკვები სულ სხვა საქმეა. საკვები პროდუქტების მიღებისა და გაყიდვის გზები საქართველოში იცვლება და, შესაბამისად, იცვლება ისიც, თუ როგორ იკვებებიან ქართველები. პრობლემა ისაა, რომ საქართველო საკვების მოხმარების კუთხით განვითარებული სამყაროს სანინაალმდეგო მიმართულებით მიდის. ვინც ინგლისურად კითხულობს, მათ ალბათ დაინტერესებთ ამერიკაში ამ საკითხზე მომუშავე ყველაზე მნიშვნელოვანი მწერალი. ამისათვის ეს ვებგვერდი მოინახულეთ: www.michael-pollan.com

ჩემი ოჯახის წევრები ამერიკიდან საქართველოში პირველად 11 წლის წინ ჩამოვიდნენ. ერთ-ერთი პირველი, რაც მათ შეამჩნიეს, ის იყო, თუ რა კარგად გამოიყურებოდნენ ქართველები ამერიკელებთან შედარებით: ისინი იყვნენ გამხდრები, შესანიშნავ ფორმაში. ამერიკაში სასწავლებლად ჩასულ ქართველებს მაშინვე თვალში ხვდებათ, თუ როგორი მსუქნები არიან ამერიკელები. ათი წლის წინ თბილისში ხალხი

ფეხით უფრო მეტს მოძრაობდა, ვიდრე დღეს, მაგრამ ამჟამად ყველგან მანქანით სიარულს ანიჭებენ უპირატესობას. საკვები თბილისში განსხვავებულია. სავაჭრო ბარიერები ძალიან დაბალია და იმპორტირებული საკვები ყველგან იაფად იშოვება. ათი წლის წინ, როდესაც ხალხს საკვების ყიდვა უნდოდა, ყიდულობდნენ პურს და მცენარეულ საკვებს, თუ მეტი ფული ჰქონდათ – ხორცსაც, და ეს ყველაფერი ახლომასლო იყო და მზადებული. ახლა საკვები პროდუქტები

■ მსოფლიოში საქართველო მალალი ხარისხის საკვები პროდუქტებითა და ჯანმრთელი მოსახლეობითაა ცნობილი. მოდი, ეს ასეც დარჩეს.

მთელი მსოფლიოდან შემოდის და მათი წარმოება ძირითადად მთავრობების მიერ არის სუბსიდირებული. ეს პროდუქტები პლასტიკურ ფუთებში ინახება და ბევრ სპეციალურ შემნახავ ნივთიერებას შეიცავს – მარილს, ხორბლის სიროფსა და ქიმიურ ნივთიერებებს. საქართველომ აუცილებლად უნდა მიაღწიოს იმას, რომ ეს საკვები პროდუქტები ქართულად იყოს დაფასოებული, რათა ყველამ ნაიკითხოს მათი შემადგენელი ინგრედიენტები. ეს რაღაც ტიპის რეგულაციას ჰგავს და მთავრობა ამიტომაც ფრთხილობს მის განხორციელებას. ვინ უნდა განახორციელოს ინსპექცია? როგორ მოხდება ამ ყველაფრის მართვა?

ხელისუფლების სასოფლო სამეურნეო პოლიტიკაში უსაფრთხო საკვებს უკვე პრიორიტეტი ენიჭება, მაგრამ ამას ევროკავშირი მოითხოვს, და თუ საქართველოს ევროკავშირთან ყველასათვის სასარგებლო თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება სურს, ამ პოლიტიკას უნდა დამოწილოს. ამავე დროს ფერმერები და მათი მეგობრები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას პირდაპირ მოსახლეობაზე ყიდდნენ, ახლა თბილისის გარეთ დარჩნენ, საკვების დისტრიბუციის ბიზნესს ჩამოშორებულნი. ახლა საკვებ პროდუქტებს დიდი ფირმები ყიდულობენ და ყიდიან, როგორც ეს განვითარებული მსოფლიოს უდიდეს ნაწილში ხდება. მდიდარ ქვეყნებში განათლებული ადამიანების დიდი ნაწილი აღიარებს, რომ გადაამუშავებული საკვები პრობლემაა; საქართველო კი საკვები პროდუქტების იმპორტირებით სწორედ სანინაალმდეგო მიმართულებით მიდის. ზოგიერთი იმპორტირებული საკვები ადგილობრივზე უკეთესიცაა და უფრო იაფიცაა. ამიტომ, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მოხმარებელს აქვს უფლება იყიდოს პომიდორი, რომელიც აქვე, თურქეთშია მოყვანილი და უარესია, ვიდრე ქართული. ამ ტენდენციის ლოგიკური გაგრძელება საშიში მიმართულებით წაგვიყვანს. სხვა პრობლემები იმასთან არის დაკავშირებული, რომ ფერმერები საქართველოში ვერ უზრუნველყოფენ მსხვილი გადაწყვეტილებისთვის დიდი რაოდენობის პროდუქტების რეგულარულ მიწოდებას.

და მინც, საქართველოში მცხოვრები პატიოსანი უცხოელი გეტყვის, რომ ხილი

და ბოსტნეული საქართველოში უკეთესია, ვიდრე მის ქვეყანაში. ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ ქართული მიწა უკეთესია, არამედ ის, რომ ნაკვეთები მცირეა და მცირე რაოდენობის გენეტიკურად მოდიფიცირებული თესლი, სასუქი და სანამლაჟი მოიპოვება. სხვათა შორის, ამ ყოველივეს გამოყენება საქართველოშიც მათულობს და ეს ზოგიერთი უცხოელი დონორისა და სამთავრობო პოლიტიკის მიერ წახალისებულიც კია.

რას ნიშნავს ეს ფერმერებისთვის? საქართველოს ბევრი სოფელი დაუსახლებელია. ფერმერებისთვის საკვებ პროდუქტებში გადახდილი საფასური მცირეა, რადგან ქალაქის მოსახლეობა იაფი იმპორტირებული საკვებით იკვებება. მე არ მინდა, რომ თავისუფალ ვაჭრობას ხელი შევუშალო, პირიქით – თავისუფალი ვაჭრობის მომხრე ვარ ყველა სფეროში, გარდა საკვები პროდუქტებისა. განვითარებული ქვეყნები აპირებენ, რომ თავიანთი სოფლის მეურნეობები იმ ყაიდაზე მოაწყონ, როგორც საქართველოში 15 წლის წინ იყო, საქართველო კი ამ დროს სანიანალმდეგო მიმართულებით მიდის. საქართველო ვითარდება და ეს დიდებული საქმეა, მაგრამ მან უნდა აირჩიოს მიმართულება, საითკენ განვითარდეს.

მსოფლიოში საქართველო მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტებითა და ჯანმრთელი მოსახლეობითაა ცნობილი. მოდი, ეს ასეც დარჩეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი განსხვავებული ინტერესი იკვეთება, რომლებიც, შესაძლოა, ერთმანეთთან კონფლიქტში შევიდეს. ეს ინტერესებია: მცირე ფერმერები, მსხვილი ფერმერები, მეზობელი ქვეყნები, ევროკავშირი და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მცდელობები, ქალაქებში მცხოვრები მომხმარებლები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ფაქტობრივად, ეს საკითხი ყველაფერს მოიცავს. ეს არის ისეთი პოლიტიკური საკითხის კლასიკური მაგალითი, რომელიც ბევრ ფიქრსა და დისკუსიას მოითხოვს, და ეროვნულ კონსენსუსსაც, თუ მისი წარმატებით გადაჭრა გვსურს. ■

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

"დღეს ევროპა ჩი ჩიის მზად, ყველა მსახვილი მიიღოს"

ინტერვიუ პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტთან,
ლეს ვალენსასთან

გდანსკის ძველ ნაწილში, ერთ-ერთი შენობის კარზე ჰკიდია აბრა: „ლეს ვალენსას ბიურო“. პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი, ლეგენდარული პროფკავშირების „სოლიდარობის“ ლიდერი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ლეს ვალენსა აქ უცხოელ ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, ექსპერტებს მასპინძლობს. „იგი უბრალოდ ლეს ვალენსად მუშაობს“, – ამბობენ მასზე გდანსკში. „ლიბერალს“ იგი „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაზე“, პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და ევროპის მომავალზე ესაუბრა.



ბატონო ვალენსა, „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა“, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ევროპასთან დაახლოებას ისახავს მიზნად, პოლონეთის ინიციატივაა. თქვენც

აზრით, რა პერსპექტივას უსახავს ის საქართველოს?

მოდით ასე გიპასუხებთ, მამაჩემი მეორე მსოფლიო ომის დროს დაიღუპა. მასთან ერთი წუთით გასაუბრება

რომ შემეძლოს, ვეტყვოდი: „მამა, ვერ ნარმოიდგენ, როგორ გამოიყურება დღეს ევროპა! დღეს ევროპაში საზღვრები აღარ არის! პოლონეთ-გერმანიის საზღვართან ჯარისკაცები აღარ დგანან! – ალბათ არ დამიჯერებდა სანყალი მამაჩემი. 20 წლის წინაც კი ეს დაუჯერებელი იყო.

მსოფლიო უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. საქართველო დღეს არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ მისი სიხლოვე ევროპასთან გარდაუვალია, ისევე როგორც – სამხრეთი კავკასიის სხვა ქვეყნის. თუმცა, ეს მტკიცეული პროცესია. დიდი სიფრთხილე გვმართებს. ჯერ უნდა შევამზადოთ ერთმანეთი. ფუნდამენტურად განსხვავებული საზოგადოებები ვართ – სხვადასხვა რელიგია, მსოფლმხედველობა გვაქვს.

ბელორუსში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, რადგან ამ განცხადებების უკან კონკრეტული ნაბიჯები ვერ იქნება. ცხადია, წარმოდგენილია ევროპა ბელორუსის და უკრაინის გარეშე, მაგრამ ახლა ისეთ ვითარებაში ვართ, რომ ჰიპოკრატეს ფიცს უნდა მივყვეთ – არ უნდა ვავნოთ. ბელორუსი, ისევე როგორც სხვა ბევრი ქვეყანა, ჯერ კიდევ დამოკიდებულია რუსეთზე და თუ რუსეთს განვარისხებთ, ისევე ბელორუსი ხალხი იზარალებს. პრაგმატულები უნდა ვიყოთ.

საქართველოსთან მიმართებაშიც იგივე პრაგმატიზმი მოქმედებს? თბილისიდან 30 კილომეტრში რუსული ჯარი დგას, სარკოზი-მედედევის გეგმა დღემდე არ სრულდება. რუსეთზე ზენოლის რა ბერკეტები აქვს ევროპას?

რა სათამაშოები აქვს რუსეთს. იქ არაფერი შეცვლილა, ისევე ძველებური პოლიტიკა აქვთ. ერთადერთი გზაა, წყნარად, ტექნიკურად, ინტელექტუალურად, ნაბიჯ-ნაბიჯ ვიმოქმედოთ. ბრძნული გადაწყვეტილებები მივიღოთ.

საქართველო აუცილებლად უნდა მივიდეს თავისუფლებამდე. ოღონდ თავისუფლებამდე და არა უფსკრულამდე და სიკვდილამდე. რუსეთთან მამაცები უნდა ვიყოთ, მაგრამ ამავე დროს პრაგმატულები.

მეორე მხრივ, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი უდიდესი ტესტი იყო გაერო-სთვის, აშშ-სთვის, ევროკავშირისთვის. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა და გავაცნობიეროთ ყველა ნაკლი და ხარვეზი, რომელიც კარგად გამოავლინა ამ ტესტმა.

■ როცა მე ვიყავი პრეზიდენტი, მქონდა ცდუნება, რუსეთისთვის ომი გამოემცხადებინა. ხელები მეფხანებოდა, როგორც იტყვიან.

თუ დაახლოება ზედმეტად სწრაფად მოხდება, შევძლებთ კი სიტუაციის გაკონტროლებას?

დღეს ევროპა არ არის მზად, ყველა მსურველი მიიღოს, მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს ქვეყნები დაუახლოვდნენ ევროპას. მიხარია, რომ სწორედ პოლონეთია აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ინიციატორი. თანამშრომლობის ეს ფორმა მოამზადებს ქვეყნებს ევროპისთვის. ეს პროგრამა პოლივითაა, საიდანაც მერე განათებულ მისაღებ ოთახში გაგიძღვებიან.

პოლონეთი, რომელსაც უკეთ ესმის თქვენი, ყოველთვის დაეხმარება ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს, მაგრამ სამწუხაროდ, ევროპელებს ბევრი შიდა პრობლემა გვაქვს, ბევრი უთანხმოება მთელ რიგ საკითხებზე.

უნდა დაველოდოთ დროს, როცა ევროპა მართლაც ძლიერი იქნება. დღეს პოლონეთი ვერ აკეთებს ხმა-მაღალ განცხადებებს, მაგალითად,

თქვენ ჩემზე კარგად იცით, რამდენი ნაღმია ჩადებული რუსეთის ფედერაციაში. სამხრეთი ოსეთის და აფხაზეთის აღიარებით რუსეთმა პრეტენდენტი შექმნა. რუსეთში 60 თუ 80 ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. ეს სახიფათო პირველ რიგში კრემლისთვის უნდა იყოს, რადგან შეიძლება იმპერია თავზე დაენგრეს.

რა შეუძლია დასავლეთს? ომი გამოუცხადოს რუსეთს? ეს სისულელე და თვითმკვლევობა იქნება. თუმცა, გამოგიტყდებით, როცა მე ვიყავი პრეზიდენტი, მქონდა ცდუნება, რუსეთისთვის ომი გამოემცხადებინა. ხელები მეფხანებოდა, როგორც იტყვიან. გაცოფებული ვიყავი, მაგრამ ჭკვიანმა ხალხმა გამაჩერა. დღეს მე მათი მადლობელი ვარ. სამწუხაროდ, რუსეთთან ასეთი ტიპის დაპირისპირებამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მთელი ევროპა ჰაერში აღმოჩნდეს. ყველამ ვიცით,

ზოგი პოლიტიკური კომენტატორი ვარაუდობს, რომ საქართველოს დიდი გულშემატკივრის – ლეს კაჩინსკის გარდაცვალების შემდეგ პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობა უფრო ცივი და პრაგმატული გახდება. თქვენ თუ იზიარებთ ამ მოსაზრებას?

პოლონელებს ძალიან უყვართ ქართველები და ეს მხოლოდ კაჩინსკის დამსახურება არ ყოფილა. ჩვენ – პოლონელებს მხოლოდ ერთი ქართველი არ გვიყვარდა, სხვა ყველა გვიყვარს.

ჩვენს პრეზიდენტს – ლეს კაჩინსკის სჩვეოდა ემოციების საჯაროდ გამომჟღავნება. ზოგს ეს მოსწონდა, სხვას – არა. მე, პირადად, ვამჯობინებ, კონკრეტული საქმით დავამტკიცო ჩემი დამოკიდებულება, ვიდრე ემოციებით. პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ათამდე კანდიდატი იყრის კენჭს. მათ შორის არ არის არც ერთი, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში საქართველოსთან ურთიერთობებს გააფუჭებს. პირადად მე


– ლეხ ვალენსა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ქართველი და პოლონელი ხალხის მეგობრობას არაფერი დაემუქროს.

20 ივნისის პოლონეთი ახალ პრეზიდენტს ირჩევს. ვის უჭერს მხარს ლეხ ვალენსა – ბრონისლავ კომოროვსკის თუ იაროსლავ კაჩინსკის?

მე კომოროვსკის ვუჭერ მხარს. თუმცა, დემოკრატიას თავისი წესები აქვს – ვისაც ხალხი აირჩევს, პრეზიდენტიც ის იქნება. სინამდვილეში, დიდი სხვაობაა, თუ როგორ გამოიყურება კანდიდატი წინასაარჩევნო პერიოდში და გამარჯვების მერე. მხოლოდ არჩევნების შემდეგ გამოაჩენენ ხოლმე რქებს. მოგვიანებით გავიგებთ, ვინ როგორ გამოადგება პოლონეთს. ჩემი აზრით, კომოროვსკი უკეთესი კანდიდატურაა. მე მას მივცემ ხმას.

დღევანდელი პოლონეთი ის ქვეყანაა, რომელზეც თქვენ კომუნისტური რეჟიმის დროს ოცნებობდით?

არა. სულ სხვა ქვეყანაა. ჩემს რევოლუციამდე ვინმეს რომ ეთქვა, რომ ამ დროს მოვესწრებოდი, არ დავუჯერებდი. არ დავიჯერებდი, რომ ჩემთან სტუმრად მოვიდოდა ჟურნალისტი საქართველოდან. არ დავიჯერებდი, რომ მოვესწრებოდი დროს, როცა არ არის კომუნიზმი. მე მთელ გალაქტიკაში ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ ამ დროს მოვესწარი. მეორე მხრივ კი, ცხადია, ეს ის ევროპა და ის მსოფლიო არ არის, რაც ჩვენ გვინდა.

სამ პრინციპს გამოვყოფდი, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის ერთიანი და უცვლელი უნდა იყოს – აღარ უნდა იცვლებოდეს მე-20 საუკუნეში საერთაშორისო სამართლით დადგენილი საზღვრები; უნდა დავამარცხოთ შოვინიზმი, ანტისემიტიზმი, რასიზმი; და, ცხადია, არავითარი ტერორიზმი ახალ მსოფლიოში. ჩვენ 21-ე საუკუნის თაობა ვართ. არავის უნდა მივცეთ უფლება, ეს სამი პუნქტი დაარღვიოს. 

ესაუბრა სოფო ბუკია

თვალსაზრისი

ხატომ უნდა ბავიაზხოთ საბჭოთა ხავერდი

საბჭოეთის უკეთესად გააზრება დაგვეხმარება იმაში, რომ თანამედროვეობაში წარსული სისტემის გავლენები დავინახოთ.

გიორგი ცხადია



დასავლეთში ცივი ომის პერიოდში არსებობდა საბჭოთა კავშირის შემსწავლელი მეცნიერება, რომელსაც სოვიეტოლოგია ერქვა. დღეს იგივე დისციპლინას კრემლინოლოგიას ეძახიან. ყოფილ საბჭოთა სივრცეში კი საბჭოთა კავშირის კვლევა დღის წესრიგში თითქმის არასდროს დამდგარა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ქართული სოციალური მეცნიერების მდგომარეობა – შეზღუდული მატერიალური და ადამიანური რესურსები შეუძლებელს ხდიდა ისტორიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე სერიოზულად დისკუსიას. მეცნიერების გულგრილობის კიდევ ერთი მიზეზი, ნაწილობრივ, შესაძლოა, ისიც იყო, რომ საზოგადოებაში ამ თემის მიმართ ყოველთვის ჩნდებოდა ორაზროვნება და წინააღმდეგობები.

პოსტსაბჭოთა ქართული საზოგადოებისთვის ორი უკიდურესობა დამახასიათებელი: ერთი მხრივ, საბჭოთა წარსულზე ტაბუს დანესება და მისი იგნორირება, როგორც ტრაგედიის, რომელიც მალე უნდა დავივიწყოთ, მეორე მხრივ, საბჭოთა წარსულის გაიდება, მასზე ნოსტალგია და მისი დაბრუნებისთვის ჭმუნვა. ორივე შემთხვევაში პრობლემა უკავშირდება ისტორიული ფაქტების არცოდნას, პოლიტიკური და ეკონომიკური შეფასების და ამ საკითხზე რაციონალური დისკუსიის ნაკლებობას. ორივე ეს ტენდენცია ერთნაირად უწყობდა ხელს იმას, რომ მათ საფუძველზე ირაციონალური იდეოლოგიები ჩამოყალიბებულიყო.


პირველის შემთხვევაში, საფუძვლიანი ნიადაგი მომზადდა მემარჯვენე ლიბერტარიანიზმის რადიკალური ფორმის ჩამოსაყალიბებლად. საბაზრო კაპიტალიზმის ეს იდეალიზირებული ვერსია სახელმწიფოს ნებისმიერი ტიპის ჩარევას ბაზარში აღიქვამს კომუნისტურ, საბჭოთა გადმონაშთად და საზოგადოებისთვის დამლუპველად აფასებს. იმისი ცოდნა, თუ როგორი იყო საბჭოთა ეკონომიკა და რატომ არ შეიძლება სახელმწიფოს მიერ ბაზარში ყველა სახის ჩარევის ერთ სიბრტყეზე განხილვა, ამ საკითხებზე რაციონალურ დებატებს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

მეორე ტენდენციის შემთხვევაში, ადამიანებს აქვთ იდეალიზირებულად

დადებითი წარმოდგენა საბჭოთა ეკონომიკასა და საზოგადოებაზე. სინამდვილეში, თუ საბჭოთა ეკონომიკის მუშაობის ისტორიულ დინამიკას ერთ მთლიან ქრონოლოგიურ ჩარჩოში განვიხილავთ, შევძლებთ იმის დანახვას, თუ რა იყო სისტემის შედარებითი ზრდისა და რეცესიების მიზეზები და რატომ გამოიწვია ეკონომიკურმა კრიზისმა საბჭოთა კავშირის დაშლა. ამ საკითხებზე მხოლოდ ფოლკლორული წარმოდგენების ქონა ხელს უწყობს მოქალაქეთა ნაივური დამოკიდებულების ნახალისებას სახელმწიფოსა და საზოგადოების როლის მიმართ. დღემდე ძალიან ბუნდოვანი წარმოდ-

გენები არსებობს იმაზე, თუ როგორ მუშაობდა საბჭოთა ეკონომიკა, რა პრობლემები ჰქონდა მას სხვადასხვა ეკონომიკური რეფორმების დროს. ერთი სიტყვით, არ ხდება იმ ეკონომიკური მოდელის ნაკლოვანებების მთლიანობაში აღქმა, რომელმაც კრაზი განიცადა. ტელევიზიით დღემდე გამიგია ხოლმე ფრაზა, რომ სახელმწიფომ „ფაბრიკა-ქარხნები“ უნდა ააშენოს. სახელმწიფოს როლზე წარმოდგენები ჯერ კიდევ გულისხმობს საყოველთაო ძიძა სახელმწიფოს არსებობას, რომელიც მოქალაქეებს აძლევს ყველანაირ საშუალებას იმისთვის, რომ საკუთარი ძალისხმევა ნაკლებად გა-

■ **ფატალური შეცდომების განხილვამ მუდმივად უნდა დაგვაფიქროს იმაზე, თუ რა უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების პრიორიტეტი და სად უნდა ველოდოთ საფრთხეს საზოგადოების განვითარებისთვის.**



მოიყენონ პოლიტიკური და სამოქალაქო პრობლემების გადაჭრისას. ამ შემთხვევაში, „ფაბრიკა-ქარხნების“ ამშენებელი სახელმწიფო ყოვლისშემძლე ინსტიტუტია, რომელიც რესურსებზე ბუნებრივი ლიმიტის მიუხედავად, შეძლებს ერთი ხელის დაკვრით ყველა პრობლემის გადაჭრას. სინამდვილეში, დემოკრატიული და წარმატებული საზოგადოება ეფუძნება მოქალაქეთა შორის ძლიერ სამოქალაქო კავშირებს, წარმატებულ, ქვემოდან (და არა ზემოდან) ინიცირებულ კოლექტიურ ქმედებას და სოციალური პასუხისმგებლობის გააზრებას საზოგადოებაში.

რა თქმა უნდა, სახელმწიფო „ფაბრიკა-ქარხნებს“ ვერ ააშენებს ისე, რომ მოქალაქეთა იმგვარ სრულ დასაქმებას მიაღწიოს, როგორც ეს საბჭოთა დროს იყო. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ იმ ექსტრაორდინარულ სიტუაციაში იყო შესაძლებელი, როდესაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სისტემა შედარებით სტაბილურობას აღწევდა, ბუნებრივი

რესურსების გამოყენებითა და ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობით. ეს სიტუაცია უნიკალური იყო იმიტაც, რომ სხვადასხვა რესპუბლიკებს შორის ერთგვარი შრომის დანაწილების სქემა არსებობდა. მაგალითად, ისეთი რესპუბლიკები, როგორც საქართველო და მოლდავეთი იყო, ღვინის და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტზე იყო სპეციალიზირებული, ყაზახეთი – ხორბლის ექსპორტზე, აზერბაიჯანი – ნავთობის, და ა.შ. ავტარქიული ანუ თვითკმარი საბჭოთა ეკონომიკის შენარჩუნება საბოლოოდ შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან გარე სამყაროსთან ეკონომიკური, კულტურული და ინტელექტუალური გაცვლა-გამოცვლის გარეშე, სისტემის რესურსები მალე ამოიწურა.

საბჭოთა ეკონომიკის ექსტრაორდინარულ ხასიათზე უფრო მეტად საბჭოთა სისტემის პოლიტიკური მხარე ხდება ხოლმე კონტროვერსიის მიზეზი. დღემდე კამათობენ იმაზე, თუ რამდენი ადამიანი შეინარა რეჟიმის მიერ განხორციელებულმა რეპრესიებმა და რამდენად შეუწყო ხელი, ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, საბჭოთა კავშირის დაშლას „გლასნოსტის“ რეფორმებმა. პოლიტიკური რეპრესიების, გულაგების და საკონცენტრაციო ბანაკების თემა პოსტ-საბჭოთა სივრცეში მყოფი სახელმწიფოების ბევრი მოქალაქისთვის ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. ამ პოლიტიკური ოპერაციების დიდი გასაიდუმლოებულობის გამო, მათ შესახებ ხშირ შემთხვევაში დეტალური ინფორმაცია არ მოიპოვება, თუმცა რაც მოიპოვება, ის სავესებით საკმარისია იმისთვის, რომ მეტ-ნაკლებად რეალურად აღვიქვათ, თუ რას წარმოადგენდა პოლიტიკური რეპრესიების მანქანა. ანალოგიურად, 30-იანი წლების რეპრესიების შესახებაც მოქალაქეებს ხშირად ისტორიული სურათის დანახვა უჭირთ.

„პერესტროიკის“ დროს სიტყვის თავისუფლებამ ხელი შეუწყო არა მხოლოდ სისტემის დემოკრატიზაციას, არამედ „დაკარგული წარსულის“ გახსენებას. ეს წარსული მტკივნეული და სისხლიანია, მაგრამ ამავე დროს ადამიანური ბუნების ყველაზე ბნელი მხარეების არსე-

ბობის შესახებ გვაუწყებს. შეცდომები, რომელიც 100 და 50 წლის წინ დაუშვეს, შესაძლოა, დღემდე აქტუალური იყოს, რადგან მათში საზოგადოების უუნარობა და დეგრადაცია ჩანს. ფატალური შეცდომების განხილვამ მუდმივად უნდა დაგვაფიქროს იმაზე, თუ რა უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების პრიორიტეტი და სად უნდა ველოდოთ საფრთხეს საზოგადოების განვითარებისთვის. ადამიანები დღემდე გაუცნობიერებლად მოქმედებენ ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ შიშისა და კონფორმიზმის ჩარჩოებში. საბჭოეთის უკეთესად გააზრება დაგვეხმარება იმაში, რომ თანამედროვეობაში წარსული სისტემის გავლენები დავიანახოთ.

საბჭოეთის დემისტოფიკაციის, მისი შესწავლისა და ანალიზისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივა საბჭოთა ისტორიაზე დასავლელი ავტორების ნაშრომების და წიგნების თარგმანა იქნება. ახლახან წავიკითხე ამერიკელი ისტორიკოსის, რუსეთის ისტორიის ცნობილი ექსპერტის მარტინ მალიას წიგნი „საბჭოთა ტრაგედია: სოციალიზმის ისტორია რუსეთში, 1917-1991“ (1994). საინტერესოდ, მსგავსი წიგნები ქართულად ჯერჯერობით არ ითარგმნება. მომავალში იმედია, რომ ამ სფეროში მნიშვნელოვანი ძვრები იქნება. სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ბოლო ხანებში გაიხსნა ჯგუფი „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“, რომლის აღწერაშიც ვკითხულობთ, რომ ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულია საბჭოთა პერიოდზე ზეპირი და დოკუმენტური ინფორმაციის მოპოვებაში. ასევე, სულ ახლახან, ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოს“ დაფინანსებით, ჟურნალმა „ცხელმა შოკოლადმა“ დაიწყო ახალი პროექტი – „განსაბჭოება“, რომელიც მოიცავს საქართველოს 8 რეგიონში საბჭოთა პოლიტიკის, საზოგადოებისა და კულტურის შესახებ სემინარების ჩატარებას და დისკუსიას.

საბჭოთა წარსულის კვლევისა და ანალიზის მცდელობები კი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ინიციატივებით და საზოგადოებრივი დაინტერესების საგნად უნდა იქცეს. **□**



სტალინის მუზეუმი გორში

ფოტო: თინო ბარბაქაძე

სახონსტიტუციო აცხიხნახივა

ინტერვიუ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრთან,
მინდია უგრეხელიძესთან

საზოგადოებრივმა საკონსტიტუციო კომისიამ, რომელიც ერთი წლის წინ შეიქმნა,
„საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია“
2010 წლის 9 აპრილს გამოაქვეყნა.



ფოტო: ენკორაპრუს არქივიდან

და ლეგიტიმური და რეალობას ვერ ასახავდა.

როგორ შეაფასებდით საქართველოს კონსტიტუციის 2004 წლის ცვლილებებამდე და რა სახის პრობლემებია სახელმწიფო კომისიის მიერ შექმნილ პროექტში?

1995 წლის კონსტიტუციის შეფასებისას შეიძლება ვერ ვიყო ობიექტური, რადგან თავად ვმონაწილეობდი მის შექმნაში. მაშინ მართლმსაჯულების ქვეკომისიის თავმჯდომარე გახლდით და საკმაოდ საინტერესოდ ვიმუშავეთ. მაშინდელი კონსტიტუცია იმ მინიმალურ სტანდარტებს, რასაც ევროპა ითხოვდა, აკმაყოფილებდა, მეტადრე – ადამიანის უფლებების ნაწილში.

ცხადია, აღმოჩენები არ გაგვიკეთებია, ეს იყო ქართული ვარიანტი იმისა, რაც ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება. ამიტომაც, დღევანდელ პროექტში ადამიანის უფლებების მხრივ მაინც დამაინც დიდ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ. მოკლედ, ასე ვიტყვოდი – 1995 წლის კონსტიტუცია გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნის კონსტიტუცია, მაგრამ ცხადია, შორს იყო იმ იდეალისგან, რასაც მეოცნებე იურისტები ვისურვებდით. მიმაჩნია, რომ იურისტი რეალისტი უნდა იყოს, მაგრამ ასევე ის უკეთეს მომავალზე უნდა ოცნებობდეს და ზრუნავდეს.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტში ბალანსი სამ ხელისუფლებას შორის,

არ მგონია, ოპტიმალური ან დელიკატური იყოს. პროექტის მიხედვით, აღმასრულებელ ხელისუფლებას კვლავ რჩება სადავეები, დანარჩენი ორი კი მოკრძალებულადაა წარმოდგენილი. ბალანსის ამგვარი დარღვევა საფრთხეს უქმნის იმ ხალხს, რომელიც თავად არის ხელისუფლების წყარო.

თქვენი კომისია კონსტიტუციის საპარლამენტო მოდელზე მუშაობს. საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი კვლევების მიხედვით კი, ქვეყნის მოსახლის ამ მოდელს ხალხის მცირე რაოდენობა, სულ 7% უჭერს მხარს. მოიქეცით თუ არა თქვენ და ამ კომისიის წევრები ისე, როგორც „მეოცნებე იურისტები“?

ხალხის შეხედულებას იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის მოსახლის საკონსტიტუციო მოდელი, შეიძლება პროფესიონალისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდეს. სიკვდილით დასჯა ხომ გაცილებით მარტივია, ვიდრე საკონსტიტუციო მოწყობა, მაგრამ გაგიჭირდებათ მსოფლიოში ნახოთ ისეთი ხალხი, სულ ერთია, ინგლისში, საფრანგეთსა თუ ბირმაში, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ერთხმად გამოვა.

ხალხს უნდა ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ არ იცის, როგორ უნდა ააშენოს ბედნიერება და ცდილობს, მოძებნოს მესია, ამ შემთხვევაში – პრეზიდენტი, რომელიც მოვა, ჩაიბარებს საქმეს, ხალხი კი არხეინად იცხოვრებს.

ბატონო მინდია, რატომ გადაწყვიტეთ, რომ დამოუკიდებლად გემუშავათ და არ გეთანამშრომლათ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასთან?

სახელმწიფო კომისიაში მუშაობა შემომთავაზეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქ არ იყო წარმოდგენილი ფართო პოლიტიკური სპექტრი. არადა, სწორედ პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის ღირებულებებს და მათ ინტერესებს. ამიტომ, ჩავთვალე, რომ თუკი პოლიტიკური პარტიები კომისიის გარეთ დარჩებოდნენ, კონსტიტუციის პროექტი არ იქნებო-

მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა ყველაზე უკეთ იძლევა საშუალებას, პოლიტიკური კრიზისი მშვიდობიანი, ხავერდოვანი გზებით გადაიჭრას. ეს არ ნიშნავს, რომ ეს მმართველობის იდეალური ფორმაა. ცხადია, თავისი სირთულეები აქვს, მაგრამ ვცდილობთ, ისინი სხვადასხვა საშუალებებით დავძლიოთ.

დემოკრატია უმრავლესობის ნებაა, მაგრამ თვით უმრავლესობის ნებაც კი შეიძლება საფრთხეს შეიცავდეს, თუ რაღაც მუხრუჭები არ ამუშავდა. მთელ ჩვენს მეცადინეობას ორი მიმართულება აქვს: ერთი – რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური მესამერიდი ჩავდოთ, რათა არ აინყვიტოს რამემ, თუნდაც სრულიად ლეგიტიმურმა უმრავლესობის ნებამ, და მეორე – პარლამენტის შიგნითაც დავიცვათ ბალანსი. ვინც უნდა იყოს უმრავლესობა, და ჩვენ არ ვიცით, ვინ იქნება,

განიხილოს. ჩვენ დამოუკიდებელი იურისტები ვართ, ცალკე კომისია გვაქვს და ჩვენს პროდუქციას არა მხოლოდ სახელმწიფო კომისიის ნებავრებს, არამედ ნებისმიერ ქართველს ვაწვდით, მზად ვართ, მოვისმინოთ ყოველგვარი, მათ შორის, უაღრესად კრიტიკული აზრები.

ახლახან კონცეფციის ინგლისური თარგმანი ვენეციის კომისიაში გავაგზავნეთ, რათა კომისიას ჰქონდეს საშუალება, გაეცნოს არა მხოლოდ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის პროექტს, არამედ შეადაროს იმ პროდუქციას, რასაც ჩვენი მოკრძალებული ძალებით ვქმნით.

უკანასკნელ განცხადებაში, რომელიც საზოგადოებრივმა საკონსტიტუციო კომისიამ არჩევნების შემდეგ გამოაქვეყნა, პოლიტიკური შეფასებები სჭარბობს. მაგალითად, ასეთი: „ექვგარეშეა, რომ ტოტალიტარული ტენდენციები მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც მინიმუმამ-

ზოგი ნუნუნებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უკმაყოფილება შეიძლება გაგრძელდეს დაპირისპირების, ან ლინჩის, ან სამოქალაქო ომის გზით. მიგვაჩნია, რომ არ არსებობს პოლიტიკური დაძაბულობის მოგვარების იმაზე უკეთესი ხერხი, ვიდრე კონსტიტუციური რევილუცია. სწორედ ამიტომ დავინყეთ მუშაობა კონსტიტუციის პროექტზე.

თუკი ამ განცხადებას უწოდებთ პოლიტიკურს, მაშინ ეს იქნება ფართო გაგებით პოლიტიკური განცხადება; ვინრო გაგებით კი, ჩვენი განცხადებები ვერაფრით იქნება პოლიტიკური ხასიათის. მაგალითად, ამ კონცეფციის ერთ-ერთი თანაავტორი ვახტანგ ხმალაძე რესპუბლიკური პარტიის წევრია, რესპუბლიკელები „ალიანსში“ არიან განევრიახებულები და მათ ლიდერს, სავარაუდოდ, ქვეყნის პრეზიდენტობა უნდა, მაგრამ ვახტანგ ხმალაძე კბილებით იცავს საპარლამენტო მოდელს, სადაც პრეზიდენტს

დემოკრატია უმრავლესობის ნებაა, მაგრამ თვით უმრავლესობის ნებაც კი შეიძლება საფრთხეს შეიცავდეს, თუ რაღაც მუხრუჭები არ ამუშავდა. ისეთ მოდელზე ვმუშაობთ, სადაც მხოლოდ უმრავლესობის უფლება კი არ იქნება დაცული, არამედ – უმცირესობის ნებაც გათვალისწინებული.

მას უნდა ჰქონდეს რაღაც დაბრკოლება უმცირესობის მხრიდან. ისეთ მოდელზე ვმუშაობთ, სადაც მხოლოდ უმრავლესობის უფლება კი არ იქნება დაცული, არამედ – უმცირესობის ნებაც გათვალისწინებული.

რატომ არ წარუდგინეთ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას თქვენი კონცეფცია განსახილველად?

კომუნიკაცია ამ ორ კომისიას შორის მუდმივად არსებობს, უფრო მეტიც – ჩვენ საერთო ნევრებიც გვყავს. კონცეფცია დავენერეთ, გამოვეცით, ყველასათვის ხელმისაწვდომი გავხადეთ. თუკი სახელმწიფო კომისიას მიაჩნია, რომ მასში რაიმე ჭკვიანურია, შეუძლია აიღოს და

დე შეამცირებს ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლის ალბათობას და გარდაუვალს გახდის სამოქალაქო დაპირისპირებას“...

ჯერ იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რას ვგულისხმობთ სიტყვა „პოლიტიკაში“. პოლიტიკის უამრავი განმარტება არსებობს. პოლიტიკური სიტუაციის შეფასების უფლება ნებისმიერ მოქალაქეს აქვს. ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, მისი პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ფიქრობს იმაზე, რა უკეთესი იქნება კონსტიტუციური მშენებლობის თვალსაზრისით და ამიტომაც აკეთებს ამგვარ შეფასებას. უკანასკნელი არჩევნების შემდეგ ბევრი დარჩა უკმაყოფილო, ზოგი ილანძლება, ზოგი იმუქრება,

მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

როგორი გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

არ გვაქვს ილუზია, რომ ვინმე მოიტაცებს ჩვენს პროექტს. ჯერჯერობით ვმუშაობთ, ვაპირებთ, შევხვდეთ საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, პოლიტიკური პარტიების წევრებს და მათთან ერთად განვიხილოთ ნებისმიერი საკითხი. მას შემდეგ, რაც კონსტიტუცია დაინერება და საბოლოო სახეს მიიღებს, იმედია, შევავროვებთ 200 000 ხელმოწერას და პარლამენტს წარვეუდგენთ. **■**

ესაუბრა ნინო ბექიშვილი

კუჭინი და ინტელიგენცია

შეჯიხი პუტინის წინააღმდეგ

შეჯიხის გამოყენება ვლადიმერ პუტინის რეკლამის მიზნით სცადეს და ამ საქმიდან რაღაც გამოვიდა კიდევ. თუმცა, მოიგო კი ამით პუტინმა?

ოლგა ალიონოვა, მოსკოვი



ვლადიმერ პუტინი

პრემიერ პუტინის შეხვედრამ სანკტ-პეტერბურგის შემოქმედებით ინტელიგენციასთან უფრო მეტი კითხვა გააჩინა, ვიდრე პასუხი. 29 მაისს მიხაილოვსკის თეატრში პუტინი საქველმოქმედო სპექტაკლის მონაწილეებს შეხვდა, და მათთან „ნებისმიერ თემაზე“ საუბარს დათანხმდა.

ამ დიალოგს აფეთქებული ბომბის ეფექტი ჰქონდა, განსაკუთრებით – იმ ნაწილს, სადაც პრემიერი პუტინი და მომღერალი იური შეჯიხი ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. შეჯიხმა იკითხა, რატომ არბევენ „დაუმორჩილებელთა“ მარშს. პრემიერმა კი

უპასუხა, რომ არავინ არაფერს არბევს, და რომ მართალია, დემოკრატია მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ დემოკრატიაში აგარაკზე მიმავალ მოქალაქეებს გზა არ უნდა ჩაუკეტოს და დისკომფორტი არ უნდა შეუქმნას.

შეჯიხი ლაპარაკობდა საცოდავ მესახტეებზე, რომლებიც ყოველდღე სასაკლაოზე მიდიან. პრემიერმა კი მას აუხსნა, თუ რა განსხვავებაა კოქსურ და ენერგეტიკულ ნახშირს შორის.

კიდევ შეჯიხი ლაპარაკობდა ფენებად დანაწევრებულ ქვეყანაზე, სადაც არიან „ბოიარები და თავადები „მიგალკებით“ და ბეგარის გადამხდელი გლეხები“; მი-

■ როგორ აღმოჩნდა ოპოზიციონერი შეჯიხი პუტინთან შეხვედრაზე; მართლა არ იცოდა პუტინმა ამ გაბურძნული და გაუპარსავი როკ-მომღერლის ვინაობა; და რატომ გააშუქეს რუსეთის ფედერალურმა მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა ეს არცთუ სასიამოვნო შეხვედრა?

ლიციაზე, რომელიც „უფროსობას და საკუთარ ჯიბეს ემსახურება და არა – ხალხს“; და იმაზე, რომ ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი პრესა. მას კიდევ ბევრი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ კოლეგებმა აღარ დააცალეს და საუბარი ყოფით პრობლემებზე გადაიტანეს.

საერთოდ, მთელი ეს ისტორია, დაწყებული პუტინის ანეკდოტური კითხვით: „მაპატიეთ და, თქვენ ვინ ბრძანდებით?“ და მომღერლის პასუხით: „იურა შევჩუკი, მუსიკოსი“ – დეტალურ განხილვას თუ არა, სულ ცოტა სამ კითხვაზე პასუხის გაცემას იმსახურებს.

კერძოდ: როგორ აღმოჩნდა თავისი ოპოზიციურობით ცნობილი იური შევჩუკი პუტინთან შეხვედრაზე; მართლა არ იცოდა პუტინმა ამ გაბურძენული და გაუპარსავი როკ-მომღერლის ვინაობა, რომლის სახეც მთელი ქვეყნისთვის ნაცნობია; და რატომ გააშუქეს რუსეთის ფედერალურმა მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა ეს არცთუ სასიამოვნო შეხვედრა, იმის ნაცვლად, რომ, როგორც ყოველთვის, „მიეჩქვალათ“?

როგორც წესი, რუსეთის ხელისუფლება ამგვარ შეხვედრებს მხოლოდ წინასწარჩვენოდ მართავს ან როცა ცდილობს, დასავლეთი დაარწმუნოს, რომ რუსეთში დემოკრატია სუფევს.

ვლადიმირ პუტინის წინასწარჩვენო კამპანია ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ეს-ესაა დაიწყება. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი კი პრემიერის იმიჯის გადარჩენა უნდა იყოს. პუტინის იმიჯი სერიოზულად შეირყა კუზბასში მომხდარი ტრაგედიის გამო. მილიონობით რუსის ცნობიერებაში გაჯდა მეშახტეთა დასაფლავებაზე ჩასული პუტინის გაყინული სახე.

გამოჩენილ მსახიობებთან და მომღერლებთან შეხვედრა და მათი მხარდაჭერა კარგი გამოსავალი იქნებოდა ამ სიტუაციიდან, თანაც უბრალოდ ცნობილებთან კი არა, ხალხის რჩეულებთან: ოლეგ ბასილაშვილი, ალისა ფრენდლიხი, ლეონიდ იარმონიკი, ჩულპან ხამატოვა. და ეს ყველაფერი ქველმოქმედების ჰუმანიტარული სოუსით – აბა, რომელი ამომრჩეველი არ შეჭამს ასეთ კერძს?

რატომ მიიწვიეს შევჩუკი პუტინთან

შეხვედრაზე? მართლა არ იცნობდა პუტინი თავის სახელოვან თანამოქალაქეს, რომელიც დღესაც ავებს სტადიონებს? ან შეიძლება, რომ პუტინს არ ჰქონოდა მოსმენილი ცნობილი ჰიტი – „კაპიტანი კოლესნიკოვი“, რომელმაც შევჩუკი ოპოზიციონერად აქცია, და არ ენახა მასზე გადაღებული ვიდეოკლიპი? „კაპიტანი კოლესნიკოვი“ წყალქვეშა ნავის – „კურსკის“ ტრაგედიის შემდეგ დაინერა. რუსი ოპოზიციონერები ამ ტრაგედიაში დღემდე რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებენ – ერთი ვერსიით, ნავის ერთ-ერთი ნაკვეთურის აფეთქების შემდეგ გადაწყდა, რომ ეკიპაჟი არ უნდა გადაერჩინათ, რათა არ გამჟღავნებულიყო „კურსკის“ საიდუმლო მისია, რასაც შეიძლება საერთაშორისო სკანდალი მოჰყოლოდა. მეორე ვერსიით – ეკიპაჟი იმიტომ დაიღუპა, რომ გენერლებმა ნავის გადარჩენის პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ვერ აიღეს, ვლადიმირ პუტინს კი ერთ დღე-ღამეზე მეტხანს ვერ უკავშირდებოდნენ.

ვიდეოკლიპში ჩნდება მაშინდელი გენპროკურორის უსტინოვის სახე და შევჩუკი მღერის ფრაზას: „შემდეგ მომხდარზე დიდხანს იცრუებენ“; სიმღერის ბოლოს კი, ამ სიტყვების შემდეგ – „თანატოლებო, გმირი ვინ არის ჩვენ შორის და, „ჩმო“ ვინაა“ – ეკრანზე ვლადიმირ პუტინის სახე ჩნდება, რომელიც გაღიმებული წარმოთქვამს თავის ცნობილ ფრაზას: „ის ჩაიძირა“.

ეს სიმღერა შევჩუკის სამოქალაქო პოზიცია გახდა. ამ სიმღერამ იგი რეჟიმთან მებრძოლ გმირად აქცია.

თავის ერთ-ერთი ბოლო კონცერტის დროს კი შევჩუკი მოულოდნელად რუსეთის მთელი სამოქალაქო საზოგადოების სიმბოლოდ იქცა. მან პირდაპირ ტრიბუნიდან განაცხადა: „ჩვენს ქვეყანაში არსებულმა სისტემამ უღმობელი, მკაცრი, არაადამიანური ხელისუფლება შექმნა. ადამიანები არა მარტო ციხეებსა და კოლონიებში იტანჯებიან, არამედ ბავშვთა სახლებსა და საავადმყოფოებშიც. რამდენი უბედურება ხდება დღეს... აი, თუნდაც ხოდორკოვსკი თავის მეგობართან ერთად – რამდენ ხანს შეიძლება კიდევ მათი გამომწყვდევა... მათ

უკვე ყველა ვალი გაისტუმრეს... არადა, რამდენი გარენარი და მუქთამჭამელია დღეს ხელისუფლებაში... სამხრეთიანები, გზებზე რომ გვხვდებიან და გვატყავებენ, მაღაზიებში რომ გვესვრიან; ამაზე პასუხს არავინ აგებს“.

ცხადია, ასეთი წარსულის ადამიანს პრემიერთან შეხვედრისთვის განკუთვნილი მოსაწვევის გარეშე ვერ დატოვებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი ეს დემოკრატიობანას თამაში სიყალბე აღმოჩნდებოდა და მაყურებლის სიმპათიის პრიზი პრემიერის ნაცვლად ვინმე სხვას ერგებოდა.

სრული წარმატებისთვის ეს ყველაფერი ტელევიზიითაც უჩვენეს. ტელეტრანსლაციის დროს პრემიერი ძალიან ფერმკრთალი რომ არ გამოჩენილიყო, შევჩუკი ლეგენდარული მომღერლის და მეომრის კვარცხლბეკიდან უნდა ჩამოეკვეთებინათ. სწორედ ამ მიზეზით გაისმა ის კითხვაც: „მაპატიეთ და, თქვენ ვინ ბრძანდებით?“ მორჩილი, მრავალმილიონიანი აუდიტორიაც მაშინვე მიხვდა – არც არავინ, რაკი პრემიერი ასე თვლის.

ამ შეხვედრიდან ზუსტად ორ დღეში სანკტ-პეტერბურგში „დაუმორჩილებელთა“ მარშმა მშვიდად და ინციდენტების გარეშე ჩაიარა. აპოლიტიკური და მადლარი მოსკოვისგან განსხვავებით, მილიცია მოერიდა ტრადიციულად უფრო მეამბოხე პეტერბურგში დემონსტრანტების დაშლას.

პუტინმა აშკარად მიანიშნა, რომ „დაუმორჩილებელთა“ მარშებს არავინ დაარბევს. მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა ეს დემონსტრაცია სწორედ ამ კონტექსტში გააშუქეს. მარში გაიმართა როსტოვშიც, სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასევე გადაწყვიტა, რომ ყოველი შემთხვევისთვის ხელი არ ეხლოთ „დაუმორჩილებლებისთვის“.

შევჩუკის მწვავე კითხვების დამსახურება უდავოა – არა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის ორ ქალაქში ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლებმა საკუთარი პროტესტის გამოხატვა შეძლეს, არამედ იმიტომაც, რომ პუტინის ვერტიკალს პირველად გაუჩნდა ხილული ბზარი. ■

საერთაშორისო-აშშ-ს ურთიერთობები

ეკონომიკური დიპლომატიკა

აშშ-ს პრეზიდენტის კანდიდატის ნომინაცია, რათა გაფუჭებული ორმხრივი ურთიერთობები დააღწიოს.

შაჰინ რაზვი, ბაქო

პენტაგონის ხელმძღვანელის, რობერტ გეიტსის აშშ-ს პრეზიდენტის კანდიდატის ნომინაციაზე მიზნობრივად არის მნიშვნელოვანი: პირველ რიგში, ეს უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აშშ-ს მთავრობის წარმომადგენლის პირველი ვიზიტია აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში; მეორე – გეიტსი ამერიკულ-აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში ურთიერთობებისთვის რთულ პერიოდში ჩამოვიდა, და ბოლოს, ეს ვიზიტი დაემთხვა კიდევ ერთ ახლო აღმოსავლურ დაძაბულობას, რომელიც ისრაელსა და თურქეთს შორის მომხდარი ინციდენტით იყო გამოწვეული.

გეიტსის ვიზიტის ოფიციალური მიზნები ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის განხილვაა. აშშ-ს პრეზიდენტი ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანაა, რომლის გავლითაც აშშ ავღანეთში ტვირთსა და ჯარს აგზავნის. პენტაგონის მონაცემებით, კოალიციის მიერ მინოდებული ტვირთის დაახლოებით 25 პროცენტი სამხრეთ კავკასიაზე, მათ შორის – აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში გადის. 2001 წლიდან აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში სივრცის გავლით ათასობით ფრენა განხორციელდა და ავღანეთში 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი ჩაფრინდა.

თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება პრეზიდენტ ობამას წერილმა მიიქცია, რომელიც პენტაგონის ხელმძღვანელმა ილჰამ ალიევს გადასცა. თეთრ სახლში დემოკრატიის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ამ ორი ქვეყნის პრეზიდენტები ერთმანეთს პირადად არც ერთხელ არ შეხვედრიან. გარდა იმისა, რომ წერილში, ტრადიციისამებრ, გამოთქმულია მეგობრობის და ურთიერთთანამშრომლობის სურვილი, ყურადღებას ერთი ფრაზა იპყრობს: „კარგად მესმის, რომ ჩვენს ურთიერთობაში სერიოზული პრობლემები არსებობს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მათ მოგვარებას შევძლებთ“.

ამ ფრაზას აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში მიზნობრივად არის მნიშვნელოვანი: პირველ რიგში, ეს უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აშშ-ს მთავრობის წარმომადგენლის პირველი ვიზიტია აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში; მეორე – გეიტსი ამერიკულ-აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში ურთიერთობებისთვის რთულ პერიოდში ჩამოვიდა, და ბოლოს, ეს ვიზიტი დაემთხვა კიდევ ერთ ახლო აღმოსავლურ დაძაბულობას, რომელიც ისრაელსა და თურქეთს შორის მომხდარი ინციდენტით იყო გამოწვეული.

ბოლო ხანს ოფიციალურ ბაქოს მართლაც ჰქონდა მიზნები, ამერიკის მხრიდან მისადმი მეგობრულ დამოკიდებულებაში ეჭვი შეეტანა. ის, რომ აპრილში



ილჰამ ალიევი

ბირთვულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ვაშინგტონში გამართულ სამიტზე პრეზიდენტი ალიევი არ მიიწვიეს, დიპლომატიური ეტიკეტის ყველა ნორმას არღვევს; თანაც, სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი არათუ მიიწვიეს, არამედ იგი პრეზიდენტ ობამას პირისპირაც შეხვდა.

გეიტსის ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, გაერკვია, რა იმალევა რუსეთსა და აშშ-ს პრეზიდენტის თანამშრომლობის მინისტრების ურთიერთობების გააქტიურების უკან.

გარდა ამისა, ახლოვდება გაბალინის რადიოლოკაციური სადგურის მომავალი სტატუსის განსაზღვრის დრო (2012 წელი); ამ ადგილს ამჟამად რუსეთი ქირობს და მისი მომავალი აშშ-ს პრეზიდენტის

მთავრობის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული.

როგორც ჩანს, ობამას ადმინისტრაციამ გააცნობიერა, რომ საკუთარი ინტერესების ორბიტიდან აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში, აშშ-ს საფრთხის წინაშე დადგება, რომ იარსებებს რეგიონი, სადაც რუსეთი ერთპიროვნულად განსაზღვრავს უსაფრთხოების საკითხებს.

შედეგად, ვაშინგტონი დაფაცურდა და სასწრაფოდ დაიწყო სიტუაციის გამოსწორება. პირველი ნაბიჯი იყო სენატისთვის აშშ-ს პრეზიდენტის კანდიდატად ბაქოში ცნობილი ამერიკელი დიპლომატის, მინსკის ჯგუფის ყოფილი თანათამაშობის, მეთუ ბრაიზას წარდგენა, რომელსაც ზოგჯერ აშშ-ს პრეზიდენტის მხარისადმი გადაჭარბებულ სიმპათიამაც სდებენ ბრალს.

მანამდე, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში საერთოდ არ იყო აშშ-ს ელჩი.

ბუნებრივია, ამერიკულ-აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში დასაბუთებლად მხოლოდ გეიტსის ვიზიტი და ელჩის დანიშვნა არ იქნება საკმარისი. უახლოეს მომავალში ბაქოში ჩასვლას აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი გეგმავს, რაც თავად გეიტსმა განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში ვიზიტისას.

ამ დღეებში სტამბოლში ყოფნისას ალიევიმ ურუნალისტებს განუცხადა, რომ უახლოეს მომავალში აპირებს, საპასუხო წერილი მისწეროს პრეზიდენტ ობამას, რაც, მისი თქმით, იქნება კიდევ ერთი „სერიოზული ნაბიჯი ჩვენი სამომავლო ურთიერთობებისკენ“.

რა კონკრეტული შედეგები მოჰყვება ამ „ეპისტოლარულ“ პერიოდს აშშ-ს პრეზიდენტის კამპეინში, დრო გვიჩვენებს. □

ახალგორი

ოსური პასპორტი ახალგორში

ახალგორში დარჩენილ ქართველებს, საკუთარ სახლებში ცხოვრების სანაცვლოდ, სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პასპორტის აღება მოუწევთ.

გოგა აფციაური, გორი

პასპორტიზაციის პროცესი, რომლის დაწყებასაც ახალგორში აპირებენ, ჯერჯერობით გაურკვეველი ვადით გადაიდო, თუმცა ახალგორელი ქართველებისთვის ეს უკვე მთავარი სალაპარაკო თემაა.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ახალგორში 5500 ადამიანი ცხოვრობდა, უმრავლესობა – ეთნიკური ქართველი. დღეს მათი დიდი ნაწილი წეროვანის დევნილთა დასახლებაში დევნილის სტატუსით იმყოფება. ახლა ახალგორში მუდმივად მხოლოდ ათასამდე ქართველი ცხოვრობს.

წეროვანიდან დევნილები ახალგორში პერიოდულად ჩადიან. ზოგი მათგანი დღემდე ოფიციალურად გაფორმებულია ძველ სამსახურში და არც ოსური ადმინისტრაციის მიერ გაცემულ ხელფასზე ამბობენ უარს და ამავდროულად წეროვანშიც იღებენ დევნილთა შემწევებს.

დაბის ოსურმა ადმინისტრაციამ პასპორტების შეცვლის თარიღად ჯერ – 10 მაისი, შემდეგ 1 ივნისი გამოაცხადა. მოგვიანებით კი ეს პროცესი გაურკვეველი ვადით გადადო.

როგორც ახალგორელები ამბობენ, ახალი ოსური პასპორტების სანაცვლოდ, ოსური ადმინისტრაცია ქართული პირადობის მონუმენტების ჩაბარებას მოითხოვს.

ახალგორის ოსური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალან ჯუსოევი ამბობს, რომ ახალგორელებისთვის ცხინვალის ხელისუფლება ორმაგ მოქალაქეობას ვერ დაუშვებს, რადგან ამით, შესა-



ძლოა, მეგობარი რუსეთი გაანაწყნოს: „რუსულმა მხარემ გვალიარა და სამხრეთ ოსური პასპორტებით რუსეთში შესვლის უფლება მოგვცა. ჩვენ იგივე პრივილეგიას ქართველებს ვერ მივანიჭებთ, რადგან პარტნიორის მიმართ გარკვეული პასუხისმგებლობა გვაქვს“.

58 წლის ნაირა ახალგორიდან, რომელიც წეროვანის დასახლებაში ცხოვრობს და ახალგორში რეგულარულად დადის, ამბობს, რომ დიღემის წინაშე დგას: „ორივე პასპორტი დამჭირდება. ახალგორში, ჩემს სახლში ოსური პასპორტების გარეშე არავინ შემისვებს, ქართული პირადობის გარეშე კი, აქეთ აღარ გადმომისვებენ. რა უნდა ვქნა? ოსური პასპორტის აღების დროს ვი-

ტყვი, რომ ქართული პირადობის მონუმბა დაგვარგე და ორივეს დავიტოვებ“.

ოსური ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები „ლიბერალთან“ პირად საუბარში ირწმუნებიან, რომ მსგავს დარღვევებზე თვალს დახუჭავენ და ოსურ პასპორტს მათაც მისცემენ, ვინც განაცხადებს, რომ ქართული პირადობის მონუმბა დაკარგული აქვს.

ახალგორის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორის, თამარ მეარაყიშვილის თქმით, თუ პასპორტიზაცია დაიწყება, დაბაში დარჩენილ ახალგორელებს სახლების დატოვება აღარ მოუწევთ. „ვინც აქ მუდმივად ცხოვრობს, იმას პასპორტიზაციის შიში

არ აქვს. იმდენი რამ გადავიტანეთ, რომ ამაზე აღარ ვდარდობთ. მთავარია, ომი არ დაიწყოს. რალაც საშველი გამოჩნდება; მით უმეტეს, რომ ამ პასპორტიზაციის ვადებმა უკვე რამდენჯერმე გადაინია, ვინ იცის, მართლა როდის დაიწყება. როცა დაიწყება, მერე ვნახავთ, როგორ მოვიქცეთ, ჩვენ მაინც ვერაფერს შევცვლით“.

ოსურ ადმინისტრაციაში უკვე მსჯელობენ იმაზეც, რომ რაიონში შესასვლელად გადასახადი დაანსონ, თუმცა როდის დაიწყება ამოქმედება ახალი წესი, არ იციან.

„ამბობენ, – 250 რუბლი ეღირება შესვლაო. ფულს ოსურ საგუშაგოზე გადაიხდითო“, – ჰყვება ნაირა.

ახალგორელები პროდუქტს ძირითადად ადმინისტრაციული საზღვრის აქეთა მხარეს ყიდულობენ, დაბაში შესვლა თვეში რამდენჯერმე უნევთ. ამდენად, ეს გადასახადი მათ მძიმე ტვირთად დაანეებათ.

საგუშაგოებზე ახალგორელებს პრობლემები არც აქამდე აკლდათ. ახალგორში თბილისიდან ახალგორის მმართველებით ბარგის ან სამშენებლო

ლებმა ქალებს რუსული წარმოების შედეგებული რძე გადაუყარეს. ერთერთ მამაკაცს კი ჯიბიდან რუსული წარმოების სიგარეტი ამოაცალეს და უთხრეს, – არ გრცხვენია, რუსულ სიგარეტს როგორ ეწვიო.

ქართული საგუშაგოს შემდეგ ახალგორელები უკვე რუსულ საგუშაგოზე მონმდებიან. „თბილისის ზოოპარკში მიგვყავდა ბავშვები და იძულებული ვიყავით, ნაწილ-ნაწილ გამოგვეყვანა, რადგან რუსებმა ჩვენი ავტობუსი თბილისისკენ არ გაატარეს. ჯგუფურად გადაადგილების საშუალებას საერთოდ არ გაძლევენ, ბავშვებსაც კი პრობლემებს უქმნიან“, – ამბობს მერაყიშვილი.

ახალგორელების თქმით, ბოლო დროს დაბაში ჩრდილო კავკასიელები, მათ შორის ჩეჩნებიც გამოჩნდნენ, თუმცა ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან არ ურთიერთობენ. რუსები დაბაში სამხედრო ბაზას და ჯარისკაცებისთვის საცხოვრებელ კორპუსებს აშენებენ, ჩეჩნები მშენებლობაზე არიან დასაქმებული.

ზაფხულის მოახლოებასთან ერთად,

სამხრეთი ოსეთის პასპორტის აღების შემთხვევაში, ახალგორელ ქართველებს უფლებას მისცემენ, მონაწილეობა მიიღონ სამხრეთი ოსეთის არჩევნებში, დაიწყონ მუშაობა საჯარო სამსახურში, შეიძინონ და გაყიდონ ქონება, უფროდ გადავიდნენ რუსეთის ტერიტორიაზე.

მეორე მხრივ, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, რომ პასპორტების აღებით ქართველები ამ რეგიონის სრულფასოვანი „მოქალაქეები“ ხდებიან და საქართველოს ხელისუფლებას მათი საშუალებით რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევა შეეძლება:

„მაგალითად, გალის რაიონის მთელ მოსახლეობას რომ ჰქონდეს აფხაზური პასპორტები, მათ შეეძლება პრინციპული გადაწყვეტილება მიიღონ არჩევნების დროს. აფხაზებმა ეს იციან. ისინი ცდილობენ, გალი გათიშონ პოლიტიკური პროცესებიდან. გალის რაიონში 45 ათასი კაცი მინცაა, ვისაც უფლება აქვს, აიღოს პასპორტი, და აქვს მხოლოდ 3400-ს. ახალგორში ჯერ არავინ მინახავს ოსური პასპორტით“, – ამბობს ზაქარეიშვილი და საქართველოს ხელი-

■ ახალგორელები ამბობენ, რომ ახალი ოსური პასპორტების სანაცვლოდ, ოსური ადმინისტრაცია ქართული პირადობის მონმობების ჩაბარებას მოითხოვს.

მასალების გადატანა ქართული პოლიციის საგუშაგოზე პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ პოლიციიდან და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტიდან სიტყვიერი ნებართვა არ არსებობს.

„წმირად პოლიციელები საათობით აყოვნებენ ხალხს. თვითონაც არ იციან წესები – გამუდმებით რეკავენ აქეთ-იქით და კითხულობენ. მაგალითად, შეიძლება თუ არა სანოლის ან სკამის გადატანა“, – ამბობს ახალგორელი ქალბატონი.

წეროვანის დასახლებაში მცხოვრები ახალგორელები ჰყვებიან, რომ ახალგორიდან გამოსვლისას, ჩანთის ჩხრეკის დროს ქართველმა პოლიციე-

ტრადიციულად, ყველა იმაზე მსჯელობს, ახალი ომის საფრთხე ხომ არ არსებობს.

„მშვიდობაა მთავარი, თორემ სხვა საფიქრალს რა გამოგვიღევს“, – ამბობენ წეროვანში.

ქართველი ექსპერტების აზრით, 2008 წლის ომის დროს, ქართველთა ეთნიკური წმენდის შემდეგ ოსური ხელისუფლება ახალგორში დარჩენილ ქართველებს არ ავინრობს, რადგან კოკოითის საერთაშორისო საზოგადოების თვალში შელახული იმიჯის გამოსწორება უნდა, და ცდილობს, ყველას დაანახოს, რომ ქართველები ნებაყოფლობით ხდებიან ოსეთის მოქალაქეები.

სუფლებას ურჩევს, დე ფაქტო პასპორტების გამოყენების ნებართვა დანარჩენ საქართველოშიც გასცეს.

როგორც სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი ამბობს, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ოსეთში პასპორტიზაციასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანია:

„ცხინვალის არავითარ პასპორტიზაციას არ აპირებს, ამას აპირებს რუსეთის ფედერაცია და მის მიერ დანიშნული მარიონეტული რეჟიმი. სამხრეთი ოსეთის პასპორტი შეგიძლიათ წაიღოთ ჟურნალ „ნინავში“, თუ კიდევ არსებობს. ის უფრო კომიქსი იქნება, ვიდრე – რეალური პასპორტი“. □

ბალი

ხა ხლუბა ბაღში?

გალის მოსახლეობა ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც რაიონს რუსი სამხედროები აკონტროლებენ, მათი უსაფრთხოება კიდევ უფრო მცირდება.

გერონტი ყალიჩავა, ზუგდიდი



ენგურის ხიდი

ფოტო: თემი ზაქარეიძე

„გალის რაიონი აფხაზეთის ტერიტორიაა, იქ ჩვენი მოქალაქეები ცხოვრობენ და ვალდებული ვართ, მათ ცხოვრების ნორმალური პირობები შევუქმნათ და მათი უსაფრთხოება დავიცვათ“, – განაცხადა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბალაფშმა საგანგებოდ მოწვეულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

ბოლო რამდენიმე კვირაა, გალში ვითარება გამწვავებულია. სოფლების – საბერიოს და დიხაზურგას მკვიდრნი ჰყვებიან, რომ მათ სოფლებში სახლები გადანვეს და რამდენიმე ადამიანი დააპატიმრეს. ბალაფშმა პროვოკაციების მოწყობაში ქართული მხარე დაადანაშაულა.

“თუ ქართული მხარე არ დაანებებს თავს დიფერსიების მოწყობას, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, ადეკვატური ზომები მივიღოთ“, – განაცხადა ბალაფშმა. მისი ეს სიტყვები გალში ბევრმა ქართველმა გალიდან ქართველების გაძევების მუქარად აღიქვა.

ქართულ მედიაში კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ არეულობების მიზეზი რუს სამხედროებსა და აფხაზ მესაზღვრეებს შორის არსებული უთანხმოება გახდა.

1 ივნისს უცნობებმა აფხაზი მებრძოლების ავტომანქანას ცეცხლი გაუხსნეს, ერთი მებრძოლი დაიღუპა და ორი დაიჭრა. 3 ივნისს კი მანქანაში ჩაცხრილეს გალის რაიონის სოფელ რეპის ადმინისტრაციის უფროსი დიმიტრი კაცია. ორივე ინციდენტი სოფელ საბერიოსა და დიხაზურგაში მოხდა, სწორედ ამის შემდეგ სოფლებში 5 ქართველის სახლი გადანვეს. როგორც გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბესლან არშა ამბობს, სოფელში დაზარალებულთა ნათესავები შეიჭრნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შურისძიების გამო დაესხნენ თავს.

„ლიბერალი“ სოფელ საბერიოში მცხოვრებ 57 წლის ქალბატონს მობილური ტელეფონით დაუკავშირდა. ის ჰყვება, რომ 7 ივნისის ღამე სოფლის მაცხოვრებლებმა ტყეში გაატარეს.

„მუდმივად პანიკაში ვართ. ორი დღის წინ ჩემთან სახლში რუსი სამხედროები შემოვიდნენ და მკითხეს, – რომელი ქვეყნის მოქალაქე ხარო? ვუთხარი, – აფხაზეთის-მეთქი! პასპორტი მაჩვენეო. არ მქონდა აფხაზური პასპორტი, და რა მჭვინებიან? ქართული პირადობის მონიშნა ვაჩვენე. შენ, აწი ველარ ნახვალ საქართველოშიო, – მითხრეს და პირადობის მონიშნა მოისროლეს. აფხაზები როცა იყვნენ სოფელში, უფრო მშვიდად ვიყავით. ისინი პირიქით, გვეხმარებოდნენ, როცა რამე გვიჭირდა. რუსებს ვერაფერს გააგებინებ“.

სოფლის მკვიდრნი ჰყვებიან, რომ ივნისის დასაწყისში საბერიო-ფახულანის საზღვართან არსებულ რუსულ ბლოკ-საგუშაგოზე დამატებითი ცოცხალი ძალა ჩადაგა – „ნალენჯისაში არავის უშვებენ. აფხაზური პასპორტი უნდა გქონდეს. ამიტომ შემოვლითი გზებით ვიპარებთ. თუ დაგიჭერენ გალში, წაგიყვანენ და იქ სასამართლო დაგაჯარიმებს. ფულს თუ ვერ გადაიხდი, დაგაპატიმრებენ და თვეობით უნდა იყო ციხეში“.

აფხაზეთი-სამეგრელოს ტყეებში შემოვლით გზებად ნოდებული ბილიკები, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდეც არსებობდა. დღეს ეს ბილიკები მთავარ გზად იქცა და მათი გავლით ყოველდღიურად დაახლოებით ათეულობით მოქალაქე სამეგრელოში გადმოიდა. გალში მცხოვრები ქართველები ჰყვებიან, რომ რუსი სამხედროების გამოჩენის შემდეგ ამ გზებზე გადაადგილება კიდევ უფრო გაართულდა.

„ეს არის ბრძოლა აფხაზებსა და რუსებს შორის რეგიონში სრული ზეგავლენის მოსაპოვებლად“, – ამბობს სამეგრელო-ზემო სვანეთში აფხაზეთის დევნილი მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი თორნიკე კილაწავა. □



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

ყალბი დოკუმენტის შეღებვის ფაქტი

პასიენტი ხდინიხის წინააღმდეგ

მეუღლისთვის მკურნალობის
ხარჯების დაფარვა აკაკი
ელიზბარაშვილმა ჯანდაცვის
სამინისტროს სთხოვა.
განცხადებას ხელი ლ.
ელიზბარაშვილმა მოაწერა.
დაფინანსებაზე თანხმობა კი
ზურაბ ელიზბარაშვილმა მიიღო.

ნინო თოფურაძე, გიორგი ქვიშვილი



ფოტო: თინო ბაქრაძე

წელს, თებერვალში ნონა ელიზბარაშვილს თავსა და ხერხემალში სიმსივნური წარმონაქმნები აღმოაჩნდა. მან სამკურნალოდ – ერთ-ერთი კერძო კლინიკის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტს მიაკითხა. დიაგნოზის დასმის შემდგომ ავადმყოფს სხივური თერაპიის კურსი დაუნიშნეს. ექიმებმა მკურნალობა

8000 ლარი დააფასეს.

ვინაიდან პაციენტს სამედიცინო დაზღვევა არ ჰქონდა, მას ფული ხელზე უნდა გადაეხადა.

„ეს თანხა ცენტრის ხელმძღვანელმა – დარეჯან ლომიძემ და კლინიკის ბუღალტერმა გვიანგარიშა. ფული ორ ნაწილად გადავიხადე: 8 თებერვალს ერთი

ნაწილი შევიტანე, ხოლო მეორე ნაწილი მკურნალობის დასრულების შემდეგ, 26 თებერვალს“, – გვითხრა ავადმყოფის მეუღლემ, ზურაბ ელიზბარაშვილმა.

პაციენტის ოჯახმა მკურნალობა ნაესესები ფულით დაფარა.

ნონა ელიზბარაშვილი თბილისის პირველი საავადმყოფოს საუნივერსიტეტო

კლინიკა-ნეიროქირურგიის ცენტრის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტიდან მკურნალობის დაწყებიდან სამი კვირის თავზე, 23 თებერვალს გამოწერეს; ორი თვის შემდეგ კი სახლში ჯანდაცვის სამინისტროდან გამოგზავნილი წერილი მიიღო. ჯანდაცვის სამინისტრო ზურაბ ელიზბარაშვილს ატყობინებდა, რომ მისი განცხადება მეუღლის მკურნალობის თანხების დაფარვასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა და საჭირო 8000 ლარს მთლიანად სამინისტრო გადაიხდოდა.

„მე სამინისტროსთვის არასდროს მიმმართავს. ასეთი განცხადება არ დამინერია, ამის თაობაზე საუბარიც კი არავისთან მქონია“, – გვითხრა ზურაბ ელიზბარაშვილმა, რომელმაც ჯანდაცვის სამინისტროდან ვითომდა მისი დაწერილი განცხადების ასლი გამოითხოვა.

ამ დოკუმენტით ვინმე აკაკი ელიზბარაშვილი, რომელსაც საცხოვრებელ ადგილად ზურაბ ელიზბარაშვილის მისამართი აქვს მითითებული, მეუღლის მკურნალობის ხარჯების დაფინანსებას ითხოვს. განცხადებას კი ხელს ვინმე ლ. ელიზბარაშვილი აწერს.

ეს განცხადება უცნობმა პირმა 13 აპრილს დაწერა, ხოლო ჯანდაცვის სამინისტროს რეფერალური მომსახურების კომისიამ პირველივე სხდომაზე, 21 აპრილს განიხილა და დააკმაყოფილა.

ფაქტობრივად, სამინისტრომ არარსებული პირის განცხადება განიხილა და თანხა მალევე გამოუყო, არადა, ასეთ მოკლე ვადაში არათუ დადებით პასუხს, არამედ საერთოდ პასუხსაც იშვიათად იღებენ განმცხადებლები.

„რომ გამერკვია, ჩემ მაგივრად განცხადება ვინ დაწერა, ცენტრის დირექტორთან გოჩა ინგოროყვასთან მივედი. მხოლოდ მას მერე მიმიღო, როცა დავემუქრე გირივლებ-მეთქი“, – ამბობს ზურაბ ელიზბარაშვილი.

„ინგოროყვამ აგვიხსნა, რომ სამინისტროში განცხადება და საბუთები პაციენტის ნაცვლად თავად კლინიკას შეაქვს, სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საუბრის ბოლოს კი სამი ათასი ლარი შემოგვთავაზა, რომ ჩვენი ამბავი და განცხადებაში დაშვებული შეცდომები არ გაგვეხმაურე-

ბინა. იქვე მოგვცა ვინმე დავით ბანცაძის ნომერი, რომელსაც ეს თანხა ჩვენთვის უნდა გადმოერიცხა“, – ამბობს ნონა ელიზბარაშვილის შვილი თეონა, რომელიც მამასთან ერთად ესაუბრა კლინიკის დირექტორს.

ზურაბ ელიზბარაშვილს ეჭვი გაუჩნდა, რომ ატყუებდნენ და სიტუაციაში გასარკვევად „ლიბერალს“ მიმართა. მას აინტერესებდა, რატომ გადაახდებინეს მეუღლის მკურნალობის თანხა, თუ კი ოჯახის დანახარჯს ჯანდაცვის სამინისტრო ფარავდა.

სამკურნალო ცენტრის დირექტორმა გოჩა ინგოროყვამ გვითხრა, რომ მკურნალობის მაღალი საფასურის გამო, „კლინიკა შეღავათს უწევს ავადმყოფებს. თანხის ერთ ნაწილს – 8 000 ლარს, პაციენტი იხდის, 3-4 ათას ლარს კლინიკა აკლებს, ხოლო 7000 ლარს ჯანდაცვის სამინისტრო რიცხავს“.

იგი აცხადებს, რომ თანდაფინანსების შესახებ განცხადება, ზურაბ ელიზბარაშვილის მაგივრად, მისივე კლინიკის ექთანმა – ეკამ შეადგინა და თავადვე შეიტანა ჯანდაცვის სამინისტროში.

„ეკამ დაკარგა ელიზბარაშვილის დაწერილი განცხადება და იმის შიშით, რომ ადმინისტრაციისგან მოხვდებოდა, განცხადება თვითონ დაწერა. ამ საქმის ერთადერთი იაღლიში ეს არის“, – განაცხადა გოჩა ინგოროყვამ.

ზურაბ ელიზბარაშვილი კატეგორიულად უარყოფს მის მიერ განცხადების დაწერის ფაქტს და ამბობს, – „როგორ დაკარგავდნენ იმას, რაც არასოდეს არსებობდა და რატომ მითავაზობდა ფულს, თუკი მართალია?!“

გოჩა ინგოროყვა ზურაბ ელიზბარაშვილისთვის, გაჩუმების სანაცვლოდ, 3 000 ლარის შეთავაზებას კატეგორიულად უარყოფს და ამბობს: „არაფერი არ შემითავაზებია, ვუთხარი, – თუ ძალიან გიჭირს, პირადად მე, გოჩა ინგოროყვა დაგეხმარები-თქო. ბანცაძის ნომერი მივეცი და დავეუმატე, რომ თუ ჩვენ გადავწყვეტთ

დახმარებას, ამას ექნება ოფიციალური სახე, ბანკში ანგარიშს გახსნი, ბანკაქვს დაურეკავ და გექნება მასთან კავშირითქო. მერე გადავწყვეტ, თუ გვექნება საშუალება, დაგეხმარებით-მეთქი. ჩვენ ფულს ვუბრუნებთ ავადმყოფებს?! შეგიძლიათ ნახოთ“.

– ბატონო გოჩა, სამინისტროში განცხადების შეტანისას პაციენტებს არ ეუბნებოთ, რომ მათი სახელით ჯანდაცვის სამინისტროს მიმართავთ?“ – ვკითხეთ მას.


„მკურნალობის დასრულების შემდეგ პაციენტს აღარ ეკითხება, ჩვენ რას ვიზამთ“, – გვპასუხობს გოჩა ინგოროყვა, რომელიც რამდენიმე წუთში ამატებს, – „როგორ არა, ვუუბნებთ პაციენტს! შეიძლება სულ არ დავანერინო ავადმყოფს განცხადება, ეს უბრალო ფორმალობაა.“

მისი პასუხიდან გამომდინარე, გამოიძიეს, რომ სხვისი სახელით განცხადების დაწერა და თანხის მოთხოვნა სრულიად კანონიერია, თავად პაციენტს ამის თაობაზე გინდა ეტყვი, გინდა – არა, ფორმალობაა მაინც.

ქეთი ქაცვლიშვილი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან, განმარტავს: „თუ კლინიკამ მიიღო ან მიიღებს თანხას, მაშინ როცა ამ ადამიანისგან მიღებული ჰქონდა ფული, კანონდარღვევასთან გვაქვს საქმე. თავად წერილიც არასწორადაა შედგენილი, მითითებული სახელი და ხელმოწერა არ ემთხვევა“.

იურისტის განმარტებით, უცხო ადამიანის სახელით საბუთების შედგენა და ხელის მოწერა გაყალბებაა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის 262-ე მუხლით ისჯება.

„ასევე, შეიძლება გამოიკვეთოს თაღლითობა – სახელმწიფოსაგან თანხების მოტყუებით მიღება“, – დასძენს ქეთი ქაცვლიშვილი.

ელიზბარაშვილის ოჯახმა დახმარებისთვის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიმართა. რადიოლოგიის ცენტრში მომხდარი ისტორია, შესაძლოა, სასამართლო გარჩევის მიზეზი გახდეს. 



სტატიის შინაარსი არ გამოხატავს ევროკავშირისა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მოსაზრებებს და შეხედულებებს. მასზე მთლიანად პასუხისმგებელია შპს „ლიბერალი“.



სახელმწიფოს ფაქორიტი ფირმაში

აბაზანა სახუხავის ნაცვდა

დევნილთა სახლების რეაბილიტაციისთვის გამოცხადებულ ტენდერებში საექვო ტენდენცია გამოიკვეთა. ფირმა მუნიციპალური განვითარების ფონდს საბაზრო ფასზე გაცილებით იაფად სთავაზობდა სამუშაოების შესრულებას, ტენდერში იმარჯვებდა და თანხის გაზრდას შემდეგ ითხოვდა, რაზეც ფონდი უპრობლემოდ თანხმდებოდა.

გიორგი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“

2009 წლის იანვრიდან სახელმწიფომ აფხაზეთიდან და სამხრეთი ოსეთიდან 90-იან წლებში დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია დაიწყო. მთავრობის გადაწყვეტილებით, გარემონტებული სახლები დევნილებს საკუთრებაში გადაეცემათ. რამდენიმე ათასი დევნილი

უკვე გარემონტებულ სახლებში ცხოვრობს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამუშაოების დიდი ნაწილი უხარისხოა და დევნილები შეიძლება ისევ საყოფაცხოვრებო პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ.

ავთანდილ მესხია აფხაზეთიდან დევნილია. 10 წელზე მეტია, რაც ოჯახთან

ერთად ვაზისუბანში, ავარიულ კორპუსში ცხოვრობდა. გასული წლის ზაფხულში დევნილთა სამინისტრომ მესხიების ოჯახი 20 დევნილ ოჯახთან ერთად ლილოში, ქირნახულის 16 ნომერში, ახალგარემონტებულ 3-სართულიან შენობაში შეასახლა.



მოაჩინა. საია-ს წევრი, იურისტი თამარ გურჩიანი რამდენიმე პრობლემას გამოყოფს – ცუდად მომზადებული სახელმწიფო შესყიდვები, დაუსაბუთებლად გაზრდილი ხარჯები და უხარისხო სამუშაოები.

ტენდერები

როცა სახელმწიფო ამა თუ იმ ობიექტის რემონტს აპირებს, ტენდერის გამოცხადებამდე საპროექტო ორგანიზაციას ქირაობს, რომელიც ითვლის, საბაზრო ფასების მიხედვით რა დაჯდება რემონტი. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საბაზრო ფასს გაიგებს, აცხადებს ტენდერს, ტენდერში იმარჯვებს ფირმა, რომელიც ყველაზე იაფად ითავებს სამუშაოების შესრულებას.

დევნილთა სახლების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 86 მლნ ლარის განკარგვისთვის გამოცხადებულ ტენდერებში ერთი საეჭვო ტენდენცია გამოიკვეთა. ტენდერში მონაწილე ფირმა მუნიციპალური განვითარების ფონდს საბაზრო ფასზე გაცილებით იაფად სთავაზობდა სამუშაოების შესრულებას. ამის გამო, ტენდერში იმარჯვებდა, გამარჯვების შემდეგ კი თანხების გაზრდას ითხოვდა, რაზეც ფონდი უპრობლემოდ თანხმდებოდა.

მაგალითად: №32-ე ტენდერში გათვალისწინებული სამუშაოების საბაზრო ღირებულება დაახლოებით 2 მლნ 100 ათასი ლარი იყო, „ბლოკ ჯორჯიამ“, მუნიციპალური განვითარების ფონდს ამ სამუშაოების საბაზრო ფასზე 65%-ით ნაკლებ ფასში გაკეთება შესთავაზა და დაბალი ფასის გამო გაიმარჯვა კიდევ, თუმცა მოგვიანებით ფირმამ ღირებულების თითქმის 70%-ით გაზრდა მოითხოვა, რაზეც ფონდი იოლად დათანხმდა. საბოლოოდ „ბლოკ ჯორჯიასთვის“ გადახდილმა თანხამ ტენდერში გამარჯვებულ ფასს 1 მილიონი ლარით გადააჭარბა.

ანალოგიური შემთხვევა მოხდა 26-ე ტენდერში. აქაც საბაზრო ფასზე დაახლოებით 40%-ით იაფად შესრულება ითავა „ნიუ ენერჯიმ“, ორივე ლოტში გაიმარჯვა და 2 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო დაკვეთა მოიპოვა. მოგვიანებით „ნიუ ენერჯის“ თითოეულ

ლოტზე თანხა 70%-ით გაუზარდეს. საბოლოოდ „ნიუ ენერჯიმ“ სახელმწიფოსგან დაახლოებით 1 მლნ ლარით მეტი მიიღო, ვიდრე ტენდერში მონაწილეობისას ასახელებდა.

45-ე ტენდერში „აქსისმა“ თავდაპირველად საბაზრო ღირებულებაზე 1 მლნ ლარით ნაკლები მოითხოვა, ტენდერში გამარჯვების შემდეგ კი ღირებულება 35%-ით გაიზარდა.

იურისტთა ასოციაციის მიერ შესწავლილ 68 ტენდერში ასეთი მაგალითები მრავალადაა. სარემონტო სამუშაოების ღირებულებების ზრდას მუნიციპალური განვითარების ფონდში სამუშაოს მოცულობების ზრდით ხსნიან, რასაც იურისტთა ასოციაციაში არ იზიარებენ.

„საკონტრაქტო ღირებულება კი არ გაზრდილა, დევნილთა მოთხოვნით, ან იმ ფარული სამუშაოების გამოვლენით, რომელიც ადგილზე აღმოჩნდა, აუცილებელი გახდა მოცულობის გაზრდა“, – აცხადებს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენელი თამაზ ლაკირბაია.

„ჩვენ მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე, არ დასტურდება, რომ სამუშაოების მოცულობები მნიშვნელოვნადაა გაზრდილი“, – ამბობს თამარ გურჩიანი.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, მოცულობები მართლაც არის გაზრდილი, ოღონდ ძირითადად ე.წ. ფარულ სამუშაოებზე, როგორც არის კედლის ბათქაში, იატაკის მოჭიმვა, ძველი ნაღესის ჩამოფხეკა. ამ ტიპის სამუშაოების დღეს გადამონმება უკვე ტექნიკურ პრობლემას წარმოადგენს. მისი შემონმება კედლების დაბურღვით, იატაკის საფარის ალებით და ლაბორატორიული ჩარევით არის შესაძლებელი.

ხარისხი

რამდენად აისახა ღირებულებების მნიშვნელოვნად ზრდა სამუშაოების ხარისხზე, ამის გადასამონმებლად ჩვენ გარემონტებული ობიექტები ადგილზე, რეგიონებში დავთვალიერეთ.

ფოთში, დევნილებით დასახლებული ობიექტების რემონტი ტენდერით შპს „დაგიმ“ მოიგო და ვალდებულია აიღოს, რომ 1400 000 ლარად 6 ობიექტს გაა-

რემონტებდა. სამუშაოების დაწყებიდან 3 თვეში სარემონტო ობიექტების ნუსხიდან ერთი საერთოდ ამოიღეს, არადა ეს შენობა ყველაზე ძვირი – ნახევარ მილიონ ლარზე მეტი ჯდება. მისი ამოღების შემდეგ, ლოგიკურად, სახელმწიფოებო თანხა უნდა შემცირებულიყო; ამის ნაცვლად, ფონდმა „დაგის“ თანხა გაუზარდა. საბოლოოდ „დაგიმ“ 300 ათასი ლარით მეტი აიღო, ვიდრე ტენდერში გამარჯვებისთვის მოითხოვა.

„დაგის“ მიერ გარემონტებულ ობიექტებში მცხოვრები დევნილები რემონტით უკმაყოფილოები არიან. ჩვენც დავაფიქსირეთ ჩამოცვენილი ბათქაში, ცუდად დამონტაჟებული კარ-ფანჯრები, ჩამოცვენილი ელექტროჩამრთველები.

„დერეფნები საერთოდ არ გაგვიკეთეს, ოთახებში რაც გააკეთეს, უხარისხია, ლპება ყველაფერი. ერთ დღეს მოვიდნენ და გამოგვიცხადეს, – ტენდერი მოვიგეთ და რემონტს ვინწყებთო; არავინ გვკითხა, რა გვჭირდებოდა“, – ამბობს დევნილი მზია ტყეშუჩავა.

ქარელის რაიონის სოფელ დოლიაურში მცხოვრებ დევნილებს, რომლებსაც წყალი არ აქვთ, ფირმა „არქსტუდია პერისტილმა“ აბაზანები მოუწყო, სახურავის და დაზარალებული კედლების შეკეთებაზე კი უარი უთხრა.

„სახურავიდან წყალი ჩამოგვდოდა, კედლები იშლებოდა, ისინი კი აბანოს გვიკეთებდნენ. როცა ვუთხარი, – არც წყალი გვაქვს და არც კანალიზაცია და კაპიტალური აბანო რად გვინდა-მეთქი, – მითხრეს, – ჩვენ ტენდერში აბაზანების მოწყობა მოვიგეთო. „ატმორიც“ დაგვიმონტაჟეს, მაგრამ ვერ ვიყენებთ, ისევ „ტაშტებში“ ვბანაობთ“, – გვიყვება დევნილი ილო ობოლაძე.

მუნიციპალური განვითარების ფონდში ხარვეზებს ტენდერების დაჩქარებულ ვადებში ჩატარების ხსნიან. რატომ მოხდა აჩქარება, გაურკვეველია, მაშინ, როცა საქმე აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს ეხებათ, რომლებიც, უკვე წლებია, ამ პირობებში ცხოვრობენ.

ტის ხელმძღვანელი მალხაზ ქაცარავა ამბობს, მსხვილი ტენდერები 20-მდე ფირმამ მოიპოვა.

ტენდერში გამარჯვებულთა ნუსხაში ძირითადად ერთი და იგივე ფირმებია. საია-ში ამბობენ, რომ ფონდის მიერ დადგენილი სატენდერო პირობები კონკრეტულ ფირმებზე წინასწარ იყო მორგებული. იურისტებს მიაჩნიათ, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდი სარემონტო სამუშაოებზე გამოცხადე-

„ბლოკ ჯორჯიამ“ 100 ათასი, „აქსისმა“ 130 ათასი, შპს „ანაგიმ“ 120 ათასი ლარი, „დაგიმ“ 40 ათასი, „მშენებელი 80-მა“ კი – 30 ათასი ლარი. სწორედ ამ ფირმებმა მიიღეს ყველაზე მასშტაბური დაკვეთები მუნიციპალური განვითარების ფონდიდან. კვლევის მიხედვით, 86-მილიონიანი სახელმწიფო დაკვეთიდან 37 მლნ ლარის დაკვეთა ორმა ფირმამ „ნიუ ენერჯიმ“ და „ბლოკ ჯორჯიამ“ მიიღო. ეს ის ფირმაა, რომელიც 100 საავადმყოფოს პროექტში

■ „სახურავიდან წყალი ჩამოგვდოდა, კედლები იშლებოდა, ისინი კი აბანოს გვიკეთებდნენ. როცა ვუთხარი, – არც წყალი გვაქვს და არც კანალიზაცია და კაპიტალური აბანო რად გვინდა-მეთქი, – მითხრეს, – ჩვენ ტენდერში აბაზანების მოწყობა მოვიგეთო.

ბულ ტენდერებში ისეთ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აწესებდა, რომლის დაკმაყოფილებაც მოქმედი ფირმების მხოლოდ მცირე ნაწილს შეეძლო. მაგალითად მე-13 ტენდერში მონაწილეობისთვის აუცილებელი იყო ფირმას ბოლო 3 წლის განმავლობაში 21 მილიონი ლარის ღირებულების ანალოგიური ტიპის სამუშაო ჰქონოდა განხორციელებული. 22-ე ტენდერში ეს ციფრი 12 მილიონ 200 ათას ლარს შეადგენდა; 41-ე ტენდერში კი – 12 მლნ 600 ათას ლარს. ასეთი მაღალი მოთხოვნები ბევრი ქართული ფირმისთვის გადაუღალავი ბარიერი აღმოჩნდა.

მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებგვერდზე ტენდერში გამარჯვებულთა ჩამონათვალია განთავსებული, ნიშანდობლივია ის, რომ გამარჯვებულთა სიაში ყველაზე ხშირად მოხსენიებული ფირმები „ნაციონალური მოძრაობის“ დამფინანსებელთა სიაშიც გვხვდებიან.

ცესკო-ს მონაცემებით, 2006 წლიდან ბოლო არჩევნებამდე „ნიუ ენერჯიმ“ მმართველ პარტიას 130 ათასი ლარი შესწირა,

მონაწილეობდა და სკანდალში გაეხვია.

სახელმწიფოს მიერ დევნილთა მიმართ შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით, გარემონტებული სახლები დევნილებს სიმბოლურ ფასად – 1 ლარად უნდა გადაეცეს, დევნილთა უმრავლესობა ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ ერჩივნათ, სახლები ჯერ გადაეცათ და მერე რემონტისთვის საჭირო თანხით დახმარებოდნენ. მათ მიაჩნიათ, რომ თვითონ უფრო იაფად და ხარისხიანად გაარემონტებდნენ საკუთარ სახლებს.

პროექტით დახარჯული თანხის მიხედვით, საშუალოდ, 1 ოჯახზე განეული რემონტის ხარჯი 10 400 ლარია, 1 კვ. მ-ს რემონტი კი 182 ლარი დაჯდა. დევნილებს სამუშაოების დაწყებამდე არავინ ჰკითხა, ამ თანხით რა სახის დახმარებას უფრო ისურვებდნენ, ან რისი გაკეთება უფრო სჭირდებოდათ. მათ არც ის იცინა, რომ ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, უფლება აქვთ, მუნიციპალიტეტს მიმართონ და ნაკლოვანებების გამოსწორება მოითხოვონ. ■

ფაქტობრივად

როგორც მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების დეპარტამენ-



ჟურნალისტური გამოძიება მომზადებულია სტუდია „მონიტორის“ პროექტის ფარგლებში. ჟურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

განათლების რეფორმის კურსის სვლილების შესახებ

სასწრაფოდ იყიდება "მეხსიერება" "ფიზიკის" ნაწილებით!

განათლების ცნობილი მკვლევარი და თეორეტიკოსი ჯონ დიუი თავის ცნობილ წიგნში „დემოკრატია და განათლება“ აღნიშნავს, რომ განათლების სისტემის წარმატებულად ფუნქციონირებისთვის საჭიროა, ის მკაფიოდ გამოხატული მიზნებით მოქმედებდეს.

სიმონ ჯანაშია



დიუის აზრით, როდესაც მიზნების შემუშავება განათლების პროცესში გარედან ხდება, მაშინ მთავარი, რაც პროცესში ჩართულ ადამიანებს ამოძრავებთ, ინსტრუქციების შესრულებაა და არა – კარგი შედეგის მიღების სურვილი.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა კი ის არის, რომ გარედან თავსმოხვეული მიზნები ჩვეულებრივ ხისტია და პროცესში ჩართულ ადამიანებს მათი შეცვლის უფლება არ აქვთ. შესაბამისად,

დიუის აზრით, ამ მიზნების მიღწევის არა მხოლოდ შესაძლებლობა, არამედ სურვილიც, გარედან ჩართული ადამიანების გარდა, რეალურად არავის აქვს.

2004 წელს, როდესაც განათლების სისტემის რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო, სახელმწიფო შეეცადა, საზოგადოებისთვის დაებრუნებინა ძალაუფლების ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც მრავალი ათწლეულის განმავლობაში თვითონ ჰქონდა მითვისებული.

ამ ახლად შემუშავებულ მიზნებში იყო ბევრი რამ, რისკენ სვლაც სახელმწიფოს ზენოლისგან გაათავისუფლებდა ყველას: სკოლებს, სახელმძღვანელოების გამომცემლებს, მასწავლებლების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში ჩართულ ინსტიტუციებს, არასამთავრობო და პროფესიულ ორგანიზაციებს და, რაც მთავარია, მშობლებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. ამ მიზნების მიხედვით, ისინი განათლების პროცესის

სრულფასოვან წევრებად უნდა ქვეუ-
ლიყვნენ და უნდა ჩართულიყვნენ საკუ-
თარი მომავლის დაგეგმვისა და განხორ-
ციელების პროცესში.

მაშინ სახელმწიფომ არჩია, თვითონ
პროცესის გარეთ დარჩენილიყო არა
როგორც პასუხისმგებლობების არმქონე
მოთამაშე, არამედ როგორც დამხმარე,
მედიატორი, როგორც – რესურსების
განაწილებაში თამაშის წესების დაცვის
მთავარი ინსტრუმენტი.

სამწუხაროდ, 2009 წლის ბოლოდან
და განსაკუთრებით კი ბოლო 2010 წლის
პირველი ხუთი თვის განმავლობაში
მთელი ენერჯია, რომელიც აღნიშნული
მიდგომის დაწესებულებას მოხმარდა, ფუჭად
გამოცხადდა.

განათლების მინისტრის, ბატონი დი-
მიტრი შაქინის დანიშნვის შემდეგ, პრა-
ქტიკულად, ყოველი ახალი ცვლილებით
გეგმაზომიერად იზღუდება შემდეგი:
განათლების სისტემაში ადამიანების თა-
ვისუფლება და ამის თანმდევი პასუხის-
მგებლობა, რომ თვითონ, სახელმწიფო
ბიუროკრატის მინიმალური ჩარევით
განსაზღვრონ საკუთარი ბედი, იზრუნონ
განათლების ხარისხის ამაღლებაზე, შე-
აფასონ საკუთარი მოსწავლეების საჭი-
როებები და გამოიყენონ ხელსაყრელი
სწავლების მიდგომები.

გამოდის, რომ ახლა განათლების სა-
მინისტრო, იმის ნაცვლად, რომ მუშაო-
ბდეს სასკოლო ინიციატივების განვი-
თარებაზე, სახელმწიფოსა და სკოლას
შორის ურთიერთდამხმარებაზე, ნდობასა
და გაზიარებულ პასუხისმგებლობებზე
დაფუძნებული განათლების სისტემის
შექმნაზე, ეს უწყება ძალიან სწრაფად
აშენებს ათწლეულების მანძილზე არა-
ეფექტურად გამოცხადებულ სისტემას,
რომელიც ამავე დროს არადემოკრატიუ-
ლი, მკაცრად ადმინისტრაციულ-ბრძანე-
ბლური და არამემოქმედებითია. ეს არის
სისტემა, რომელიც განვითარების შეჩე-
რებასა და პასუხისმგებლობების ვერტი-
კალურ განაწილებაზეა დაფუძნებული.

ცხრილში შეგიძლიათ, გაეცნოთ ამ მი-
მართულებით გადადგმული ნაბიჯების
ნაწილს. თითოეული ეს ინიციატივა არა-
ერთ სერიოზულ პრობლემას და მცდარ
მიდგომას შეიცავს, რაც საერთაშორისო

და ადგილობრივი გამოცდილების, განა-
თლების კვლევების შედეგების, სახელ-
მწიფოს ეკონომიკური და სოციალური
პოლიტიკის გაცხადებული პრიორიტეტე-
ბის გაუთვალისწინებლობის შედეგია.

წყალში იყრება საქართველოს, რო-
გორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის
ყველაზე ინოვაციური, დემოკრატიული,
განვითარებასა და შედეგზე ორიენტი-
რებული განათლების სისტემის მქონე
ქვეყნის, რუტუტაცია. ამ სახელს არ ქმ-
ნიან მინისტრები, რომლებიც მედიის,
მასწავლებლების ან დონორების წინაშე
ცდილობენ საკუთარი მოქმედების და-
საბუთებას. ამ სახელს არ ქმნიან არც
მრჩეველთა საბჭოები, საზოგადოებრი-
ვი დარბაზები ან არასამთავრობო ორ-
განიზაციების კლუბები. განათლების
სფეროს სპეციალისტებისთვის ჩვენი
ქვეყნის მიზნებსა და ამბიციებზე გაცი-
ლებით უფრო კარგად მეტყველებს განა-
თლების სისტემის და მისი კონკრეტული
ინსტრუმენტების პასუხისმგებლობებისა
და თავისუფლებების სქემების აღწერა,
ვიდრე რიტორიკული გამოსვლები ან
მასწავლებლებთან თუ დირექტორებ-
თან შეხვედრის დაწყების წინ დაწერილი
პრეს-რელიზები, რომლებიც წინასწარ
გვამცნობს, რომ შეხვედრის ყველა მო-
ნაწილზე მზად არის, მუხლჩაუხრელად და
კმაყოფილებით იმუშაოს საბჭოთა კავში-
რის აღდგენაზე მინისტრის მოსაზრებე-
ბისა და მიზნების გაზიარებით.

განათლების რეფორმის განხორციე-
ლებისა და წგრევის პროცესი შემდეგს
ჰგავს: ქართველები ვცდილობდით მალა-
ლი კლასის ავტომობილის (მაგ. „მერსე-
დესის“) აწყობას. ამიტომ შევისწავლეთ
„მერსედესის“ ტექნოლოგია, მუშაობის
პრინციპები, ვიმოვეთ მისი ნაწილები,
მოვარგეთ ადგილობრივ საჭიროებებს და
ავანყვეთ პირველი მანქანაც. გამოცვა-
დეთ ეს მანქანა ქართველ მძღოლებთან,
დავიწყეთ ხელსონების კვალიფიკაციის
გაზრდა. რაც მთავარია, აწყობილი მანქა-
ნები ხალხს გადაეცემა და ნელ-ნელა და-
ვიწყეთ იმის სწავლება, რომ მათი მოვლა-
პატრონობა და განვითარება მომავალში
თვითონ შეძლებოდათ. ეკონომიკურად
ღარიბ ოჯახში აწყობილი „მერსედე-
სი“ მტუტგარტის ქარხანაში აწყობილის

დონის არ არის. ხან რალაცის შეერთება
დაავიწყდებათ, ხან კი გზაში რალაც დე-
ტალის დამატება იქნება საჭირო, მაგრამ
მაინც „მერსედესია“, რომლითაც უსაფრ-
თხოდ, ეკონომიურად, ეფექტურად და
კომფორტულად მიხვალ დანიშნულების
ადგილამდე. ავტომობილის მფლობელები
ნელ-ნელა ახალი, გაუმჯობესებული
მოდელის შექმნაზე ორიენტირებულ ერ-
თობად ყალიბდებოდნენ.

აი, ბოლო ნახევარი წლის განმავლო-
ბაში კი „მანქანათმშენებლობის სამი-
ნისტრო“ დეტალებს აცლის ამ მანქანას
და „ჟიგულის“ ნაწილებით ანაცვლებს.
„ჟიგული“ მაინც უფრო ნაცნობია ად-
გილობრივი ხელოსნებისთვის, მარტივი
დეტალებითაა აგებული. მართალია,
ხშირად ფუჭდება, მაგრამ შეკეთება
ყველა მძღოლმა იცის. თან გაუგება-
რი ელექტრონიკის ნაწილებით არ არის
შექმნილი, რომელსაც თავს და ბოლოს
ვერ გაუგებ. აღარც იმის შესაძლებლო-
ბა გექნება, რომ სიჩქარეს გადააჭარბო
და კისერი მოიტეხო. საჯაროდ გაცხა-
დებული მიზანი კვლავაც „მერსედესის“
შექმნა რჩება და ეს ცვლილებები ისე
კეთდება, რომ გარედან საბჭოთა მან-
ქანის დაჟანგული დეტალები გამაღი-
ზიანებლად არ ჩანდეს. ავტომობილის
მფლობელებს მუდმივი გაუმჯობესების
შესახებ მოგვითხრობენ, და ცდილობენ,
დაგვარწმუნონ, რომ „ჟიგულიც“ უსა-
ფრთხო, ეკონომიკურად გამართლე-
ბული, განვითარებაზე ორიენტირებუ-
ლი და ეფექტური იქნება. მთავარია,
მკაცრი და დეტალური ინსტრუქციები
მისცე მძღოლს, კარგად დააპროგრამო
წინასწარ და ხშირი შემონმებები ჩაატა-
რო.

არადა, ჩვენ ხომ თითქოს 20 წლის წი-
ნათ მიხვდით, რომ „ჟიგულებით“ შორს,
სწრაფად და კომფორტულად ვერ წავი-
დოდით. ამიტომ გირჩევთ, რომ ვისაც
გინდათ, ისეც „მერსედესის“ აწყობას მი-
უვბრუნდეთ, თანაც ისეთის, რომელიც
ჩვენი მონაწილეობით იხვეწება და ვი-
თარდება, ცოტა მეტი მოვთხოვთ ჩვენს
სახელმწიფოს, ვიდრე ხელფასების გაზრ-
და, მანქანაში გამათბობლის დაყენება და
გაუმართავი ავტომობილების მართვით
გამონვეული ჯვარიმების გაუქმება. □

ინერგია 2004-2009 წლებში გაუქმდა/უქმდება 2010 წელს	2009 წლის ბოლოს და ძირითადად 2010 წელს შემოღებული/დაბეჭდილი ინიციატივები
სკოლების თვითმმართველობა/პასუხისმგებლობა ადმინისტრირების მიმართულებით	
სკოლების დამოუკიდებლობა, რომ თვითონ აირჩიონ საკუთარი დირექტორი;	დირექტორებს დანიშნავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
სკოლების დამოუკიდებლობა გარეშე პირებთან ურთიერთობისას;	სკოლის დირექტორი ან მასწავლებელი შეიძლება ურთიერთობისთვის სამინისტროს წევრთან საჭიროებს. მსგავსი სისტემა იწვევს სკოლებში სტაჟირებასთან დაკავშირებითაც;
სკოლა ვალდებული იყო მოსწავლეების აღრიცხვა ეწარმოებინა, მაგრამ ფორმის (ფურნალის) არჩევანი ჰქონდა;	სკოლა ვალდებულია, აწარმოოს აღრიცხვა მხოლოდ სამინისტროს მიერ დადგენილი ფურნალის ფორმების მიხედვით;
სკოლას ჰქონდა უფლება, თავისი თანამშრომლები თვითონ შეერჩია კანონმდებლობისა და საკუთარი ბიუჯეტის შესაბამისად;	სამინისტრო სკოლებს უგზავნის თანამშრომლებს (მაგ. მანდატურებს), რომლებსაც წინასწარ ცენტრალიზებულად ამზადებს/არჩევს. სამინისტრო ერევა საკადრო პოლიტიკაში, პერსონალის რაოდენობის განსაზღვრაში და სხვა;
სკოლა პასუხისმგებელი იყო, თვითონ შეეთავაზებინა მოსწავლეებისთვის დამატებითი სერვისები (როგორცაა მაგ. კვება) საკუთარი თემის საჭიროებებისა და ინტერესების, ბიუჯეტის გათვალისწინებით;	დამატებითი სერვისების ორგანიზება თავის თავზე აქვს ადგილობრივი სამინისტროს (მაგ. სამინისტრო ხსნის სკოლებში ბუფეტებს კერძო კომპანიებთან შეთანხმებით. სკოლას არ აქვს არჩევანი, დაეთანხმოს ან უარყოს სამინისტროს წინადადება);
სკოლების დამოუკიდებლობა/პასუხისმგებლობა სწავლებასთან მიმართებაში	
სკოლებს მიენიჭა უფლება/პასუხისმგებლობა, თვითონ აირჩიონ სახელმძღვანელო ბაზარზე არსებული წიგნებიდან;	სკოლა ვალდებულია, სამინისტროს წინასწარ შერჩეული სახელმძღვანელოებიდან გააკეთოს არჩევანი;
სკოლას მიენიჭა უფლება/პასუხისმგებლობა, თვითონ განსაზღვროს შეფასების მრავალი კომპონენტიდან ისინი, რომელიც მათ მიაჩნიათ კონკრეტულ საგანში/კლასში მიზანშეწონილად და განსაზღვროს, თუ რომელია ამ კომპონენტებიდან უფრო რელევანტური საგნისა და ასაკის გათვალისწინებით (მაგ. რა წონა ექნება საშინაო დავალებას, კლასში აქტიურობას, განმავითარებელ და შემჯავებელ შეფასებას და სხვა);	სკოლა ვალდებულია, შეაფასოს მხოლოდ სამი სტანდარტული კომპონენტის მიხედვით, რომელსაც სამინისტრო მიაწვდის. ესენია: საშინაო, სასკოლო და საკონტროლო სამუშაოები. სკოლას აღარ აქვს უფლება, შეაფასოს მოსწავლე ისეთი კომპონენტებით, როგორც არის მაგ. პროექტებზე მუშაობა, შემოქმედებითობა, ჩართულობა და სხვა. ასევე საკარგად დანერგება შეფასებების მინიმალური რაოდენობა;
სკოლა ვალდებული იყო, ესწავლებინა წელიწადში 180 დღე, მაგრამ შეეძლო, თვითონ განესაზღვრა კალენდარი (დანაწესებისა და დამთავრების თარიღები). სამინისტრო აწესებდა უადრეს და უგვიანეს თარიღს სწავლის დანაწესებისა და დამთავრებისთვის;	სკოლა ვალდებულია, იფუნქციონიროს სამინისტროს მიერ დადგენილი კალენდრის მიხედვით, მიუხედავად მისი გეოგრაფიული მდებარეობის და თემის საჭიროებებისა (მაგ. როგორც არის სასოფლო სამეურნეო სამუშაოები, ადგილობრივი დღესასწაულები და სხვა);
სკოლას ჰქონდა უფლება/პასუხისმგებლობა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით რეკომენდებული პროგრამის შინაარსის მიხედვით შეემუშავებინა სასკოლო სასწავლო გეგმა და მიეღო გადაწყვეტილება, თუ რა იყო პრიორიტეტული სწავლებისას;	სკოლა ვალდებულია, სასწავლო გეგმის 60% დაუთმოს სამინისტროს მიერ დადგენილი პროგრამის შინაარსს;
სკოლა პასუხისმგებელი იყო, რომ მის მიერ მიცემული განათლების ხარისხი განესაზღვრა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში და ამის საფუძველზე გაეცა სასკოლო ატესტატი;	სასკოლო ატესტატი უპირატესად გაიცემა სამინისტროს მიერ ცენტრალიზებულად ჩატარებული დამამთავრებელი გამოცდების საფუძველზე;
სწავლების (და ასევე ადმინისტრირების) პროცესის ხარისხის შემოწმება უნდა მომხდარიყო სკოლების აკრედიტაციის კომპლექსური პროცესის საფუძველზე, სადაც ძირითადი პრინციპი სახელმწიფოსა და სკოლის თანამშრომლობას, სკოლის სპეციფიკურობის გათვალისწინებას ეფუძნებოდა;	სამინისტრო ატარებს სკოლების ე.წ. „ბრენდირებას“ (სინამდვილეში კი რეიტინგების დადგენას), რომელიც რეალურად სკოლების სწრაფ სტანდარტიზაციას ემსახურება მათი დასჯისა და წახალისების ხისტი მიდგომის საფუძველზე;
სკოლას ჰქონდა უფლება, თვითონ აერჩია საკუთარი სასწავლო პროფილი, თუ რა მიმართულებას გააძლიერებდა ის თავისი სკოლის ფარგლებში;	სამინისტრო ცენტრალიზებული წესით ანიჭებს სკოლებს კონკრეტული პროფილის მქონე სკოლების სტატუსს (ფიზიკა-მათემატიკური და სხვა);
მასწავლებლების პროფესიული განვითარება	
სახელმწიფო ზრუნავდა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე იმით, რომ ქმნიდა კონკურენტულ გარემოს ტრენინგების პროვაიდერების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სახელმწიფო აძლევდა მასწავლებელს ვაუჩერს, მასწავლებელთა სატრენინგო პროვაიდერებს კი აკრედიტაციას. მასწავლებელი თვითონ ირჩევდა, სად გაივილიდა ტრენინგს.	სამინისტრო თვითონ აარსებს (ხელახლა) მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრებს, სადაც ცენტრალიზებულად მოხდება მათი კვალიფიკაციის ამაღლება და ქმნის ხელოვნურ კონკურენციას კერძო პროვაიდერებსა და საკუთარ დაწესებულებებს შორის.



სამოქალაქო თავდაცვის გაკვეთილი თბილისის კერძო სკოლა „ცისკარში“

ფოტო: ალექსანდრე ლავროვი

განათლება

სამოქალაქო თავდაცვა შესავლის ბაზაზე

განათლების სამინისტროს ოფიციალური ინიციატივით, საქართველოს 15 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს ახალი საგნის, სამოქალაქო თავდაცვის პილოტირება. თუმცა, რეალურად, ზოგ სკოლაში ეს გაკვეთილი საერთოდ არ ჩატარებულა.

რუსუდან ფანოზიშვილი

15 სკოლიდან რამდენიმეში გაკვეთილი მხოლოდ ერთხელ ჩატარდა, როცა იქ მისულმა მინისტრმა ტელეკამერების თვალწინ კაბინეტი საზეიმო ვითარებაში გახსნა. სკოლებში არ გამოჩენილან არც თადარიგის ოფიცრები, რომლებმაც საგანი მაღალი კლასების მოსწავლეებს უნდა ასწავლონ.

თბილისის კერძო სკოლა „ცისკარში“

მეთერთმეტე კლასელებს სამოქალაქო თავდაცვისა და სამხედრო ხელოვნების საკითხებზე პედაგოგები სულ ორჯერ ესაუბრნენ. როგორც სკოლის სასწავლო ნაწილი ამბობს, მოსწავლეებს ჯერ ისტორიის მასწავლებელმა გააცნო ქართული ჯარის ისტორიიდან საკითხები, მეორედ კი ახალი საგნის ზოგიერთი თემა სამოქალაქო განათლების

პედაგოგმა საკუთარ გაკვეთილზე შეიტავსა.

„ჯერჯერობით კომბინირებული გაკვეთილებია და პედაგოგიც არ გვყავს, თუმცა ეს ხომ ჯერ პილოტირებაა, – ამბობენ „ცისკარში“, – სექტემბრიდან, როცა უკვე სრულყოფილად დაიწყება სწავლება, ან ჩვენ დავიქირავეთ სამხედრო ოფიცრს, ანდა ალბათ განათლების სამინისტრო-

დან თვითონ შემოგვთავაზებენ, ვინ დავნიშნოთ“.

10 ივნისს, თავდაცვის გაკვეთილისთვის „ცისკრის“ მეთერთმეტეკლასელები სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტში შეიკრიბნენ. კაბინეტის აღჭურვილობას კედელზე გაკრული პლაკატები და კარადა შეადგენს, რომელშიც სამინისტროს ნაჩუქარი ბროშურები და ნიგენები ინახება ძირითადად ნატო-ს შესახებ. ოთახის კედლის ერთ ნაწილზე, „კალამნიკოვის“, ყუმბართმტყორცნების და სხვა იარაღების პლაკატებია გაკრული; მეორე კედელზე მოძრაობის წესები და საგზაო ნიშნები ჩანს.

სამოქალაქო განათლების და სამოქალაქო თავდაცვის გაერთიანებულ გაკვეთილს 15-მდე ბავშვი და სამი პედაგოგი ესწრება: სკოლის სასწავლო ნაწილი, სამოქალაქო განათლების პედაგოგი და დებატების საგნის მასწავლებელი. მისი მოწვევა იმისთვის დასჭირდათ, გაკვეთილი უფრო ცოცხალი რომ გამოსულიყო.

თემა ევაკუაციაა. ოთხ ჯგუფად გაყოფილ მოსწავლეებს მასწავლებელმა სიტუაციური ამოცანები მისცა და ბოლო დროის ცნობილი კრიზისული სიტუაციების მაგალითების განხილვა დაავალა. ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რაზეც მოსწავლეებს უნდა ეპასუხათ, ის იყო, თუ ვინ აგებს პასუხს მოცემულ მაგალითებში ხალხის უსაფრთხოებაზე.

„კი მაგრამ, მოლდოვის პრეზიდენტი თუ გადადგა, როგორღა აიღებდა პასუხისმგებლობას მისი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე?“ – „ჩამჭრელი“ კითხვა დაუსვა ერთ-ერთმა მოსწავლემ მეორე ჯგუფის პრეზენტატორს და დებატებიც დაიწყო.

მეოთხე ჯგუფს განსახილველად 2007 წლის 7 ნოემბრის დემონსტრაცია შეხვდა:

„შენი აზრით, სწორად მოიქცა თუ არა ხელისუფლება, 7 ნოემბრის აქცია რომ დაარბია?“ – ჰკითხა თანაკლასელმა ჯგუფის პრეზენტატორს.

თუმცა მასწავლებელმა ბავშვებს კამათი მალევე შეაწყვეტინა – ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დავალების თემას სცილდება.

გაკვეთილზე ნამოჭრილ თემებზე მოსწავლეები ზარის დარეკვის შემდეგ კიდევ უფრო ცხარედ კამათობდნენ. მათი უმრავლესობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ კამათის ხელოვნებაში საკუთარი თავი კიდევ ერთხელ გამოსცადეს.

„დღევანდელ გაკვეთილზე აღმოჩნდა, რომ გუნდური მუშაობა და დასკვნების გაკეთება შეგვიძლია“, – აღნიშნა ნაწუკა ხუჯაძემ.

მეთერთმეტეკლასელები ახალი საგნის საჭიროებას ეჭვქვეშ არც აყენებენ. „ქართველ კაცს მუდმივად იარაღი ეჭირა ხელში და იბრძოდა. 2 წლის წინ რუსეთი დაგვესხა თავს. ჩვენ ისე უნდა აღგვზარდონ, რომ პატრიოტები ვიყოთ, და ისე უნდა ვიცოდეთ იარაღის ხმარება, ქვეყანას რომ გამოვადგეთ“, – ამბობს ლაშა ბაბუნაშვილი.

ამ მეთერთმეტეკლასელებზე კიდევ უფრო ემოციური იყო რამდენიმე თვის წინ მინისტრისა და პრეზიდენტის გამოსვლები, როცა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების საგნის საჭიროებას უხსნიდნენ. მაშინ დიმიტრი შაშკინი ხშირად იშველიებდა ისრაელის მაგალითსაც, სადაც სამხედრო მობილიზაცია თითქმის ყოველდღიურად ცხადდება და ამიტომ უსაფრთხოების „შესავლების“ ცოდნა დიდსა და პატარას თანაბრად სჭირდება.

ამ და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების გამო, სამხედრო-პატრიოტიზმის ახალ სასკოლო საგნად პრეზენტაციას თავიდანვე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საგნის პილოტირებისთვის გამოყოფილი ეტაპი თითქმის უკვე სრულდება, რამდენიმე თვის წინ გაჩენილი კითხვების დიდ ნაწილზე პასუხები ისევ არ არსებობს, ანდა ეს პასუხები ძალიან ზოგადია. მაგალითად, ჯერ ისევ ბუნდოვანია, რა შემთხვევაში ჩაატარებენ სამხედრო ოფიცრები გაკვეთილებს სკოლაში, უკვე გაიარეს, ან გაივლიან თუ არა ისინი საერთოდ სპეციალურ პედაგოგიურ გადამზადებას, უცნობია ისიც, თუ როგორ მიმდინარეობდა საგნის დაგეგმვის პროცესი.

ერთადერთი, რაც საგნის დეკლარირებული პილოტირებისას გაკეთდა, სპეციალური კაბინეტების მოწყობა იყო. თბილისის 123-ე სკოლის დირექტორიც აცხადებს, რომ სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტი მის სკოლაში მზად არის, და საგანიც ეტაპობრივად ინერგება.

მცხეთის მე-2 საჯარო სკოლაში, სადაც სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტი დიმიტრი შაშკინმა ასევე საჯაროდ გახსნა, გაკვეთილი მხოლოდ ერთხელ, სტუმრების თანდასწრებით ჩატარდა. თბილისის 47-ე, 70-ე, 181-ე საჯარო სკოლებში კი ამბობენ, რომ ჯერ ეს გაკვეთილი არ ჩატარებიათ.

მიუხედავად ამისა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელი ნათია ჯოხაძე აცხადებს, რომ „სამოქალაქო თავდაცვის მოკლევადიანი პილოტირება უკვე დაიწერა. სექტემბრიდან გვინდა, რომ ეს საგანი მეოთხე, მეხუთე და მეთორმეტე კლასებში დავენერგოთ“. მისი განმარტებით, დაბალი კლასებისთვის ამ საგნის სწავლებას სათანადოდ გადამზადებული მასწავლებლებიც შეძლებენ, მაღალკლასელებისთვის კი, შესაძლოა, ოფიცრებიც მოიწვიონ.

18 ივნისს საჯარო სკოლებში სწავლა წყდება. რადგანაც ამ დრომდე სულ რაღაც ერთი კვირა დარჩა, და რადგან სკოლებში აცხადებენ, რომ უკვე საგამოცდო რეჟიმზე გადადიან, ძნელად წარმოსადგენია, რომ სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების საგნის რეალური პილოტირება სასწავლო წლის დასრულებამდე შედგეს. სკოლაში ახალი საგნის პილოტირება მისი ისეთი მეთოდოლოგიით დაწერგვას ნიშნავს, როგორც ეს რეალურად სჭირდება საგანს. პილოტირების მიზანი კი, საგნის მასობრივად დაწერგვამდე, ხარვეზების შეფასება და გამოსწორებაა.

სამოქალაქო თავდაცვის გაკვეთილების შემთხვევაში კი, ამ ხარვეზების აღმოჩენა შეუძლებელი იქნება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პილოტირებამ არათუ ხარვეზებით ჩაიარა, არამედ თითქმის არც განხორციელდა. ■

ჩობჩიხ სტუხუა მოსხოვს "ქაიშხანს" უმზადებს

სახელოვანი „შექსპიროლოგის“ რეფლექსია თემაზე – დავდგათ, თუ არ დავდგათ... ან საერთოდ, როგორ დავდგათ.

დავით ბუხრიკიძე



სცენა სპექტაკლიდან „შაილოკი“

სახელოვანმა რეჟისორმა, რობერტ სტურუამ განვლილი წელი საქართველოს პრეზიდენტივით, ძირითადად, უცხოეთში გაატარა. გასტროლები ბაქოსა და ისრაელში, შექსპირის სახელობის ფესტივალი ერევანში, სადაც ის ალექსანდრ კალიაგინთან ერთად, ყველაზე სასურველი სტუმარი იყო, შთამბეჭდავი ვიზიტი და გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის თეატრალური პრიზი სანკტ-პეტერბურგში და ბოლოს, ხანგრძლივი სტუმრობა მოსკოვში... ოდნავ მტანჯველი რეფლექსიის შემდეგ: ჩავიდეთ თუ არ ჩავიდეთ, ან დავდგათ თუ არ დავდგათ მოსკოვში.

ვერ გეტყვით, თეატრ Et Cetera-ს სამხატვრო ხელმძღვანელის, ცნობილი მსახიობის, ალექსანდრ კალიაგინის პროფესიულმა მუდარამ გაჭრა, თუ სახელოვანი პროდიუსერის, დავით სმელიანსკის ფი-

ნანსურმა ჯადომ, მაგრამ ფაქტია, რომ რობერტ სტურუა შარშან ნოემბრიდან მოყოლებული, რამდენჯერმე იმყოფებოდა მოსკოვში. როგორც გაირკვა, რეჟისორმა ჯერ კიდევ 2009 წელს გადაწყვიტა, რომ მისთვის ახლობელ და საშიშ შექსპირს კიდევ ერთხელ გააპექრებოდა, ამჯერად, დიდი ბარდის უკანასკნელ და ყველაზე მისტიკურ პიესას „ქაიშხალი“.

2000 წელს, ამავე თეატრში სტურუამ სწორედ შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ დადგა. ორაზროვანი და ტრაგიკული პერსონაჟის, შაილოკის მნიშვნელობას (ამ როლს სწორედ კალიაგინი თამაშობდა) სპექტაკლის სახელწოდება – „შაილოკიც“ ადასტურებდა, ხოლო რომანტიკოს, ბრძენ და ოდნავ ცინიკოს ანტონიოს, ალექსანდრ ფილიპენკო რამაზ ჩხიკვაძის აზდაკივით ირონიული ხერხით უსწორდებოდა.

მომდევნო წელს, გაზაფხულზე სპექტაკლი თბილისში თეატრის გასტროლისას ვნახე – გოგი ალექსი-მესხიშვილის საფირმო დახვეწილობებითა და ცოტა აბსურდით ნაკვები სცენოგრაფიით, პლუს გია ყანჭელის მინიმალისტითა და მონორული-მარშული მელოდიური ხაზით, რომელიც მხოლოდ აძლიერებდა რეჟისორის მიერ შერჩეულ რიტმს.


ორი წლის შემდეგ კი სტურუამ იმავე Et Cetera-ში მთლად ბეჯითი აბსურდი დადგა: სამუელ ბეკეტის შესანიშნავი, მაგრამ თეატრში ნაკლებად პოპულარული მონოდრამა „კრეპის უკანასკნელი ფირი“, რომელიც, ჩემი აზრით, სტურუას მიერ ოცდამეერთე საუკუნეში დადგმული სპექტაკლებიდან საუკეთესოა.

არ არის გამორიცხული, რომ „საკანში“ რამდენჯერმე სტუმრობის შემდეგ ცნობილმა რეჟისორმა საზოგადოებას და რეალობას ახალ, მისთვის უცნობ განზომილებაში დაინახა და შესაბამისი დასკვნებიც გამოიტანა. ამიტომ შექსპირის „ქაიშხალიში“, რომელსაც ის მოსკოვში დგამს, ისევე ამოტივტივდა ძალაუფლების, მორალის, შურისძიების, იმედგაცრუების, სიკეთით შენიღბული ბოროტების მოტივები.

ყოველ შემთხვევაში, ბერლინში, თეატრალურ ფესტივალზე ყოფნისას, გაზეთ „კომერსანტის“ მიმომხილველი და თანამედროვე დასავლური თეატრის შესანიშნავი მცოდნე, რომან დოლჟანსკი ამტკიცებდა, რომ თუ იენისის ბოლოს მოსკოვში „ქაიშხალის“ პრემიერა მოესწრება, პუბლიკა ხელახლა აღმოაჩენს სტურუას. იგი უშუალოდ ესწრებოდა თეატრ Et Cetera-ში გამართულ რამდენიმე მნიშვნელოვან რეპეტიციას და ცხადია, გარკვეულ ინფორმაციასაც ფლობს.

„და რაც აქ ნახეთ, სიზმარი იყო“ – ეს არის ფრაზა არიელის ცნობილი მონოლოგიდან, რომელსაც პიტერ ბრუკმა თავის დროზე „დასასრულის დასაწყისი“ უწოდა. ვინ იცის, იქნებ შექსპირის ბოლო, ყველაზე გამოუცნობი პიესა რობერტ სტურუას შემოქმედებაში მართლაც ახალი ეტაპის დასაწყისს მოასწავებს? ☒

ისევ დაინყო



რა დაინყო და რომ დაინყო, ყველამ კარგად იცის, იმანაც კი, ვისაც ფეხბურთი სძულს და ამის გამო მთელი ეს ერთი თვეც მოძულებული ექნება.

სანდრო ნავერიანი

მუნდიალის დაწყებამდე ყველაზე მეტად ორი რამის მეშინოდა, პირველი – არჩევნები არ გაყალბებულიყო მასობრივად, რომ ვილაც-ვილაცებს სამხრეთ აფრიკიდან გორამდე ყველა მაგისტრალის გადაკეტვის საბაზი არ მისცემოდათ; და მეორე – ძალიან მეშინია, ფრანგმა ფეხბურთელებმა ზედმინევით არ შეასრულონ მწვრთნელის დავალებები.

პირველი საფრთხე ავიცილე თავიდან. თქვენც. აი, მეორეს საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს. საქმე ისაა, რომ, როგორც ბევრისთვის, ჩემს შემთხვევაშიც ფეხბურთი მშობლებით დაინყო, დედ-მამის და საფრანგეთი-გერმანიის დაპირისპირებით. დაინყო მამაჩემის მონაყოლით, რომ სიცხიანმა რუმენიგემ პლატინი და ჯიგრები გაამწარა და დედაჩემის უფრო რომანტიკული ნაამბობით: 84-ში ფრანგები ფეხბურთს კი არ თამაშობდნენ, ბალეტს ცეკვავდნენო. ჰოდა, ასე გამოვიდა – 1992 წლიდან ფრანგებს ვქომაგობ, და ამიტომაც მატებს აი, ის, მეორე შიში.

ეს კაცი – რაიმონ დომენეკი, ფრანგების მწვრთნელი – ერთი თვითდაჯერებული დეგენერატია, რომელსაც ჰგონია, რომ ფეხბურთის გაეგება, მაგრამ რეალურად ამ „პარიკმახერმა“ ფეხბურთის ინჟინინი არ იცის. აბა, როგორ შეიძლება კაცზე თქვა, – პროფესიონალი მწვრთნელიაო, – როდესაც ასტროლოგის რჩევით ნაკრებს მიღმა ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს დატოვებს, – ივნისში მძიმე თვე ექნება და იმიტომო. თან ეს უკვე მეორედ გააკეთა, ჯერ იყო და, 2006-ში ნაკრებში

არ მიიწვია რობერ პირესი, ახლა კი – სამირ ნასრი.

ერთი სიტყვით, საფრთხე კიდევ არსებობს და ღმერთმა ქნას, ფრანგმა ფეხბურთელებმა მწვრთნელს ისევე უსმინონ, როგორც მე ჩემი ქიმიის მასწავლებელს ვუსმენდი.

მუნდიალის პირველი შეხვედრა ფრედ დასრულდა – მასპინძლებმა და მექსიკელებმა ერთმანეთს თითო-თითო მშვენიერი გოლი შეუგდეს და დაიშალნენ. თამაში დიდი ვერაფერი. თუმცა, ძალიანაც კარგი ვქენი, რომ ვუყურო, რადგან ამ მატჩის შემდეგ განვეწყვე იმ ნევროზისთვის, რომელსაც ვუფუზელას გადა-მკიდე ავიკიდებ.

ვუფუზელა ყველაზე საშინელი ჟღერადობის ჩასაბერი ინსტრუმენტია, რომელიც მიზანმიმართულად კლავს ადა-

მიანის ტვინის უჯრედებს. ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ მიუხედავად ამისა და ფიფას დიდი მცდელობისა, როგორმე ამ საკრავის სტადიონზე შეტანა აეკრძალათ, მაინც არაფერი გამოვიდა.

მაგრამ როგორი ჭყვიტინიც უნდა იყოს სამხრეთი აფრიკის სტადიონებზე, ვუფუზელა ვერ შეუშლის ხელს იმ სანახაობას, რასაც ველი, მაგალითად ესპანელებისგან, არგენტინელებისგან, ინგლისელებისა და ჰოლანდიელებისგან. გამარჯვებულიც, ჩემი აზრით, ამ ოთხი გუნდიდან რომელიმე იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ მთავარ ფავორიტად ყველა ესპანეთს ასახელებს, მაინც მგონია, რომ ასეთი მომქანცველი სეზონის შემდეგ ისინი ვერ შეძლებენ ერთ თვეში შვიდი თამაშის უშეცდომოდ ჩატარებას. გარდა ამისა, არც მწვრთნე-



საფრანგეთი-ურუგვაის საფეხბურთო მატჩი, 11 ივნისი 2010

ლი ჰყავთ დიდი ტაქტიკოსი. ესპანეთის წარმატება არაგონესის 2008 წლის გუნდის ინერციაა. თუმცა, არ არის გამოირიცხული, 12 ივლისამდე ამ ინერციით გაქაჩონ კიდევ.

ამ ოთხი გუნდიდან ყველაზე ნაკლები შანსი, ჩემი აზრით, არგენტინას აქვს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათი მწვრთნელი მარადონაა. მის მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, მარადონას მოგებული ან გადაწყობილი თამაში არ მინახავს – არგენტინელები მხოლოდ ფეხბურთელების ოსტატობის ხარჯზე აღწევდნენ წარმატებას. მუნდიალზე კი რთულია, მხოლოდ საუკეთესო შეტევით გახვიდე ფონს, მით უფრო, რომ არგენტინის ნახევარდაცვა და დაცვაც ამ ოთხი ნაკრებიდან ყველაზე სუსტად გამოიყურება.

ერთი სიტყვით, ჩემი ფავორიტები (თუმცა, მხოლოდ ჟურნალის ფურცელზე) ჰოლანდია და ინგლისი არიან. გარდა იმისა, რომ ინგლისის ნაკრებში ყველა პოზიციაზე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ, მათ ჰყავთ უდიდესი მწვრთნელი ფაბიო კაპელო, რომელიც გუნდის წარმატების 50 პროცენტია.

მწვრთნელის მხრივ არც იტალიას აქვს საქმე ცუდად – მარჩელო ლიპი, რა თქმა უნდა, დიდი მწვრთნელია, თუმცა იმის ფონზე, თუ როგორ რეგრესს განიცდის იტალიური ფეხბურთი, რთული წარმოსადგენია, იტალიელებმა ოთხი წლის წინანდელი ტრიუმფი გაიმეორონ.

მწვრთნელზე გამახსენდა, შვეიცარიის ნაკრებს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი ოტმარ ჰიცფელდი წვრთნის და როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, მისი გუნდისგან სიურპრიზებს ველი. ეს ალბათ მერვედფინალში მოხდება.

ბოლოს კი, მაინც ვიტყვი, რომ ჩემთვის ერთი სიამოვნებაა, როდესაც მუნდიალზე ვინმე, უცნობი ფეხბურთელი გამოჩნდება ხოლმე, ბულს დააყენებს მოედანზე და იმ ერთი თვის განმავლობაში მთელ მსოფლიოს აალაპარაკებს. გისურვებთ, ასეთი წელსაც ბევრი ყოფილიყოს, და თუნდაც ტოტო სკილაჩივით დაკარგულიყვნენ მუნდიალის შემდეგ. ■

მახადონას სიზმარი



გიო ახვლედიანი, ლონდონი



რაც გინდათ, ისა თქვით, ოლონდნელ-ნელა გახურებულ მსოფლიო ჩემპიონატში გამიერების ნაკლებობა არ იგრძნობა.

მრავალთა შორის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სახსენებელი და ხშირად ნახსენები დიეგო მარადონაა, რომელიც თავის მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატზეა ჩამოსული, ოლონდ

ამჯერად როგორც ნაკრების მწვრთნელი და ჭალარა წვერითა და კვლავაც კუნაპეტი (ოლონდ უკვე შეღებილი) თმით და ზედაც დაყოლებული თავისი დარდიანი თვალებით, კვლავაც ყურადღების ცენტრშია.

მარადონას მწვრთნელობისა მსოფლიოს არ სჯერა, მაგრამ ისიც იცის, რომ მარადონას მარადონობას ვერსად



არგენტინა ძლივს მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომ მან 102 ფეხბურთელი ათამაშა შესარჩევ ციკლში, რომ მისი მწვრთნელობა შეუძლებელია, რომ ვერავინ დაადგინა, როგორი ურთიერთობა აქვს ლეო მესისთან, რომ გუნდში ისეთი კაცები დააბრუნა, რომლებთან ერთადაც თვითონ უთამაშია, რომ გიჟია და იმ დღეს ტელეოპერატორს ფეხზე გადაუარა მანქანით, მერე კი მიაგინა და ასე დაუსრულებლად...

უცნობია მისი ტაქტიკური მისწრაფებები და შემადგენლობის გამოცხადების მოტივები; უცნობია, რას იზამს შემდეგ წამს და საერთოდ უცნობია, რატომ მოუნდა მარადონას ნაკრების მწვრთნელობა.

ოღონდაც კვლავ და კვლავ ცნობილია, რომ ის მარადონაა და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი – ხელითაც, ფეხითაც, თავითაც და გულითაც. არგენტინას ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავს, სანერვიულო ამბავი მწვრთნელია. თუმცა, არგენტინას ყოველთვის ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავს და ნამდვილი, პალტოიანი მწვრთნელების ხელშიც გასჭირვებია.

იმისთვის, რომ გავიგოთ, რით ხელმძღვანელობს ხოლმე მარადონა, მინდორი და სამწვრთნელო პროცესი სრულიადაც არაა საკმარისი. როგორც ერთმა ბაირესელმა ტაქსისტმა თქვა, მარადონა არგენტინელი კი არ არის,

ლი არიელ გარსე, რომელსაც ნაკრებში სულ ოთხჯერ უთამაშია, აქედან უკანასკნელად საქველმოქმედო თამაშში ჰაიტის ნაკრების წინააღმდეგ იქაური მონისძვრისთვის ფულის შესაგროვებლად.

გარსეს საგზური უყვია და სამხრეთ აფრიკაში შვებულების გატარება და თანაც ნაკრების თამაშებზე დასწრებაც გადაუწყვეტია, – სანამ დასვენებაა, და ახლა ქვეყანასაც ვნახავ და ჩვენებსაც ვუქომაგებო.

ჰოდა, ახლა გარსე სამხრეთ აფრიკაშია, ოღონდ არა როგორც ტურისტი, არამედ როგორც არგენტინის ნაკრების წევრი. როგორც ამბობენ, გარსეს ხარისხის მცველი არგენტინაში ბარე დუჟინი მოიძებნება, მაგრამ მარადონამ, ყველასთვის მოულოდნელად, სწორედ ის მიიწვია ნაკრებში.

და რატომ?
იმითომ, რომ მარადონას სიზმარი უნახავს, როგორ დაარბენინებდა გამარჯვებული არგენტინის ნაკრები მსოფლიო თასს მინდორზე და ერთადერთი ფეხბურთელის სახე, რომელიც იმ ორომტრიალში სიზმრიდან გამოჰყვა, არიელ გარსეს სახე იყო.

ეს ამბავი მთლად სწორს არა ჰგავს, იმიტომ, რომ მარადონას არ უარუყვია და გარსემ კი თქვა: „რაც გინდათ, ის ილაპარაკეთ, მე ოცნება ამიხდა, და მსოფლიო ჩემპიონატზე ვარ. ამ ოცნებას არავის წავახდენინებ“.

■ მარადონას მწვრთნელობისა მსოფლიოს არ სჯერა,

მაგრამ ისიც იცის, რომ მარადონას მარადონობას ვერსად წაუფა.

წაუფა. როგორ უნდა აჯობოს მარადონამ ისეთ მწვრთნელებს, როგორებიც კაპელო და ლიპი არიან? ანდა პარეირა და თუნდაც რადი ანტიჩი? იმით, რომ გუნდში გენიოსი ჰყავს და ზედაც დაყოლებული ნამდვილი ვარსკვლავები?

ყველა დაიღალა იმის მოყოლით, რომ მარადონას ხელმძღვანელობით

მარადონა არგენტინაა და ეს ნათქვამი ალბათ კულტუროლოგებს უფრო დაინტერესებთ, მაგრამ არ იქნება, ბოლო დროს მსოფლიოში მოარული ამბავი არ გავიხსენოთ.

ჩვეულებრივ, არგენტინულ კლუბ „კოლონში“, რომელიც ბოლო საქვეყნო ჩემპიონატში მეთოთხმეტე ადგილზე გავიდა, თამაშობს 30 წლის მცვე-

ჰოდა, სანამ კაპელო, ლიპი, დუნგა და პარეირა რამეებს ხაზავენ თავიანთ დიდ დავთრებში, მგონი, მარადონას სულ სხვა რამეებისა სჯერა.

მიუხედავად ყველაფრისა, მარადონას ცრემლებისა სჯერა. ასე და ამდენჯერ მოტირალი კაცი ტელეეკრანზე იშვიათად გვინახავს; ასეთი ეშმაკი, გულწრფელი და ასეთი გადარეულიც. ■

ძია ზიბუნდ, შუნ მიშველი!



ჩვენთვის ყველაფერი ის, რაც თბილი, რბილი, სასიამოვნო, ლამაზი, გაფურჩქნული, ნაყოფიანი და მობიზინეა, აუცილებლად დ ე დ ა ა.

კახა თოლორდვა


ამ ტექსტს ვილაც გრძელცხვირა და უტვინო ახალგაზრდას და მის აგრეთვე უტვინო მეგობრებს უნდა ვუმადლოდე, გვერდზე რომ ჩამიარეს გუშინწინ საღამოს. ფიზიკის ინსტიტუტის ბალის ჭიქართან ვიდექი და შ ი გ შუაგულ ბაღში ვაკე-საბურთალოს გამგეობის ახლად ნამოჭ ი მ უ ლ შენობას ვუყურებდი, როდესაც ახალგაზრდების ჯგუფმა ჩამიარა გვერდზე და საჩუქრად ორჯერ ზედიზედ სხაპასხუპით წარმოთქმული ჩ ე მ ი დ ე დ ა დამიტოვა. პირადად მე დ ე დ ა-ქალაქის ქუჩები სავსეა ჩემიდედებით, ეს ყველამ კარგად ვიცით. პირადად მე დ ე დ ა-ქალაქში სიარულისას მინიმუმ შვიდ, რვა წარბშეუსრულ „ჩემიდედას“ ვანყდები ხოლმე. ამ დროს, როგორც წესი, ნაბიჯს ვანელებ და ყურადღებით ვათვალისწინებ იმ „ჩემიდედას“. სულ მაინტერესებს, გულით უნდათ ამის გაკეთება, თუ როგორც ამას ძია ზიგმუნდი ვარაუდობდა, ბავშვობაში ჩარჩენილები არიან. ამაზე ჯერ პასუხი არ მაქვს.

კარგი, გავაგრძელებ. იმ „ჩემიდედება“ სწრაფი ნაბიჯით ჩამიარეს, ეტყობა, დედებთან ეჩქარებოდათ, მე კი კვლავ ბაღში ნამოჭ ი მ უ ლ შენობას მივამტვრდი და უეცრად მივხვდი, რომ ქართველები ყველა „ჩემიდედაზე“ მაგარი „ჩემიდედები“ ვართ მსოფლიოში. ჩვენთვის ყველაფერი ის, რაც თბილი, რბილი, სასიამოვნო, ლამაზი, გაფურჩქნული, ნაყოფიანი და მობიზინეა, აუცილებლად

დ ე დ ა ა.

მინა – დედაა, სამშობლო – დედაა, ქალაქი – დედაა. ისე, იმასაც დავამატებ, რომ ეს ასეა გერმანელებისთვის, ინგლისელებისთვის და კიდევ სხვა ერებისთვისაც, მაგრამ, სრულიად აუხსენელი მიზეზების გამო, მხოლოდ ჩვენ გავეჩხირეთ განვითარების ინვანტილურ ფაზაში და მხოლოდ ჩვენ გვიჩნდება „ჩემიდედას“ სურვილი სიტყვითაც და საქმითაც.

ამ უკანასკნელს რაც შეეხება, მოდი, დ ე დ ა-ქალაქურ სამშენებლო-დეველოპერულ ბიზნესს დავაკვირდეთ. რამდენადაც ვხვდები, ამ ბიზნესმა სრულიად გაუცნობიერებლად მოგვანერა ჩვენ, დ ე დ ა-ქალაქის მაცხოვრებლებს მამის როლი. ისინი ვერ გვაპატიობენ იმას, რომ სწორედ ჩვენ გვეკუთვნის დ ე დ ა-ქალაქის მობიზინე და გაფურჩქნული სივრცეები, გაორმაგებული ძალისხმევით ეძებენ ამგვარ სივრცეებს და თვალისდახამამებაში გეგმავენ, ან ა კ ვ ე ხ ე ბ ე მ ამ სივრცეებში „ჩემიდედა“ ნაგებობებს. თუ რამე მეშლება, ამისხენით, რა უნდა ფიზიკის ინსტიტუტის ბაღში (რადგან ამით დაფინყეთ), იქ, სადაც ადრე ჩოგბურთის კორტი იყო, იმხელა „ჩემიდედა“ შენობას? შემიძლია გავაგრძელო და გავაგრძელო, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ტექსტი მხოლოდ ჩამონათვალად გამოვიდოდა. დ ე დ ა-ქალაქი გ მ ი ნ ა ვ ს მისი მშენებარე შ ე ვ ი ლ ე ბ ი ს მხრიდან ასეთი დაუნდობელი მოპყრობისაგან. ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილ, შემთხვევით გაჩენილ მოსაზრებას თუ ვენდობით, ყველა ასეთ შემთხვევაში დეველოპერები სახიფათო



მანძილზე უახლოვებიან დედებს და ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს, ტერიტორიულად სად იმყოფებიან ეს უკანასკნელნი.

ახლა რაც შეგეხება ჩვენ, დ ე დ ა-ქალაქის მცხოვრებლებს. ეჭვი მაქვს, რომ ჩვენ დიდად არ განვსხვავდებით „ჩემიდედა“ ენთუზიასტებისგან, რადგანაც ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ერთხელ მაინც უნდა გამოგვეხატა პროტესტი იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში ასე დაუნდობლად ეპყრობიან დ ე დ ა-ქალაქს.

როგორ ვიქცევით ჩვენ? თვალს ვხუჭავთ. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენც ინვანტილურები ვართ და არავითარ შემთხვევაში არ ავწევთ ერთ ადგილს, თუ ისტორიულად მნიშვნელოვან ქარიშხლის ზონაში არ მიგვიპატიუეს. მაგალითად, პრეზიდენტის გადასადგებად. კარგი, თქვენც შეგეშვებით და მხოლოდ ჩემზე გავაგრძელებ. მე რომ ნორმალური მო-დ ე დ ა-ქალაქე ვყოფილიყავი იმავე წამს, როგორც კი მშენებლობის პირველი ნიშნები შევნიშნე ფიზიკის ინსტიტუტის ბაღში, ან სადმე სხვაგან, ყველაფერი უნდა გვერდზე გადამედო, გავქცეულიყავი მშენებლობის ადგილზე, დავეჯდარიყავი შუა სამშენებლო მოედანზე და ფეხი არ მომეცვალა იქიდან, სანამ პოლიციის ძალით არ მომაცილებდნენ იქაურობას. მერე ისევ დავბრუნებულიყავი, ამჯერად მათთან ერთად, ვისაც ჩემსავით გული შეტკიოდა ამაზე და ახლა უკვე ერთად გვეცადა მშენებლობის გაპროტესტება. და ასე, ვიდრე მთელი ქალაქი არ შეიტყობდა ამ პატარა ბრძოლის შესახებ. გავაკეთე ეს? არა.

შესაბამისად, ეს ტექსტიც თვალთმაქცობაა, რომელიც მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რომ ვილაც იდიოტმა საკუთარი დედა მოიხსენია, ჩვენთვის სამწუხაროდ, ყველასთვის გასაგებ კონტექსტში, მე კი რატომღაც მომიჩვენა, რომ მისი მეშვეობით ისეთ ტექსტს დავწერდი, რომელიც არანაირად არ შემეხებოდა პირადად მე. [



პასიკო
ოდიშვილისგან

ყოველდღიური
ჯეები

გაესტრო



ორშაბათი-პარასკევი


23:00

მსოფლიო ყოვსიყვ

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისგან

მიშელ უელბეკი
პლატფორმა

სულაკაური
გამომცემლობა



მიშელ უელბეკი დაიბადა საფრანგეთში 1958 წელს. ის ყველაზე სკანდალური თანამედროვე მწერალია. ამბობენ, რომ მან თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურას ახალი ხმა, ახალი ტონალობა შესძინა. რამდენიმე ერთმანეთზე სკანდალური რომანის ავტორი 2002 წელს პარიზის მეჩეთის წინამძღოლმა და ისლამურმა საზოგადოებებმა ისლამოფობიასა და რასიზმში დაადანაშაულეს. მართალია, ბრალდებები არ დაუმტკიცდა, მაგრამ მიშელ უელბეკი მას შემდეგ ესპანეთში ცხოვრობს.

ფასი 16.90

„პლატფორმა“ მიშელ უელბეკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანია. თანამედროვე ევროპა — ადამიანის მარტოობა, ცხოვრების აბსურდულობა, კულტურის კომერციალიზაცია, სექსი და ტერორიზმი, რომელიც ყველაფერს ანადგურებს, დღესდღეობით ყველაზე მტკივნეული ამ თემების გამოა „პლატფორმა“ უდავოდ საინტერესო, ღრმა და ამავე დროს სკანდალურიც.



ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

მის: აღმაშენებლის 150
ტელ: 910 954, 911 165

www.sulakauri.ge